ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali-Taoba

შაბათი-კვირა

5 — 6 თებერვალი, 2011 №30 (5411) ფასი: 30 თეთრი

## ჟან რენო — პროფესიონალი მკვლელი კეთილი თვალებით



გვ.9

ასტროპროგნოზი გვ.16

TV პროგრამა გვ.13



# იგორ გიორგაძე უშიშროების მინისტრი გია ბარამიძის წყალობით გახდა



გვ.5

რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი ქართველ დეპუტატებს ამუშავებდა

## ოპოზიცია აგენტებით გაივსო

გვ.3

ხელისუფლება ჰომოსექსუალისტების პროპაგანდას ეწევა





## ყაზახეთში სტადიონი ავაშენე

გვ.6

დეპუტატმა ნაულ ჯანაშიამ ჩაის დაყენება იაპონიაში ისწავლა



## აღსარება-ზიარების გარეშე ცოდვის მონანიება შეუძლებელია

გვ.7

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## მე არავის დავუჭერივარ



გვ.8

რა ჭორებს უვრცელებენ ვახუნწულას

ISSN 1987-9385

## კვირის ქრონიკა











გვ.2

# კერძო სკოლებში მანდატურების შეყვანა გადაიფიქრეს

მანდატურებთან დაკავშირებით საქართველოში ბევრჯერ ატყდა ხმაური. დიმიტრი შაშკინის მოგონილ სამსახურს თითქმის ყველა იწუნებს. მანდატურებით აღფრთოვანებული არც ნაციონალების ნაწილია, მაგრამ რაკი სააკაშვილს მოსწონს, პროტესტს ხმამაღლა არ გამოხატავენ.

ცოტა ხნის წინ მურაბა ხელისუფლებამ გვამცნო, მანდატურების შეყვანა კერძო სკოლებშიც სავალდებულო იქნებაო. ამას ოპოზიციის მხრიდან დიდი ჟრიამული მოჰყვა. ეს ცნობა არც კერძო სკოლის მოსწავლეებს და მათ მშობლებს ესიამოვნათ.

ვერ გეტყვით არის თუ არა ამ ჟრიამულის შედეგი, მაგრამ კერძო სკოლებში ხელისუფლებამ მანდატურების შეყვნა გადაიფიქრა.

— კერძო სკოლებში მანდატურების შეყვანა სავალდებულო არ იქნება, — ეს განცხადება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე გააკეთა.

მან დეპუტატებს ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი გააცნო, რომელიც კერძო სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის ამოქმედებას შეეხება. მისი ინფორმაციით, სამინისტროს მანდატურების შეყვანის თხოვნით კერძო სკოლებმა მიმართეს. საკანონმდებლო ცვლილებაც მათი თხოვნის საფუძველზე განხორციელდა. კერძო სკოლებში მანდატურის ხელფასს დამქირავებელი აანაზღაურებს.

# სომხები შაქრის გაძვირებას ქართველებს აბრალებენ



ამ დღეებში საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს შაქარმა აუწია. შაქრის აწევის მიზეზი ისევ შაქარი გახდა. არავინ იცის რატომ, მაგრამ მოულოდნელად შაქარი გაქრა და მისი შოვნა გაჭირვებით შეიძლებოდა.

ნათქვამია, დეფიციტი მაჩვენე და ფასის გაზრდას გაჩვენებო და ჩვენთანაც ასე მოხდა. თბილისში შაქრის ფასი სამ ლარამდე ავიდა. ზოგიერთ რეგიონში კი კილო შაქარი 4 ლარი გახდა.

საქართველოში დაწყებულმა შაქრიანმა ვნებათაღელვამ ჩვენს მეზობელ სომხეთშიც ჩააღწია. ახლა სომხები დგანან და გვედავებიან, თქვენ გამო გაგვიძვირდა შაქარიო.

სომხური საინფორმაციო სააგენტო „ნიუს.ამ" წერს, რომ მთელ მსოფლიოში შაქარზე ფასის ზრდის მიუხედავად, სომხეთში ეს პროდუქტი არ გაძვირებულა, რადგან ქვეყანაში ნედლეულის საკმარისი მარაგი იყო.

— თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელდა, რადგან მეზობელ საქართველოში შაქარი მკვეთრად გაძვირდა. ბოლო მონაცემებით, ამ ქვეყანაში შაქრის 50 კილოგრამიანი ტომარა 57 აშშ დოლარი ღირს, რაც 20.8 ათას დრამს უდრის ანუ, საქართველოში 1 კილოგრამი შაქარი 416 დრამი ღირს. ბუნებრივია, ქართველმა მეწარმეებმა შაქრის სომხეთში ყიდვა გადაწყვიტეს, რამაც აიძულა ახურიანსკის ქარხანა, პროდუქტზე ფასი აეწია, — წერს სააგენტო.

„ნიუს.ამ"-ის ინფორმაციით, სომხეთში შაქარი 350-360 დრამი (1 აშშ დოლარი) ღირს.

შორენა მარსაგიშვილი

# ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 6 წელი გავიდა



3 თებერვალს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 6 წელი გავიდა. საქართველოს ყოფილი პრემიერი 2005 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ოფიციალური ინფორმაციით, ყოფილი პრემიერის სიკვდილის მიზეზი არასწორად დამონტაჟებული გაზის გამათბობელი „ნიკალა" გახდა.

ამ ტრაგედიიდან 6 წელი გავიდა. ეს თემა საზოგადოებაში ისევ აქტუალურია; მოსახლეობას და ჟვანიას ახლობლებს დღემდე არ სჯერათ სიკვდილის ოფიციალური ვერსიისა.

ხელისუფლებაში მყოფი ჟვანიას მეგობრები, რა თქმა უნდა, ოფიციალურ ვერსიას იზიარებენ. თავის დროზე მათ ისტერიული წივილ-კივილით თქვეს უარი საპარლამენტო კომისიის შექმნაზე. არადა, ეს იმ ხალხმა გააკეთა, ვინც სწორედ ჟვანიას წყალობით მოხვდა ხელისუფლებაში.

მათი ნაწილი ყოველი წლის 3 თებერვალს „ბუკეტით" ხელში მიდის ხოლმე ჟვანიას საფლავზე. ტელეკამერების წინ მწუხარე სახეს იღებენ, ერთი-ორ კურცხალსაც გადმოაგდებენ და ჩივიან, ეს რა კაცი დავკარგეთო.

ჟვანიას დაღუპვა საქართველოსთვის მართლა დიდი დანაკლისი იყო. დღეს ყველა აღიარებს, ჟვანია რომ ყოფილიყო აგვისტოს ომი არ იქნებოდა და შესაძლოა საქართველოში სულ სხვანაირი ვითარება ყოფილიყო.

ჟვანიას სიკვდილის მეექვსე წლისთავზე მისი ახლობლები კვლავ შეიკრიბნენ საფლავზე. ზოგიერთი ვერ მოვიდა, საზღვარგარეთ იყვნენ მივლინებაში.

ყოფილი პრემიერის ოჯახის წევრებს, ბუნებრივია, არ სჯერათ გარდაცვალების ოფიციალური ვერსიის და რაც დრო გადის, მით მეტი კითხვა უჩნდებათ.

ჟვანიას მეუღლის ნინო ქადაგიძე-ჟვანიას განცხადებით, ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვა არსებობს, რომლებსაც პასუხები ადრე თუ გვიან აუცილებლად გაეცემა.

— სერიოზულია შეკითხვები ზურას გარდაცვალებასთან დაკავშირებით და ამ კითხვებს პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს. მე ეჭვი მაქვს, რომ ვიდრე ეს ხელისუფლებაა, უბრალოდ, ეს მდგომარეობა არ შეიცვლება, — განაცხადა ნინო ქადაგიძემ.

ალბათ ოდესმე დადგება დრო, როცა ყოფილი პრემიერის სიკვდილის საიდუმლო გაიხსნება, მანამდე კი საქართველოში ალბათ ბევრი რამე მოხდება.

# ხელისუფლება ინფლაციას ხელოვნურად იწვევს

საქართველოში სერიოზული ინფლაციაა. ქვეყნის პირველმა პირმა ცოტა ხნის წინ ერი „დაამშვიდა", ინფლაციას ვერ შევაჩერებთო. არადა, როგორც ექსპერტები ამბობენ, ხელისუფლებას შეუძლია ინფლაციის შეჩერება იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ თავად იწვევს ამ პროცესს.

„ეროვნული ფორუმი" და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია" ხელისუფლებას ინფლაციური პროცესების ხელოვნურ სტიმულირებაში ადანაშაულებენ.



ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციურ პროცესებთან დაკავშირებით „ეროვნული ფორუმის" ეკონომიკური მიმართულებების ხელმძღვანელმა ნოდარ ჯავახიშვილმა და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის" პრეზიდენტმა მერაბ ჯანიაშვილმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, ხელისუფლებას შეუძლია აკონტროლოს ქვეყანაში ინფლაციური პროცესები, თუმცა ამას შეგნებულად არ აკეთებს.

— ეროვნულ ბანკს აქვს უამრავი ინსტრუმენტი იმისა, რომ ფულის მასა არეგულიროს. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი საერთაშორისო სავალუტო რეზერვებია და ამ რეზერვებმა ქვეყანაში 2 მილიარდს გადააჭარბა და ამ სახსრებით თავისუფლად შეუძლია „ეროვნულ ბანკს", რომ არ დაუშვას ინფლაცია, — განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

მერაბ ჯანიაშვილის განცხადებით, ხელისუფლება ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ინფლაციის გამომწვევი მთავარი მიზეზი მსოფლიოში კვების პროდუქტების გაძვირებაა, თუმცა ეს ასე არ არის.

— არ საუბრობენ იმაზე, თუ რატომ აისახება ეს გაძვირება მხოლოდ საქართველოზე. 2010 წელს უკრაინაში ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ინფლაცია დაფიქსირდა, რომელმაც 9,1% შეადგინა. ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენს მეზობელ სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც როგორც წესი, მაღალი, ორნიშნა ინფლაციით ხასიათდებიან ხოლმე, მაგრამ წელს, რატომღაც, იქ ბოლო ათწლეულში ინფლაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა. რუსეთში — 8,8%, აზერბაიჯანში — 5.7%, — განაცხადა მერაბ ჯანიაშვილმა.

მისი თქმით, გაუგებარია, თუ მსოფლიოში ხორბლის ფასის გაძვირებამ საქართველოში 11,2%-იანი ინფლაცია გამოიწვია, იმავე ხორბლის გაძვირებამ სომხეთში რატომ არ წარმოშვა ორნიშნა ინფლაცია, რომელიც იმპორტზე საქართველოზე მეტადაა დამოკიდებული?!

„ეროვნული ფორუმი" და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია" მიმართავენ მთავრობას და „ეროვნულ ბანკს", აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა საქართველოში არსებულ ორნიშნა ინფლაციაზე და მის გადასაჭრელად ქმედითი ნაბიჯები გადადგან.

# ბური ფერმერების ლობირებაში სანდრა რულოვსს ადანაშაულებენ

ჩვენმა ხელისუფლებამ ცოტა ხნის წინ დაბურული მინები აკრძალა. სამაგიეროდ, ქვეყანა დაბურა. დღეს დიდი და პატარა ბურების ჩამოსახლებაზე საუბრობს. გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება 40 ათასი ბურის ჩამოსახლებას გეგმავს.

ამ ინფორმაციას ხელისუფლება თავიდან კატეგორიულად უარყოფდა. ბოლო პერიოდში კი „ნაგლად" დაგვიწყეს იმის მტკიცება, რომ ბურები კარგი მიწათმოქმედები არიან და ჩვენს სოფლის მეურნეობას მხოლოდ ისინი გადაარჩენენო.

ხელისუფლებამ სხვა სასიამოვნო ამბავიც გაამჟღავნა. მათი განცხადებით, ბურების მოსაზიდად სპეციალური ვებ-გვერდით კი შეიქმნა.

ბურიანობამ მთელი საზოგადოება და ოპოზიცია ააფორიაქა. საქართველოში პარტია არ დარჩენილა, ვინც საქართველოში ბურების ჩამოსახლება არ გააპროტესტა. ამ მხრივ უკან არც პარტია „თავისუფალ საქართველოს" დაუხევია.

ამ საკითხთან დაკავშირებით მათ საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. როგორც „თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენელმა მირიან ნიკოლაძემ განაცხადა, ისინი სამხრეთ აფრიკიდან ბური ფერმერების საქართველოში ჩამოსახლებაში ხედავენ დემოგრაფიულ საფრთხეს.

ნიკოლაძემ განმარტა, რომ კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში გაცილებით კარგი ფერმერები არიან



და კარგად ესმით სოფლის მეურნეობა, ვიდრე ბურებს და ხელისუფლებას თუ ამ სფეროს განვითარება სურდა, ფერმერები სხვა ქვეყნებიდან უნდა ჩამოეყვანა.

მისივე განცხადებით, ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ბურებთან მიმართ, არის დაკავშირებული სანდრა რულოვსის და ჰოლანდიის ინტერესებთან და სწორედ პირველი ლედი ლობირებს ბური ფერმერების საქართველოში ჩამოყვანას.

ნიკოლაძის განცხადებით, სამხრეთ აფრიკელი ბურები ჰოლანდიური წარმოშობის არიან, მათ ადგილობრივი შავკანიანი მოსახლეობა ავიწროებს და ამიტომაც სურთ საქართველოში ჩამოსახლება.

# ნიკო ფიროსმანის დღემდე უცნობი ტილო საზღვარგარეთ გატანას გადაურჩა

ნიკო ფიროსმანის საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი ტილო „მამალი და კრუხ-წიწილა" საზღვარგარეთ გატანას გადაურჩა. მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს დამნაშავეთა ჯგუფის წევრები, რომლებმაც ტილო კერძო კოლექციონერისგან შეიძინეს და მის საზღვარგარეთ გაყიდვას ცდილობდნენ.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებასთან ითანამშრომლა საქმის მონაწილე ერთ-ერთმა პირმა, რომლის მეშვეობითაც დაიგეგმა ე.წ. შეხვედრა ნახატის შესაძენად. მისი გასაყიდი ფასი ჯგუფის წევრებმა ნახევარი მილიონი დაასახელეს, თუმცა შემდეგ ეს თანხა 150 ათას აშშ დოლარამდე შეამცირეს. ისინი თავადაც არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ორიგინალს ყიდდნენ. ექსპერტიზამ სურათის ნამდვილობა დაადასტურა და ის უკვე გადაეცა ეროვნულ მუზეუმს.

# სააკაშვილის პიარი ძვირი ჯდება

ჩვენში არაერთხელ ატყდა ხმაური იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება ლობისტურ კომპანიების ძალიან დიდ თანხებს უხდის. ამ ფაქტს არც ხელისუფლება უარყოფს. ჩვენს პრეზიდენტს არაერთხელ უთქვამს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს იმიჯის დამკვიდრებისთვის დიდი თანხები იხარჯება.

იანვრის თვეში ჩვენი პრეზიდენტი ამერიკის პრეზიდენტს ბარაკ ობამას შეხვდა. ნაციონალებმა ამის გამო აგვიკლეს. ოპოზიციის მტკიცებით კი ეს თანხა ძალიან დიდი ფული დაჯდა. ამასთან ექსპერტები ამტკიცებენ, რომ სააკაშვილმა და მისმა ამფსონებმა ობამა კორიდორში გამოიჭირეს.



„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" მთავარი საბჭოს წევრი მანანა სალუქვაძის განცხადებით, გულმოდგინედ იმალება ის თანხები, რაც ჩვენი ხელისუფლების პიარისთვის იხარჯება.

ლობისტურ კომპანიებს სააკაშვილი გაპრეზიდენტებისთანავე ჩაეხუტა და ბლომად ფულიც გადაუხადა. ამ მიმართულებით ხელისუფლება განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ გააქტიურდა.

— საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყდნობით შეიძლება ითქვას, რომ დაქირავებული უცხოური ლობისტური კომპანიების რაოდენობა და, შესაბამისად, დახარჯული თანხების ოდენობა 2008 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. ცოტა ხნის წინ პრესით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2004 წლიდან 2010 წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობას ამერიკული ლობისტური კომპანიებისთვის, ხაზს ვუსვამ, მხოლოდ ამერიკული ლობისტური კომპანიებისთვის — 2.600.000 აშშ დოლარი აქვს გადახდილი. ამ თანხის ნახევარზე მეტი კი, 2010 წელს იქნა გადახდილი! საქართველოს მთავრობამ ისეთ ცნობილ ლობისტურ კომპანიებს, როგორებიცაა The Podesta Group7 The Iftaca Group და Gephardt Group 1,306,800 ამერიკული დოლარი გადაუხადა. ამ თანხიდან ყველაზე მეტი, 600.000 აშშ დოლარი, The Podesta group-ს შეხვდა, რადგან სწორედ ამ კომპანიის დიდი ძალისხმევით შედგა აშშ-ს პრეზიდენტსა და სააკაშვილს შორის შეხვედრა ამა წლის იანვრის შუა რიცხვებში, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მანანა სალუქვაძემ.

მისი ინფორმაციით ამ კომპანიასთან საქართველოს მთავრობამ ერთწლიანი კონტრაქტი 2010 წლის 12 იანვარს გააფორმა. აღნიშნული კომპანია ვაშინგტონში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კომპანიად ითვლება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლადო ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსულ მასალებს არ ვრეცენზირებთ და ავტორებს არ ვუბრუნებთ.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, ხელახლა და სარეკლამო განცხადებების ხელახლა ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

ნონა ცაბა ე

# ოპოზიცია აგენტებით გაივსო

## ხელისუფლება ჰომოსექსუალისტების პროპაგანდას ეწევა



### ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

***— ბატონო სანდრო, 2007 წლის ნოემბერი დღეს კვლავ აქტუალურია. არ წყდება საუბარი იმის შესახებ, თუ რამდენი მილიონი მისცა პატარკაციშვილმა ოპოზიციას და ვინ რამდენი დახარჯა. თქვენთვის თუ არის რაიმე ცნობილი ამის შესახებ? მართლა მისცა ბადრი პატარკაციშვილმა ოპოზიციას ამხელა თანხა?***

— პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ მე მაგ აქციებში აქტიურად არ ვმონაწილეობდი, იმიტომ რომ არ ვიყავი საქართველოში და არ ვიყავი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართული. თუმცა, მე რა ინფორმაციაც მაქვს, ბადრი პატარკაციშვილი გარკვეულწილად აფინანსებდა ოპოზიციას, მაგრამ დღეს ამ თემის წამოწევა შედის ხელისუფლების ინტერესებში. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც დღეს საუბარს იწყებს ამ თემაზე, რა თქმა უნდა, ნებსით თუ უნებლიეთ ასრულებს ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების დავალებას, რათა გააშავოს ოპოზიცია მოსახლეობის თვალში და ხელ-ფეხი გაუხსნას ხელისუფლებისგან ნამდვილად მართვად ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც თავმოყრილი არიან პარლამენტსა და საკრებულოში. მე პირდაპირ ვაცხადებ ამას, რომ ეს ძალა, პირველ რიგში, გახლავთ თარგამაძის ქრისტიან-დემოკრატები, რომლებიც უშუალოდ სახელისუფლებო სტრუქტურაა, ძალოვანი სტრუქტურების დანამატი და ასრულებს თავიდან ბოლომდე ძალოვანი სტრუქტურების დავალებას. მომავალ საქართველოში მათ წარმოუდგენიათ, რომ მხოლოდ რამდენიმე ძალა უნდა იყოს პარლამენტში წარმოდგენილი. ეს უნდა იყოს ნაცმოძრაობა, თარგამაძის პარტია და ალასანიას პარტია. მეტი მათ არც არავინ სჭირდებათ. ამისთვის ხელისუფლებამ შეიმუშავა მშვენიერი გეგმა — ის წმენდს ოპოზიციურ ფლანგს იმისათვის, რომ ამ ოპოზიციურ ფლანგზე თეთრი ცხენით შემოგრიალდეს მისი დანამატი, არათუ მისგან მართული, არამედ, მისი დანამატი, მისი სისხლი და ხორცის ნაწილი. ახლა რაც შეეხება ამ თემას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს თემა წამოწია ვალერი გელბახიანმა.

***— დიახ, ვალერი გელბახიანი და პატარკაციშვილის პრესსამსახურის უფროსი ელისო კილაძე საუბრობენ ამის შესახებ...***

— მე ქალბატონ ელისო კილაძეზე ვერაფერს ცუდს ვერ ვიტყვი. რაც შეეხება ვალერი გელბახიანს, არც მასზე ვაპირებ ცუდის თქმას. ის დევნილია, თუმცა, მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ვალერი გელბახიანს სურს საქართველოში დაბრუნება და უსაფრთხოების გარანტიების მიღება. ამასთან დაკავშირებით მან ერთი ადამიანი მიუგზავნა ხელისუფლებას, ძალოვანი უწყების მაღალჩინოსნებს და აქედან პასუხი ასეთი იყო, რომ მან ეს უნდა დაიმსახუროს. ეტყობა, დამსახურების პროცესი დაწყებულია და ეს არის ოპოზიციის დისკრედიტაცია. ერთი რამე არ მესმის — თუ ამდენი წლების განმავლობაში იცოდა გელბახიანმა იმის შესახებ, რომ ოპოზიციას ჰქონდა ფული მოტეხილი, მაშინ ამდენი ხანი რატომ ჰქონდა პირში წყალი ჩაგუბებული და რატომ არ საუბრობდა ამაზე? მხოლოდ დღეს გაახსენდა ეს თემა? მეორესაც გეტყვით — მამაკაცები ქალებისგან არა მარტო იმით განსხვავდებიან, რომ კაბა არ აცვიათ და შარვლით დადიან, არამედ, იმითაც, რომ ბევრი სხვა ღირსებაც უნდა ჰქონდეთ, საიდუმლოს შენახვა უნდა შეეძლოთ. დღეს საკმაოდ ბევრ მამაკაცს ვხედავ, რომელსაც კაბას სიამოვნებით ჩავაცმევდი, რომლებიც ორლობის დედაკაცებივით დადიან და ჭორაობენ. არ შეიძლება, თუ მამაკაცი ხარ, იჭორაო ან საიდუმლოება გათქვა. თუ აფინანსებდა ოპოზიციას, ძალიან კარგსაც შვრებოდა, უბრალოდ ერთი რამ მინდა გითხრათ — კიდევ უფრო მეტად უნდა დაეფინანსებინა მას ოპოზიცია და საერთოდ საპრეზიდენტო კანდიდატად თავისი კანდიდატურა არ უნდა დაეყენებინა. ვინც ბადრი პატარკაციშვილს ურჩია, თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა საპრეზიდენტო არჩევნებზე, სწორედ ის გახლდათ ბადრი პატარკაციშვილის მტერი და ის გახლდათ ადამიანი, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილის დაღუპვაში დიდი წვლილი შეიტანა, იმიტომ რომ ყველამ კარგად იცოდა, ბადრი პატარკაციშვილი საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. დიდ პატივს ვცემდი ამ კაცს, ბევრი მეგობარი მყავს ებრაელი და საერთოდ ებრაელ ერს ძალიან დიდ პატივს ვცემ. მათ მსოფლიოს ბევრი დიდი ადამიანი აჩუქეს, მაგრამ ვერასოდეს არაქართული წარმომავლობის ადამიანი საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდება. ადამიანს როცა ამას ჩააგონებ და წინასწარ იცი, რომ განწირულია დამარცხებისთვის, ეს უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ის, რომ ვიღაცამ ვიღაცას ფული გამოართვა თუ არ გამოართვა, თუმცაღა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, მე ამ პროცესებში არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია, იმიტომ რომ ფიზიკურად საქართველოში არ ვიყავი და მონაწილეობას არ ვიღებდი იმ მოძრაობაში, რაც 7 ნოემბრის პერიოდში იყო. მე საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ჩამოვედი და აქტიურად ჩავები პოლიტიკურ პროცესებში.

***— ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი მაინც ოპოზიციის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული?***

— ეს ხელისუფლების მიერ არის დაგეგმილი. ოპოზიციაში ბევრია მოუქნელი ადამიანი, ასევე საკმაოდ ბევრია აგენტი, რომლებიც შეგზავნილი არიან. აგენტები, რა თქმა უნდა, მიზანმიმართულად აკეთებენ იმას, რომ დისკრედიტაციას უწევენ ოპოზიციას. ის ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურად მოუქნელები და ხისტები არიან, ძალიან ადვილად წამოეგნენ სპეცსამსახურების მიერ შემოგდებულ თემას, ახლა ხელში უჭირავთ დიდი ხმლები და ერთმანეთს აჭრიან თავს. რა უბედურებაა, რა სჭირს ამ ხალხს, თანაც, ვის სად რა და როდის აქვს ნალაპარაკევი, დღეს გამოაქვთ სააშკარაოზე და ამაზე საუბრობენ. სიმართლე რომ გითხრათ, ეს არის ჩაშვების ინსტიტუტი. ადამიანმა თუ რაღაც დანაშაული ჩაიდინა, ის უნდა ამხილო, მაგრამ, ვიღაცამ ვიღაცას ოდესღაც ფული ასესხა, ვიღაცას საყვარელი ყავს, ვიღაცა ვიღაცას სადღაც შეხვედრაზე გაჰყვა, დღეს დგანან და ერთმანეთზე ავრცელებენ ჭორებს, ერთმანეთს ლანძღავენ, აგინებენ და ამით არიან დაკავებული. ეს, იცით, რას ჰგავს? — როდესაც დიდს ვერ მოერევიან პატარა გიენები, შემდეგ ერთმანეთის ჭამას იწყებენ. არ მინდა, ეს ადამიანები გიენებს შევადარო, მაგრამ, რა უბედურებაა, გაჩერდნენ, რა ამბავია ამდენი ერთმანეთის ლანძღვა-გინება. მეც ძალიან ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობ. მეორეც, პოლიტიკაში მუდმივად არის ე.წ. შავი ფულის თემა. შავი ფული ნიშნავს ქეშს, რომელიც არ ჩანს. ეს ადამიანები მეორედ და მესამედ ერთმანეთს ენდობიან თუ რას იზამენ?! მე როგორც ვხედავ, ეს ყველაფერი მართული პროცესია. არ მინდა, სახელები და გვარები დავასახელო, მაგრამ ასპარესზე გამოჩნდნენ ვითომ ახალი პოლიტიკური მოძრაობები. სპეციალურად ავრცელებენ ამ ხმებს და უნდა ნახოთ, რა საქმის გარჩევებია, რაები ხდება. ამას შევადარებდი ორლობის დედაკაცების ჭორაობას, რომლებსაც საქმე არა აქვთ და ერთმანეთს უვრცელებენ ჭორებს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაჩერდეს ეს პროცესი, ყველა უნდა მიხვდეს, რომ ერთმანეთისთვის თავების დაჭრა ძალიან ცუდი რამ არის. ძალიან ბევრი ოპოზიციონერი გამიკრიტიკებია მისი პოლიტიკური მრწამსის გამო, მაგრამ მასზე ჭორაობას არასდროს მოვყოლილვარ. ის, რაც დღეს ხდება, უკვე ამაზრზენია. ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ხალხს ოპოზიცია შეაძულონ. სხვათა შორის, კარგად განხორციელდა ეს გეგმა, მოსახლეობას ოპოზიცია შეაზიზღეს და ახლა ეუბნებიან, კი, არ ვვარგივართ, მაგრამ, ჩვენ რომ წავიდეთ, ესენი უნდა მოვიდნენ? სვამენ კითხვას და ამ დროს ისმის პასუხი, რომ არა ესენი არ უნდა მოვიდნენ. მაშინ ისევ ჩვენ უნდა ვიყოთ.

***— დღეს უმძიმესია სოციალური ფონი, მოსახლეობა მაინც შეჰყურებს ოპოზიციას, რომ ის თავის სათქმელს იტყვის და ამ ფონზე ხელისუფლება ცდილობს, მოხდეს ოპოზიციის დისკრედიტაცია...***

— ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ ეს ადამიანები, ეტყობა, არც ოჯახებში არიან გაზრდილები, არც მეგობარი ჰყოლიათ ოდესმე და არც მეგობრის საიდუმლო ჰქონიათ შენახული, ამავდროულად, ასრულებენ სპეცსამსახურების დავალებებს. მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ელის ძალას, რომელიც მას გამოიყვანს ამ ჩიხიდან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ქვეშევრდომები (პარტნიორები კი არა, სააკაშვილს პოლიტიკური პარტნიორები არასდროს ჰყოლია, მას ჰყავდა მონები, თავისი ქვეშევრდომები, რომლებიც მისი ნება-სურვილის უტყვი შემსრულებლები იყვნენ) ვერასოდეს დაამარცხებენ მიხეილ სააკაშვილს. ეს მიხეილ სააკაშვილმა იცის მშვენივრად და მაქსიმალურად ხელს უწყობს თავის ქვეშევრდომებს, რომ ისინი იყვნენ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები. ყოფილი ქვეშევრდომები ვერასოდეს დაამარცხებენ მიხეილ სააკაშვილს. ისინი თავის დროზე მონური ერთგულებით ემსახურებოდნენ სააკაშვილის ხელისუფლებას და მონური სიყვარულით უყურებენ თავიანთ მაშინდელ ლიდერს. სააკაშვილს მათი არ ეშინია და არც შეეშინდება, ამიტომ მათ მოპარულ მილიონებსაც პატიობს. თქვენ რა გგონიათ, სააკაშვილს რომ უნდოდეს მისი გუნდიდან წასულის დაჭერა, ერთ დღეში ვერ დაიჭერს? როგორ ვერ დაიჭერს. მათ ამ მოპარულ მილიონებსაც პატიობს და გზასაც უხსნის პოლიტიკურ ასპარესზე, იმიტომ რომ ისინი ადვილად დასამარცხებლები არიან, ხოლო იმ ძალებს, ეროვნულ ძალებს, რომლისაც მართლაც ეშინიათ ხელისუფლებო სტრუქტურებს, ელემენტარულად, ყველანაირი არსებობის წყარო გადაკეტილი აქვთ. ისინი არიან ზნეობრივები, ისინი არიან საშიში ხელისუფლებისთვის, მაგრამ არიან აბსოლუტურად უსახსრონი და მათთვის ყოველთვის გადაკეტილია არსებობის საშუალება. ამიტომ ეს მექანიზმი მშვენივრად არის აწყობილი. გამოსავალი რაშია? გამოსავალი იმაშია, რომ ოპოზიციური მოძრაობის სათავეში უნდა ჩადგნენ ეროვნული ძალები, რომლებიც არ ყოფილან არც მოქალაქეთა კავშირში და არც სააკაშვილის ნაციონალურ მოძრაობაში, მით უმეტეს, არასოდეს ყოფილან სააკაშვილის ხელის ბიჭები. გარწმუნებთ, ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებიდან იქნენ გამოგდებული, იყვნენ სააკაშვილის ხელის ბიჭები, სააკაშვილის მონები. ჩემი თვალითაც მაქვს ნანახი, როდესაც პარლამენტში ერთად ვისხედით, სააკაშვილი როგორ ექცეოდა იმ გუნდის წარმომადგენლებს, რომლებიც დღეს ოპოზიციაში არიან. ახლა არ მოვყვები, ვინ ვის ურტყამდა იმ დროს პანჩურს, რადგან ჭორაობა გამომივა. ეს ადამიანები ვერასოდეს დაამარცხებენ სააკაშვილს და გინდა ნიუ იორკში იყვნენ, გინდა პარიზში, იქიდან რამდენიც არ უნდა იტრაბახონ და იბაქიბუქონ, არაფრის გამკეთებლები არ არიან. დღეს ქართველმა ერმა უნდა მოახერხოს ეროვნული ძალების კონსოლიდაცია და სწორედ ეროვნული ძალები გაიყვანენ ქვეყანას სამშვიდობოს. დავსვამ კითხვას: რა განსხვავებაა რესპუბლიკელებსა და გიგა ბოკერიას შორის? არანაირი განსხვავება არ არის. უბრალოდ, ის განსხვავებაა, რომ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა შედარებით ბებერ რესპუბლიკელებს ამჯობინა ბევრად უფრო ენერგიული გიგა ბოკერია. ამის გამო გიგა ბოკერიას გადაეკიდნენ ძმები ბერძენიშვილები და დღემდე ლანძღავენ. მათ შორის არანაირი იდეოლოგიური სხვაობა არ არის. ისინი არიან ერთნი, ერთი გუნდის წარმომადგენლები. იგვე ოქრუაშვილი ავიღოთ — ვინმე სურს, რომ ოქრუაშვილი საქართველოში დაბრუნდეს? მე არ მინდა ოქრუაშვილის საქართველო! ეს სისტემა თავიდან ბოლომდე დანერგილია ირაკლი ოქრუაშვილის მიერ. ხალხს დაავიწყდა თუ რა უბედურება გვჭირს, ბუტა რობაქიძის მკვლელობის დროს შინაგან საქმეთა მინისტრი ვინ იყო და ვინ ჩაუდო იარაღი გარდაცვლილ 21 წლის ბიჭს, თითქოს ის ყაჩაღური დაჯგუფების წევრი იყო. ვინ იყო ის ადამიანი, რომელიც ტიტლიკანა ატარებდა დაჭერილ ხალხს ქუჩაში? ვინ იყო ის ადამიანი, რომელიც დედას აგინებდა ჯარისკაცებს, ერთი სიტყვის ფასადაც ადამიანებს სიცოცხლეს უმწარებდა და ცხოვრებას უნგრევდა? ასეთი ადამიანის დაბრუნება გვინდა?! ვერ დაბრუნდება, იმიტომ რომ პარიზიდან ბაქიბუქი მაგარია, ბოდიში და ერთი ადგილი არა აქვთ, რომ თავი გაწირონ. არ გვინდა ეს ადამიანები! ხელისუფლება რომ შეიცვლება, მის ადგილას უნდა მოვიდეს უკეთესი. ერთია, რომ უნდა შეიცვალოს სააკაშვილის ხელისუფლება, მეორე, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, ვინ უნდა შეცვალოს სააკაშვილის ხელისუფლება. სააკაშვილის ხელისუფლება უნდა შეცვალონ მხოლოდდამხოლოდ ზნეობრივმა ძალებმა.

***— თქვენ საუბრობდით ხელისუფლების ცვლილებებსა და ახალ სქემაზე, თუ ვინ დაიკავებს სააკაშვილის შემდეგ თანამდებობას. საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?***

— ეს ინფორმაცია მაქვს ამერიკელებისგან. ამერიკელებთან აქტიურად განიხილება გეგმა იმის შესახებ, რომ თუკი სააკაშვილი დაარწმუნეს და ამერიკელები რომ ეტყვიან, ის, ალბათ, ამას შეასრულებს. იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი არ იქნება პრემიერ-მინისტრი, მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება გიგი უგულავა, პრემიერობისა — კახა ბენდუქიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი იქნება ბატონი ბოკერია, ხოლო უშიშროების მინისტრი — მერაბიშვილი. ეს სქემა და ეს პერსონალიები განიხილება დღესდღეობით აქტიურად და მიმდინარეობს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დაიწყეთ ახალი დღე

„ახალ ქართულ პროზასთან" ერთად!

ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ „გუმბათთან" ერთად შეიძინეთ „ახალი ქართული პროზის" ახალი ტომი

7 თებერვლიდან გაიყიდება მე-7 ტომი



ჟურნალი წიგნთან ერთად 3 ლარი ღირს

# სააკაშვილის მხარდამჭერის ლიმიტი კარგა ხანია ამოწურულია

გულიკო ბალა ე

## ინტერვიუ მწვანეთა პარტიის ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძესთან

***— ბატონო გიორგი, ტუნისსა და ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენების ფონზე სააკაშვილის პოზიციები ხომ არ შესუსტდება?***

— პროცესები, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარეობს, ძალიან საინტერესოა გლობალური მასშტაბით, რადგან, ყველა საერთაშორისო შეფასებებით, საქართველოც იმ კატეგორიის ქვეყნების რიცხვშია, როგორებიც არის ეგვიპტე და ტუნისი. არსებობს უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც აფასებენ სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობას. არის ასეთი ძალიან საინტერესო კვლევა, რომელიც ეხება არშემდგარ სახელმწიფოებს. გამოკვლეულია 177 ქვეყანა. მათში შედის განვითარებული ქვეყნებიც. იქ არის გამოყოფილი 39 ქვეყანა, რომლებსაც ჰქვიათ არშემდგარი სახელმწიფოები. მასში შედის ქვეყნები, რომლებმაც ვერ მოახერხეს, შეექმნათ ის ნიშნები, რომლებიც სახელმწიფოს გააჩნია. ე.ი. ეს ისეთი სახელმწიფოებია, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ ძირითად ფუნქციას, მოსახლეობის, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

***— სააკაშვილი თავს იქებს, არშემდგარი სახელმწიფო ჩავიბარე და საქართველო, როგორც სახელმწიფო, შედგაო.***

— არშემდგარი სახელმწიფოების 177 ქვეყანას შორის ჩვენ 37-ე ადგილზე ვართ. ჩვენ შემდეგ მოდის ტაჯიკეთი.

***— ძალიან „საპატიო“ ადგილი გვქონია.***

— მხოლოდ ეს არ არის. არის მონაცემები, რომელსაც ქვეყნების კრიმინალიზაცია და დელეგიტიმაცია ჰქვია. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რამდენად არალეგიტიმურია ესა თუ ის სახელმწიფო კრიმინალური თვალსაზრისით. ეს მონაცემები საზოგადოებაზე არ არის დამოკიდებული, საზოგადოება თავისთვისაა, ხელისუფლება — თავისთვის. კრიმინალიზაციისა და დელეგიტიმაციის თვალსაზრისით მსოფლიოში საქართველო მე-13 ადგილზეა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და რეგიონში, რომელშიც შედის თურქეთი, ირანი და ა.შ. — პირველ ადგილზეა. აქ არის ძალიან საინტერესო შეფასება, რომელსაც ჰქვია სახელმწიფო სახელმწიფოში. ეს ეხება ძალისმიერი რეპრესიული მანქანის გავლენას. ე.ი. ამ კვლევით ჩანს, სახელმწიფოში ვინ არის ძირითადი ბერკეტი. ამით მსოფლიოში მეათე ადგილზე ვართ, რეგიონში კი — მეორეზე. მხოლოდ უზბეკეთი გვისწრებს. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველო პოლიციური სახელმწიფოა და ქვეყანაში პროცესებს მართავენ არა დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებებით, არამედ ჩექმით, ცემა-ტყეპით, ტერორით. ე.ი. ეს არის ტერორისტული სახელმწიფო. ამას ამტკიცებს ის მონაცემებიც, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ — რამდენი პოლიციელია საქართველოში 1000 სულ მოსახლეზე. ამ მონაცემებმა გაგვაოგნა. საქართველოში 1000 სულზე 6 პოლიციელი მოდის. ბელორუსიას მსოფლიო რეკორდი მოხსნილი აქვს — 1000 სულზე 14 პოლიციელია. ჩვენ მესამე ადგილზე ვართ. ცივილიზებულ სახელმწიფოებში, მაგალითად, ესტონეთში 1000 სულზე ორ-ნახევარი პოლიციელია, ნორვეგიაში — ერთ-ნახევარი, აშშ-ში — 2, შვედეთში — 2, შვეიცარიაში — 2, პოლონეთში — 3, ბრიტანეთში — 3, საფრანგეთში — 2. ისრაელს, რომელსაც მუდმივი კონფლიქტი აქვს, 1000 სულზე 4 პოლიციელი ჰყავს.

***— მე მგონი, ჩვენს მონაცემებს უნდა დავამატოთ მანდატურების რაოდენობაც.***

— ჰო, ამ მონაცემებში არ იგულისხმებიან ის პოლიციელები, რომლებიც შს სამინისტროს შტატში არ არიან. მანდატურები განათლების სამინისტროს შტატებშია. მათი რაოდენობა ჩვენ არ ვიცით, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში 3 ათასამდე სკოლაა, ხოლო თითოში 2 მანდატური მაინც არის. ახლა მიიღეს პროგრამა, რომ მანდატურები კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშიც უნდა შეუშვან. ფაქტობრივად, რუსეთის დონეზე გავალთ პოლიციელების რაოდენობით 1000 სულზე გაანგარიშებით.

***— როგორც ვიცით, მანდატურები სკოლის ყველა პროცესში ერევიან და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძალოვანი სტრუქტურები ქვეყანაში არ ტოვებენ არც ერთ სეგმენტს კონტროლის გარეშე. ადმინისტრირება ძალიან მაღალ დონეზეა.***

— სწორედ ამას ნიშნავს „სახელმწიფო სახელმწიფოში“, რაც ბიუჯეტშიც აისახება. საერთოდ, ძალისმიერების (რომელშიც შედის შს სამინისტრო და სხვა ძალისმიერი სტრუქტურები) რიცხვი, მათ შორის, ვისაც სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხელფასს უხდიან, არის 78%.

***— ეს ძალიან დიდი ციფრია...***

— დიახ. პოლიციის შრომის ანაზღაურებაზე სახელმწიფო ბიუჯეტის 32% იხარჯება, მაგრამ მხოლოდ ძალისმიერი სისტემა არ არის, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას...

***— ხელისუფლების...***

— დიახ, ხელისუფლების... მასში შედის პარლამენტი, კანცელარიის შტატები და უამრავი სხვა დაწესებულება. მათი დაფინანსება მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 55%-ს შეადგენს მაშინ, როდესაც გარემოს დაცვაზე იხარჯება 2,3%, ეკონომიკურ საქმიანობაზე — 5%, განათლება, მეცნიერებაზე — 9%, ჯანმრთელობის დაცვაზე — 6,5%. ასეთი ქვეყანაა დღეს რეალურად. ყველა სახელმწიფო წარმონაქმნს (როგორიც არის პარლამენტი, მთავრობის სტრუქტურა, პრეზიდენტის კანცელარია, ძალისმიერები და ყველა ერთად), ჩვენ ვინახავთ. ე.ი. ამ ტერორისტულ სტრუქტურებს ვინახავთ იმისათვის, რომ გვწეწოს, დაგვიჭიროს, დაგვაპატიმროს. ეს ყველაფერი უზრუნველყოფილია სხვა სისტემებითაც. სასამართლო საქართველოში დამოუკიდებელი რომ იყოს, ესენი ასე ვერ იჯეჯილებდნენ. ამიტომ სასამართლოც მიბმულია ამ სისტემასთან. ამიტომაცაა, რომ ციხეებში ადგილი აღარ აქვთ. 2010 წლის ნოემბრის მონაცემებით, 23 ათას 600 კაცი ზის ციხეებში. მთელ მსოფლიოში ამ მხრივ რეკორდი მოვხსენით, რადგან გამოდის, 100 ათას მოსახლეზე დაახლოებით 540 პატიმარია. ესეც შეფასებულია გარკვეული ფონდების მიერ. ამ საკითხებს უზარმაზარი საერთაშორისო ორგანიზაციები სწავლობენ და აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში რუსეთი გვისწრებს, რომელსაც 100 ათას სულზე 600 პატიმარი ჰყავს.



***— ალბათ, ამ მონაცემებში არ არის შეტანილი იმათი ოდენობა, ვისაც საპროცესო გარიგება გაუფორმეს.***

— დიახ. ასევე ამ მონაცემებში არ არის შეტანილი წინასწარი დაკავების იზოლატორებში მყოფი პატიმრების რაოდენობა. ცივილიზებულ ქვეყნებში, მაგალითად, ფინეთში 100 ათას კაცში 60 პატიმარია, გერმანიაში — 90, შვეიცარიაში 75.

***— ყველა მონაცემი ადასტურებს, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია ძალადობრივი სისტემა და ჩვენ ვცხოვრობთ ტოტალიტარულ სახელმწიფოში?***

— დიახ, საქართველოში ჩამოყალიბებულია სისტემა, სადაც პოლიცია მართავს პროცესებს, რომელიც გამაგრებულია უსამართლო სასამართლოთი და ციხეებში არსებული ტერორით. არსებული ხელისუფლება ამით არის ძლიერი. მხოლოდ ეს რომ იყოს, კიდევ არა უშავს. ახლა გამოქვეყნდა ახალი მასალები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (დაოსის) კვლევითი ცენტრის მიერ. ჩატარებულია ყველაზე მნიშვნელოვანი სერიოზული კვლევები 130 ქვეყანაში. ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო გამოკვლეულია. ეს იმიტომ კეთდება, რომ ბიზნესმენებმა და კორპორაციებმა შეაფასონ, ღირს თუ არა ამ ქვეყანაში რაიმე საქმიანობის დაწყება, ინვესტიციების ჩადება. კვლევას ჰქვია ქვეყნის კონკურენტუნარიანობა. მასში არის მონაცემი, რომ საქართველო მართლაც არის მესამე ადგილზე მსოფლიოში ბიზნესის გახსნის სისწრაფით. მაგრამ ვაი შენი ტყავის ბრალი, თუ ბიზნესი გახსენი, მერე ნახეთ, რა ხდება.

***— რა ხდება?***

— აქ არის მონაცემი, რომელიც საკუთრების უფლების დაცვას ასახავს. ამ მონაცემით 104-ე ადგილზე ვართ. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და, საერთოდ, მონოპოლიების გავლენით საქართველო 95-ე ადგილზეა 135 ქვეყანაში. აქედან პირდაპირ ჩანს, რომ, გარდა იმისა, არსებობს რეპრესიული მანქანა, რომელიც ადამიანებს აშინებს, იჭერს, ატერორებს, პარალელურად ისეთ ვითარებას ქმნის, რომ ვერავითარი ეკონომიკა მისგან დამოუკიდებლად ვერ განავითარო. კი, ბატონო, გახსენი ბიზნესი, მაგრამ, როცა მინდა, მაშინ დაგარბევ, როცა მინდა, მაშინ წაგართმევ. ამიტომ ვართ საკუთრების დაცვის მხრივ 120-ე ადგილზე მსოფლიოში. მათ შექმნეს მათი მონოპოლიები. ცხვირს ვერ შეყოფ ბიზნესში ვერანაირად. მოკლედ, ფულს ვერ იშოვი. გეუბნებიან, შიმშილით მოკვდიო.

***— მას შემდეგ, რაც ტუნისში, ეგვიპტესა და იორდანიაში რევოლუციური სიტუაციები შეიქმნა, გაჩნდა აზრი, რომ შეიძლება მსგავსი რამ ჩვენთანაც მოხდეს. იმ ქვეყნებში შექმნილმა სიტუაციამ რა გამოძახილი შეიძლება ჰპოვოს ჩვენთან?***

— აშშ-ის რამდენიმე ინსტიტუტმა გამოაქვეყნა საფრთხის შემცველი ქვეყნების რეიტინგები, სადაც შეიძლება მოხდეს არეულობები. იქ საქართველო მე-4 ადგილზეა. ბუნებრივია, ისინი ამ ინდექსებს აჯამებენ. რა თქმა უნდა, საქართველოში რევოლუციის საფრთხე რეალურია, მით უმეტეს, ფასების ფანტასტიკური ზრდისა და საკუთარი მოსახლეობის მიმართ საშინელი, დაუნდობელი პოლიტიკის ფონზე. არსებობს კიდევ სხვა მონაცემები, რომლებიც აშკარად გვიჩვენებს, რომ შეიძლება საქართველოში უბუდერება დატრიალდეს. არსებობს ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი.

***— ეგ ძალიან საინტერესოა. ნეტა ვინ არიან ბედნიერი ქვეყნების რიცხვში?***

— გამოკვლეულია 160 ქვეყანა. სამი კითხვაა დასმული: 1. კეთილდღეობაში ცხოვრობ თუ არა? 2. დაძაბულობაში ხარ მუდმივად თუ არა? 3. იტანჯები თუ არა? საქართველოში ამ მონაცემებით იტანჯება მოსახლეობის 35%.

***— წარმოგიდგენიათ?..***

— ჩვენ გვისწრებენ ჰაიტი და ბორუნდი. ბორუნდიში იტანჯება 40%; ცივილიზებულ სახელმწიფოებში — დანიაში იტანჯება — 1%, ჰოლანდიაში — 1%, ფინეთში — 2% ნორვეგიაში — 0%. მეორე კითხვაა საინტერესო — რამდენად დაძაბული ცხოვრობენ ადამიანები და განერვიულებული, გაღიზიანებული არიან თუ არა. საქართველოში ასეთი არის 56%. საქართველოში მხოლოდ 9-10%-ია, რომელიც ამბობს, რომ კეთილდღეობაშია. ეს ხალხის ის რაოდენობაა, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებში დიდ ხელფასებს იღებენ და კიდევ იგულისხმებიან ის ბიზნესმენები, რომლებიც მათ არიან მიკედლებულნი. ამ ციფრების მიხედვით, მოვლენები, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკაში განვითარდა, შეიძლება, საქართველოშიც გამეორდეს, რადგან მოსახლეობის დაახლოებით 90% ამბობს, რომ საშინელ მდგომარეობაშია, მუდმივ დაძაბულობაში იმყოფება და მუდმივი სტრესის ქვეშაა. ადამიანის ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ ეს სადღაც აუცილებლად იჩენს თავს.

***— მუბარაქის მაგალითზე ჩანს, რომ ამერიკის მხარდაჭერის ლიმიტიც ამოუწურავი არ ყოფილა. ე.ი. დადგა მომენტი, როდესაც ამერიკა ეუბნება მუბარაქს, დროა წავიდეს, რადგან ვერ უზრუნველყო მისი მოსახლეობის უფლებების დაცვა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სააკაშვილისადმი მხარდაჭერის ლიმიტიც ამოიწურება.***

— სააკაშვილის მხარდაჭერის ლიმიტი კარგა ხანია ამოწურულია. ეს სააკაშვილმა ძალიან კარგად იცოდა ჯერ კიდევ 2007 წელს, როდესაც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე სასტიკად დაარბია აქცია. აქ მთავარი ის იყო, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ერთი წლით ადრე გადმოეტანა და ბუშის პირობებში ჩაეტარებინა, რადგან ობამას პრეზიდენტობის პერიოდში არჩევნების გაყალბებას არავინ აპატიებდა.

***— ოპოზიციურმა სპექტრმა მაშინ დიდი შეცდომა დაუშვა. როცა სააკაშვილმა განაცხადა, გადავდექი და რიგგარეშე არჩევნები დავნიშნეო, ოპოზიცია არ უნდა დათანხმებულიყო სააკაშვილის მონაწილეობას არჩევნებში. რადგან გადადგა და არჩევნები დანიშნა, ე.ი. აღიარა დანაშაული. დანაშაული რომ არ ჩაედინა, ხომ არ გადადგებოდა?***

— რა თქმა უნდა...

***— თუ ოპოზიციას გამარჯვება უნდოდა, სააკაშვილისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აღარ უნდა მიეცა.***

— პოლიტიკურმა სპექტრმა მაშინ საოცარი სიბეცე გამოიჩინა. მიუხედავად ჩვენი არაერთი გაფრთხილებისა, პოლიტიკური სპექტრი ვერ მიხვდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. ამით სააკაშვილმა თავი გადაირჩინა. დასავლეთთან სააკაშვილს დიდი ხანია ნდობა აქვს დაკარგული, მაგრამ დასავლეთს აქ ალტერნატივის პრობლემა აქვს. ოპოზიციას მხარს მაშინ დაუჭერს, როცა საქართველოში შეიქმნება ძლიერი, მკვეთრად გამოხატული, დასავლური ორიენტაციის, ალტერნატიული ოპოზიციური გაერთიანება. როგორც კი ეს მოხდება, დასავლეთის მხარდაჭერა გარანტირებულია. მანამდე ისინი არ შეეცდებიან სააკაშვილის შეცვლას.

## ოპოზიცია აგენტებით გაივსო

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ამაზე მსჯელობა. ეს დასამალი არ არის და ამას ღიად ვამბობ. ასე იქნება თუ არა, ეს მეორე საკითხია, იმიტომ რომ, არა მგონია, ქართველმა ერმა ასეთი პოლიტიკური განლაგება დაუშვას, მაგრამ ეს გეგმა არსებობს და გარწმუნებთ, ამ შემთხვევაში სააკაშვილის ხელისუფლება ბარე ორს მოენატრება. ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს იმისათვის, რომ ხელისუფლება შევცვალოთ და შევცვალოთ უკეთესით. ადამიანები, რომლებიც 24 საათი საკუთარი თავის მოვლით არიან დაკავებულნი და 5 ათას დოლარიანი პიჯაკებით დადიან, ვერასოდეს შეცვლიან სააკაშვილის ხელისუფლებას. ადამიანებმა თავგანწირვის მაგალითები უნდა ანახვონ. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. მე ამ ეტაპზე ბევრ რამეს პესიმიზმით ვუყურებ, მაგრამ პესიმიზმი არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი როგორც არის, ისე იქნება. კიდევ ერთხელ მივმართავ ოპოზიციონერებს, ვინც ნამდვილი ოპოზიციაა, თუ იმის შნო და ლაზათი არა გაქვთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება შეარყიოთ, ერთმანეთს მაინც გაანებეთ თავი, რადგანაც ეს ასუსტებს მთლიანად ოპოზიციასა და იმ მოძრაობას, რომელიც დასაწყებია. აი, ეს იქნება ჩემი თხოვნა, მოთხოვნა, მეგობრული რჩევა და კიდევ ერთი — მოეშვით ჭორაობას!

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი 200-მილიონიან ბოინგს ყიდულობს. რა იცით ამის შესახებ?***

— მე გავიგე, სამასმილიონიანსო. რატომ არ იყიდის, რა შეუშლის ხელს?! სააკაშვილმა თავის დროზე დადო პირობა, რომ ის საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრებდა და გაფრინდებოდა მოქალაქეებთან ერთად იქ, სადაც მიფრინავდა. მან ყველაფერი დაივიწყა და პირობები დაარღვია, რა გასაკვირია, რომ ბოინგი იყიდოს. სადაც ვერა ქობალია და ხათუნა კალმახელიძე ჰყავს მინისტრებად და სოფო ნიჟარაძისთვის მილიონი ლარი გამოიყო ევროვიზიის კონკურსში მონაწილეობისათვის, ეს ევროვიზიაც ყველაზე მდაბიო კონკურსია და მასში არც ერთი პრესტიჟული მომღერალი არ მონაწილეობს. სადაც ნინა წკრიალაშვილი კულტურის სამინისტროში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზეა, სადაც ხელისუფლების მაღალჩინოსნები ბორდელებს ხსნიან და უკრაინიდან ჩამოჰყავთ ქალები, სახელმწიფოში, გაგიკვირდებათ, რომ პრეზიდენტმა ბოინგი იყიდოს?! ნეტა მხოლოდ ბოინგს ყიდულობდეს და... ეს არის შემადგენელი ნაწილი იმ დიქტატორული სახელმწიფოსი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სააკაშვილმა ცხენი რომ შეიყვანოს პარლამენტში და თქვას, ესეც პარლამენტარიაო, ვინმე გაუბედავს და შეეწინააღმდეგება?! ეს ყველაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს. ეს ავტოკრატიული რეჟიმის თანამდევია.

***— გამოსავალს თუ ხედავთ რამეში?***

— გამოსავალს ვხედავ მხოლოდ ეროვნული ძალების კონსოლიდაციასა და თავგანწირვაში. ეს თუ მოხდება, მაშინ ეს რეჟიმი და ეს სისტემა შეიცვლება. თუ არ მოხდება, მაშინ ეს რეჟიმი და ეს სისტემა არ შეიცვლება და ის ბაქიბუქი, რომელიც გვესმის, კვლავ ბაქიბუქად დარჩება. ამიტომ მთელი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს ეროვნული ძალების გარშემო. თუ არ გაერთიანდება, ისევ ამ საზოგადოებამ იკითხოს. უბრალოდ, საქართველო დარჩება მანქურთების, ბურების, იეღოველებისა და სხვა ათასი სექტის ხელში. კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო თქვენი გაზეთის საშუალებით — ნიუ იორკის სასამართლომ აკრძალა ერთსქესიანი ქორწინება. საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა ერთსქესიანი ქორწინება, საფრანგეთის სასამართლომ აკრძალა იეღოვას მოწმეთა კავშირი. ახლა მაინტერესებს, საფრანგეთი და ამერიკა არის თუ არა დემოკრატიული ქვეყნები? თუ ეს დემოკრატიული ქვეყნებია, მაშინ, თქვე უბედურებო, საცოდავ დღეზე გაჩენილებო, ლიბერალებად რომ მოგაქვთ თავი და ახლა ხელისუფლების დაფინანსებით ჰომოსექსუალისტების ჟურნალების გამოშვებას აპირებთ, სხვათა შორის, ხელისუფლების მაღაჩინოსნების დაფინანსებით, ასევე იეღოვას მოწმეებს ყველანაირად გზა რომ აქვთ გახსნილი საქართველოში, რატომ არ კრძალავენ ამას? ასევე ასაკრძალია ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს და რომელსაც ეწევიან სახელისუფლებო გუნდის წევრები. მიბაძეთ საფრანგეთს. იცოდეთ, ამის გამო ღმერთი აუცილებლად დაგსჯით და ეს მთელ თაობებზე გადავა.

# იგორ გიორგაძე უშიშროების მინისტრი გია ბარამიძის წყალობით გახდა

თეა მარწვაძე

**თავის დროზე საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას დიდი ამბები მოჰყვა. ხალხი, რომელიც დღეს რუსული არხების ყურებასაც კი გვიშლის, მაშინ ამტკიცებდა, რომ რუსეთთან ჩახუტება აუცილებელი იყო. დსთ-ში შესვლასთან დაკავშირებული პერიპეტიები კარგად ახსოვს მამუკა გიორგაძეს. მაშინდელი ოპოზიციის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, შევარდნაძემ და მისმა ამფსონებმა თავისი გაიტანეს.**

რა მეთოდებით ახორციელებდა რუსეთი საქართველოზე ზეწოლას, რა უნდოდა რუსეთის აგენტს საქართველოს პარლამენტში, როდიდან დაიწყო საქართველოს დსთ-ში შეყვანის მცდელობა, ამის შესახებ მამუკა გიორგაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**მამუკა გიორგაძე:**

— საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იყო. იმ პერიოდში დაიწყო საუბარი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებაზე. ამის ინიციატივით მიხეილ გორბაჩოვი გამოვიდა. გორბაჩოვმა ველარ შეინარჩუნა ძალაუფლება. მის მიმართ თავად რუსებმაც უნდობლობა გამოიჩინეს. საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა. ამის შემდეგ იწყება მეორე ეტაპი. თავდაპირველად დსთ-ის პროექტს ერქვა სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი. ამ პროექტის მიხედვით უნდა მომხდარიყო საბჭოთა კავშირის გარდაქმნა. ბალტიისპირეთის ქვეყნები ამ პროექტის მიღმა აღმოჩნდნენ. ნორმალურად და ჭკვიანურად რომ გვემოქმედა, ჩვენც შეგვეძლო, ამ თანამეგობრობისთვის თავი აგვერიდებინა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ. 1992 წლიდან რუსეთიდან გამუდმებით მოდიოდა მოთხოვნა, დსთ-ში შევსულიყავით. რუსეთი უქმნიდა საქართველოს ხელისუფლებას პრობლემებს, რითიც შევარდნაძეს მოსკოვისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას აიძულებდა.

— ***იყო იმის შანსი, რომ ამ პრობლემებს გავმკლავებოდით და თანამეგობრობაში არ შევსულიყავით?***

— როგორ არ იყო. საქართველოს ხელისუფლებას მაშინ ჰქონდა ორი გზა. 1.უნდა მოეხდინა ეროვნული ძალების კონსოლიდაცია და თვისობრივად დაპირისპირებოდა რუსებს; 2. ეფიქრა საკუთარი სკამის შენარჩუნებაზე რუსეთთან გარიგებების გზით. ჩვენდა სამწუხაროდ, შევარდნაძემ აირჩია მეორე გზა. მან ჩათვალა, რომ თუ რუსეთთან გარიგებაზე წავიდოდა, მისი სკამი ხელშეუხებელი იქნებოდა. შევარდნაძისთვის სკამი სამშობლოზე ძვირფასი იყო. ამიტომაც აამოქმედა იმ პერიოდში ცნობილი ბალანსის თეორია.

— ***დსთ-ში შესვლას რუსეთი აფხაზეთში ომის დაწყებამდე გვაიძულებდა თუ მანამდეც?***

— ამაზე საუბარი ომამდე დაიწყო. ომის დაწყების შემდეგ რუსეთი კიდევ უფრო გააქტიურდა. დსთ-ში შესვლას რუსეთი ჩვენგან მაშინაც ითხოვდა, ვიდრე გაგრა დაეცემოდა. ყველას გვახსოვს რუსეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტები. პაველ გრაჩოვი და ანდრეი კოზირევი შევარდნაძეს პირდაპირ უყენებდნენ პირობას.

— ***რა პირობას უყენებდნენ?***

— ეუბნებოდნენ, თუ გინდა, შეინარჩუნო სკამი, უნდა შემოხვიდე დსთ-შიო.

— ***თქვით, რომ შევარდნაძისთვის სკამი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რატომ თავიდანვე არ დათანხმდა ის დსთ-ში შესვლას?***

— მისთვის სკამის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ჰქონდა მიზეზები, რომლის გამოც ის რუსეთის წინადადებას არ თანხმდებოდა. ერთი მხრივ, შევარდნაძე რუსეთის ინტერესს ითვალისწინებდა, მეორე მხრივ კი დასავლეთის წყენინება არ უნდოდა. ამიტომაც პასუხს აგვიანებდა. სწორედ ამან განაპირობა აფხაზეთის ომის დაწყება.

— ***ერთ-ერთი ვერსიით რუსებმა შევარდნაძეს დსთ-ში შესვლა სოხუმის დაცემის წინაც შესთავაზეს, პირობა მისცეს, რომ, თუ იქ შევიდოდით, სოხუმი ჩვენ დაგვრჩებოდა. შევარდნაძემ ეს წინადადება იმიტომ არ მიიღო, რომ ედეპე იყო წინააღმდეგი.***

— რუსეთმა სოხუმის დაცემის წინა დღეებში ასეთი წინადადება მართლა შესთავაზა შევარდნაძეს, თუმცა მას ამ შეთავაზებაზე უარი ედეპეს გამო ნამდვილად არ უთქვამს. ჩვენ მართლაც წინააღმდეგი ვიყავით, რომ საქართველო თანამეგობრობაში შესულიყო. როცა ქვეყანა სოხუმის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დადგა, შევარდნაძეს თანამეგობრობასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია გავაცანით.

— ***თანამეგობრობასთან დაკავშირებით პოზიცია შეიცვალეთ?***

— ჩვენ იმავე პოზიციაზე დავრჩით. ჩვენ ვუთხარით, თუ ის დარწმუნებულია, რომ სოხუმი შეიძლება დაიკარგოს მაშინ შეეძლო, თანამეგობრობაზე ეფიქრა. ამ მიმართულებით ჩვენ უარს ვაცხადებდით ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე. თუმცა დსთ-ის თემას თბილისში დესტაბილიზაციის მოსაწყობად არ გამოვიყენებდით.

— ***რა გითხრათ შევარდნაძემ?***

— მისი პასუხი ასეთი იყო: თანამეგობრობაში შესვლას გულში როგორ გავივლებ, როცა ჩემი მთავარი მიზანი ფსოუზე ჩასვლააო. ჩვენი მხრიდან საკმაოდ უხეშად, შეიძლება უზრდელადაც კი ითქვა, რომ როცა გააკეთებ, მერე შესაბამისად იქნება ჩვენი რეაქცია. ხელისუფლება ძალიან ცუდად იქცეოდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ისინი მხოლოდ სკამების შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ. ეს იქიდანაც ჩანს, თუ როდის მიიღო შევარდნაძემ დსთ-ში შესვლის გადაწყვეტილება. მას რუსეთმა სოხუმის შენარჩუნების სანაცვლოდ შესთავაზა თანამეგობრობაში შესვლა. მაშინ მან ამ წინადადებაზე უარი თქვა. მან სოხუმი არ გადაარჩინა, ხოლო როცა მის სკამს შეექმნა საფრთხე, უკვე მიიღო გადაწყვეტილება. მაშინ შევარდნაძემ არც ედეპეს, არც სხვა ოპოზიციური პარტიებისა და არც ქართველი ხალხის პოზიცია არ გაითვალისწინა. ეს გადაწყვეტილება ყველანაირად გაუმართლებელი იყო. ამის გარდა, დსთ-ში შეყვანის გადაწყვეტილება კანონის იგნორირებითა და ხელისუფლების უზურპაციით მიიღო. ეს იყო უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილება. იმიტომ რომ კენჭისყრა კანონის დარღვევით ჩატარდა.

— ***როგორ დაირღვა კანონი?***

— კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო იმ ხალხმა, რომლებსაც დეპუტატის უფლებამოსილება შეჩერებული უნდა ჰქონოდათ.

— ***რატომ უნდა ჰქონოდათ?***

— მოქმედი კანონმდებლობით აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობებზე მყოფ პირებს არ ჰქონდათ უფლება, პარლამენტის წევრები ყოფილიყვნენ. შევარდნაძემ კანონი არად ჩააგდო და ეს ხალხი პარლამენტში დატოვა, რომლებიც, თავის მხრივ, შევარდნაძისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებდნენ.

— ***ასეთები რამდენნი იყვნენ?***

— ასეთი 30 დეპუტატი იყო. მათი კეჭისყრაში მონაწილეობა იყო უკანონობა. ამის გარდა, კეჭისყრაში მონაწილეობა მიაღებინეს სხვა ქვეყნის მოქალაქე ზურაბ წერეთელს, რომელიც მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოფრინდა. შევარდნაძისთვის სასურველი გადაწყვეტილება რომ მიეღოთ, კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე საკაცით მოიყვანეს პარლამენტის სხდომაზე. დსთ-ში შესვლით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ შევარდნაძე სკამზე ფიქრობდა და არა სახელმწიფოზე.

— ***როდესაც საქართველოს დსთ-ში შესვლის საკითხი წყდებოდა, ქვეყანა ისევ სამოქალაქო ომის პირობებში იმყოფებოდა. იმ პერიოდში ედეპეს წევრები იარაღით ხელში ხონში აღმოჩნდით. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?***

— სოხუმის დაცემის შემდეგ რუსეთი შევარდნაძის ხელისუფლებაზე ახორციელებდა ზეწოლას. ჩვენი მხრიდან მიღებულ იქნა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება. სიმართლე რომ გითხრათ, ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი ვიყავი. ედეპემ გადაწყვიტა, ამ პროცესში მიეღო მონაწილეობა. ეს მხოლოდ იმიტომ გაკეთდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა შემცირებულიყო, რათა შევარდნაძეს, თავის მხრივ, ამ ზეწოლით სპეკულაცია არ მოეხდინა. ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეებს იმედი არ გვქონდა, რომ შევარდნაძე რუსულ თამაშს არ ითამაშებდა. ის რუსეთთან გარიგებას ყოველთვის ახერხებდა. ამჯერადაც ასე მოხდა. იმ დროს, როცა გამსახურდიას მომხრეები ხონს მოადგნენ, შევარდნაძე დათმობაზე წავიდა. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო. გამსახურდია ხონამდე რუსებმა მოიყვანეს და რუსებმავე წაიყვანეს უკან.

— ***დსთ-ში შესვლის გამო ხონში მდგარმა ედეპემ პროტესტის ნიშნად იქაურობა დატოვა. ამბობენ, რომ თქვენ ამ გადაწყვეტილებით მაშინ ქვეყანა საფრთხის წინაშე დააყენეთ.***

— ეს მცდარი შეფასებაა. ჩვენი წამოსვლით ქვეყანას არანაირი საფრთხე არ შექმნია. როცა ხონიდან წამოვედით, იქ დგომას აზრი აღარ ჰქონდა. ხონში ვიდექით ისე. იქ არანაირი საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობდა. ჩვენ იქ მხოლოდ იმიტომ ვიდექით, რომ ის ზეწოლა შემცირებულიყო, რომელსაც რუსეთი ჩვენს ხელისუფლებაზე ახორციელებდა. ხელისუფლებამ ამ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძლო და უკან დაიხია. რუსებმაც, შესაბამისად, უკვე წაიყვანეს გამსახურდია, მერე კი მიატოვეს.



**რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი ქართველ დეპუტატებს ამუშავებდა**

— ***მოდით, ისევ დსთ-ში შესვლის ამბებს დავუბრუნდეთ. ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაჭირდა. შევარდნაძეს ძალიან დიდი პრობლემები შეხვდა.***

— თანამეგობრობაში შესვლასთან დაკავშირებით პერიპეტიები პარლამენტში რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ეს ისეთი თემა იყო, რომელიც ასე უცბად არ გადაწყდებოდა. დსთ-ში შესვლა დიდი ტრაგედია იყო. ეს ნიშნავდა იმას, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის დაწყება ათწლეულობით დაგვიანდებოდა. ფაქტი სახეზეა. ჩვენ დღემდე იმ სივრცეში ვართ ჩარჩენილები. დსთ-ში შესვლა მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე ხელის მოწერა არ იყო. ის ქაღალდი არც არაფერს ნიშნავდა, ეს იყო გადაწყვეტილება, რომლითაც რუსეთს ოფიციალურად ეძლეოდა უფლება, საქართველოს შინაურ საქმეებში ეფათურებინა ხელები. დსთ-ში შესვლა ნიშნავდა იმას, რომ რუსული აგენტურა საქართველოში კვლავ აქტიურად ამოქმედებულიყო. ვუდროფის მკვლელობა იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ამ მკვლელობით დასავლეთმა მიიღო მესიჯი, რომ საქართველო სხვა გზით აპირებდა სიარულს.

— ***თქვენ თქვით, რომ დსთ-ში შესვლით რუსული აგენტურა საქართველოში გააქტიურდებოდა. რუსული აგენტურა ხომ ისედაც მოქმედებდა საქართველოში...***

— როგორ არ მოქმედებდა. დსთ-ში შესვლის შემდეგ ამან ფაქტიურად ოფიციალური სახე მიიღო. რუსეთის სპეცსამსახურები, სამწუხაროდ, დღესაც აქტიურად მოქმედებენ საქართველოში.

— ***დსთ-ში შესვლას საქართველოსთვის არანაირი სიკეთე არ მოუტანა? მაგალითად, მაშინ გია ბარამიძე ამტკიცებდა, რომ, თუ დსთ-ში შევიდოდით, კარაქიანი პური გვექნებოდა.***

— ბარამიძე მაშინაც რუსულ დავალებას ასრულებდა და ახლაც რუსულ დავალებას ასრულებს. ის საზოგადოება, სადაც ბარამიძისნაირები პროდასავლურობას თამაშობენ, ვერასდროს წავა დასავლური გზით. გია ბარამიძე ის ადამიანია, რომლის ხმაც გადამწყვეტი აღმოჩნდა დსთ-ში შესვლის საკითხის კენჭისყრის დროს.

— ***მისმა ხმამ შეგვიყვანა თანამეგობრობაში?***

— მხოლოდ მისმა ხმამ არა. კიდევ 2-3 ხმა იყო. ისინი რომ არა, თანამეგობრობის სასარგებლოდ გადაწყვეტილება მიღებული არ იქნებოდა. გია ბარამიძე ის ადამიანია, რომლის ხმამაც იგორ გიორგაძის უშიშროების მინისტრობა გადაწყვიტა. ბარამიძეს მხარი რომ არ დაეჭირა, იგორ გიორგაძე უშიშროების მინისტრი ვერ გახდებოდა. ამდენად, როცა ეს ადამიანი ხელისუფლებაშია, უხერხულია ქვეყნის პროდასავლურ კურსზე საუბარი. როდესაც კახა ლომაია გყავს გაეროში წარმომადგენლად, რომელ დასავლურ პროექტზე შეიძლება იყოს საუბარი? ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს სახელმწიფოებრივი განცდა არ გააჩნიათ. ისინი მხოლოდ სკამების შენარჩუნებაზე ფიქრობენ და ამის ხათრით რუსული აგენტურის დავალებებს ასრულებენ.

— ***ადრე ჩვენთან საუბარში ახსენეთ, რომ „იმელის“ პარლამენტში დეპუტატებს ვინმე მარუსინი იბირებდა. როგორ უკავშირდებოდა ის დეპუტატებს?***

— დეპუტატებთან დაკავშირება მისთვის პრობლემა არ იყო. მარუსინი „იმელის“ შენობაში პირველ სართულზე, ერთ-ერთ ოთახში იჯდა.

— ***ოთახი მისთვის სპეციალურად იყო გამოყოფილი?***

— პირადად მისთვის არ ყოფილა გამოყოფილი. თუ არ ვცდები, ის ვაჟა ხაჭაპურიძისთვის განკუთვნილ კაბინეტში იჯდა. დეპუტატების უმეტესობა სწორედ იმ ოთახში გადიოდა კონსულტაციებს.

— ***მარუსინი ედეპეს წევრებსაც ხვდებოდა?***

— ედეპეს გაყოფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მარუსინთან თანამშრომლობა იყო. ჩვენს პარტიაში იყო ერთი ასეთი ადამიანი, გელა კვაჭანტირაძე. ის ამჟამად რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერია. მარუსინთან თანამშრომლობის გამო პარტიიდან მისი გაგდება მოვითხოვეთ. ამ ფაქტით დაიწყო პარტიის გაყოფა.

— ***მას პარტიაში დამცველები გამოუჩნდნენ?***

— გამოუჩნდნენ. სარიშვილმა დაიცვა კვაჭანტირაძე, რომელიც თავის დროზე მარუსინმა შეახვედრა იგორ გიორგაძეს. ეს ფაქტი ედეპეში დიდი განხეთქილების მიზეზი გახდა.

— ***მანამდე პარტიაში პრობლემები არ იყო?***

— როგორ არა, იყო. კვაჭანტირაძის ამბავმა კატალიზატორის როლი შეასრულა. მარუსინი სხვა პარტიების შიდა სამზარეულოშიც აფათურებდა ხელებს. მთელი უბედურება ის არის, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა ღიად და თანაც საქართველოს პარლამენტის შენობაში. ალბათ დღესაც ზის საქართველოს პარლამენტის შენობაში რუსეთის რომელიმე სპეცსამსახურის წარმომადგენელი და ასევე ამუშავებს დეპუტატებს.

— ***რომ არ შევსულიყავით დსთ-ში, საქართველოს საქმე უკეთესად იქნებოდა?***

— რა თქმა უნდა. დსთ-ში შესვლით ჩვენი პოლიტიკა ჩვენივე ნებით მივაბით რუსეთის სპეცსამსახურებს. ჩვენ შევედით რუსეთის სფეროში, საიდანაც დღემდე არა ვართ გამოსული.

— ***თუმცა, ჩვენ დავტოვეთ დსთ...***

— ამით არაფერი შეცვლილა. დსთ დავტოვეთ აგვისტოს ომის შემდეგ, მაგრამ, არა იმ მიზეზით, რომლითაც რეალურად უნდა დაგვეტოვებინა. ჩვენ შევწყვიტეთ თანამეგობრობასთან თანამშრომლობა, რაც არაფერს ნიშნავს, რადგანაც დსთ-ის დატოვება მის ნებისმიერ წევრს შეუძლია. ამიტომ ვამბობ, რომ საქართველო დღეს ისევ იმ სივრცეშია. საქართველოში დღეს პოლიტიკა იმ სცენარით ვითარდება, რომელსაც რუსეთის სპეცსამსახურების ანალიტიკური სამსახურები ადგენენ. რუსეთის დავალების შემსრულებელი ხალხია დღეს ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც. მათ მთელი პოლიტიკის მონოპოლიზაცია მოახდინეს. საქართველო სწორედ ამიტომ არის ამ დღეში.

# ყაზახეთში სტადიონი ავაშენე

## დეპუტატმა ნაულ ჯანაშიამ ჩაის დაყენება იაპონიაში ისწავლა

ნანა მიშელაშვილი

**მარტვილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ნაულ ჯანაშია არ მალავს, რომ ბავშვობაში შეყვარებული გოგონასთვის არაერთი სასიყვარულო წერილი მიუწერია და შეყვარებულისა და დობილის გამო ბევრჯერ უჩხუბია.**

ნაულ ჯანაშია ამბობს, რომ ყველა დიდი ჩხუბი შერიგებით მთავრდებოდა და მოჩხუბარი მხარეები ბოლოს მეგობრებად რჩებოდნენ.

ნაულ ჯანაშია 9 წელი აფხაზეთში ცხოვრობდა, სადაც ბევრი მეგობარი ჰყავდა. ჯანაშია იხსენებს სოხუმში ქართველისა და აფხაზის ქორწილს, სადაც თამადა იყო. ამ სუფრას მაშინ სერგეი შამბაც ესწრებოდა.

როგორი თამადაა მაჟორიტარი დეპუტატი, გაუძევებია თუ არა სუფრიდან ვინმე და უყვარს თუ არა სასმელის დაძალება?

**„ახალი თაობა“ ნაულ ჯანაშიას ესაუბრა:**

***— ჯანაშიები საიდან ხართ?***

— ჯანაშიების გვარის ისტორიაზე ორი თვის შემდეგ 300-გვერდიანი წიგნი გამოვა. ამ საკითხით ძალიან ვიყავი დაინტერესებული და პროფესორებთან, აკადემიკოსებთან ერთად პირადად მეც ვმუშაობდი. საბოლოო მონაცემებით, ჯანაშიები ვართ მარტვილის რაიონის სოფელ თამაკონიდან. სხვადასხვა კუთხის ჯანაშიები თამაკონიდან ვართ.

***— ჯანაშიები დიდი გვარია?***

— საკმაოდ დიდი გვარია, მე-15 ადგილი უკავია გვარებს შორის. ბაბუაჩემი დიაკვანი იყო, ბაბუას მამაც დიაკვანი იყო. ბაბუას ებარება წმინდა გიორგის ხატი, რევოლუციის შემდეგ ეს ხატი ჩუმად მას ჩააბარეს. საოცრება იყო ერთი მომენტი, თუ რაიმე ხდებოდა თემში, თუ ვინმე რაიმეს მოიპარავდა, ხატის წინაშე სიმართლე უნდა ეღიარებინა. ასეთი ფაქტი იყო: ხარები დაიკარგა, ჯანაშიები შეიკრიბნენ და შეკრებილებს მოუწოდეს, სიმართლე ეთქვათ, ვინ იყო სტუმრად და სად წავიდნენ ხარები. ერთზე ჰქონდათ ეჭვი, მაგრამ თავად არ ამხელდა. ბაბუა მთაში, ზევით ცხოვრობდა. მან ჩამოაბრძანა ხატი და გადაწყვიტეს, ხატისთვის გადაეცათ დამნაშავე. გამოვიდა ის ადამიანი და თქვა, რომ მასთან სტუმრად მყოფმა ადამიანებმა წაიყვანეს ხარები და უკვე ენგური გადაცურეს. ღვთის სიყვარული ჩვენი წინაპრებისგან მოგვდევს.

***— მარტვილის რაიონში ორი ეკლესიის მშენებლობა თქვენს სახელს უკავშირდება. ორივე მოქმედი ეკლესიაა?***

— ორი ეკლესია ავაშენე მარტვილში. ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი 10 წლის წინ ავაშენე, ხოლო მეორე — წმინდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძარი, ამ წლის 22 მაისს ოფიციალურად გაიხსნება. ეს ყველაზე დიდი ტაძარია დასავლეთ საქართველოში. რამ დამაწყებინა მათი მშენებლობა? ყოველთვის ვხედავდი, რომ ბაბუასთან ამოდიოდნენ სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ჯანაშიები. ეს დღე იყო 28 აგვისტო, მარიამობა. 300-400 ადამიანი შეკრიბებოდა და დიდი ზეიმი იყო. ბაბუას 11 შვილი ჰყავდა, 9 კი სხვისი გაზარდა, ანუ სულ 20 შვილი გაზარდა. ბაბუა, მაქსიმე ჯანაშია, 98 წლის იყო, როდესაც ამქვეყნიდან წავიდა. ერთი ბიძა დაემსგავსა ბაბუას — ხუტა ჯანაშია, მასაც 11 შვილი ჰყავს.

***— თქვენ რამდენი შვილი გყავთ?***

— სამი: ია, მამია (მამუკა) და 2 წლის დიანა.

***— ალბათ, ყველაზე მეტად პატარას ათამამებთ...***

— რასაკვირველია, სიბერის დროს შეძენილი შვილია. მეუღლე 9 წლის წინ გარდაიცვალა. რაც შემეძლო, გავაკეთე, მაგრამ სნეულებამ თავისი გაიტანა. 7 წლის წინ, შევირთე მოლდაველი ქალი და მისგან მყავს გოგონა.

***— სამი შვილიდან ხასიათით უფრო რომელი გგავთ?***

— ია. დიანა ჯერ პატარაა, 2 წლის ხდება და არ ვიცი, როგორი ხასიათი ექნება.

— თქვენ როგორი ბავშვი იყავით, ცელქი, მშვიდი თუ ზომიერი?

— ინიციატივიანი ბავშვი ვიყავი.

***— მასწავლებელს აბრაზებდით?***

— ბავშვობაში ყველა აბრაზებდა მასწავლებელს, მეც და სხვაც, მაგრამ კარგად ვსწავლობდი.

***— რომელი საგანი არ გიყვარდათ?***

— ქიმია.

***— დანარჩენი საგნები?***

— დანარჩენ საგნებს კარგად ვსწავლობდი.

***— ქიმიაში ორიანი მიგიღიათ?***

— კი, თუმცა, ძალიან კარგი მასწავლებელი მყავდა, უაღრესად დამსახურებული მასწავლებელი იყო.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— ასეთი შემთხვევაც იყო.

***— რა დააშავეთ?***

— ვცელქობდი. ხან გოგონას სასიყვარულო წერილს მივწერდი, ხან ვხმაურობდი. მასწავლებელმა რამდენჯერმე დაიჭირა ჩემ მიერ გოგონასთვის მიწერილი წერილი, წაიკითხა და უკან მომცა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს, წაიკითხა და უკან დამიბრუნა.

***— ის წერილი ადრესატამდე აღწევდა?***

— კი, როგორ არა. სკოლის დროს სხვადასხვა კლასში სხვადასხვა გოგონაზე ვიყავი შეყვარებული. ახლა მათ როდესაც ვხვდები, ჩვენი შეხვედრა ძალიან თბილია, ბავშვობას ვიხსენებთ.

***— გოგონას გამო გიჩხუბიათ?***

— მიჩხუბია, აბა, რა...

***— მერე, თქვენ გალახულხართ თუ სხვა გაგილახავთ?***

— ხან ისე იყო და ხან ასე.

***— უფრო?***

— რომ ვთქვა, გმირი ვიყავი-მეთქი, ასე არ იყო. მე-9 თუ მე-10 კლასში ვიყავი, გოგონას გამო ვიჩხუბეთ, მთელი სკოლა შეიკრიბა. მეუბნებოდნენ, მამაშენი მოიყვანეო. ხუმრობდნენ, ამას უყურეთ, ცოლის მოყვანა უნდაო.

***— ჩხუბის შემდეგ გაბუტვა თუ იცოდით?***

— არა, ჩხუბის შემდეგ ვრიგდებოდით და მეგობრებად ვრჩებოდით. ადრე ასე ვიცოდით — ხელს გავიკაწრავდით, ერთმანეთს მივადებდით და ვეუბნებოდით: ჩემი დობილი ხარო. დობილის გამოც მიჩხუბია.

— ძალიან მოჩხუბარი ყოფილხართ...

— გამოუსწორებელი მოჩხუბარი არ ვიყავი, თუმცა, არავის ვუთმობდი.

***— ამ ჩხუბის დროს ხელი ან ფეხი თუ გაქვთ მოტეხილი?***

— არა.

***— თავი გაგიტეხიათ?***

— არა.

***— სპორტული იყავით?***

— ფეხბურთს ვთამაშობდი, ჩოგბურთს. სკოლაში კარგი გუნდი გვქონდა, რაიონულ პირველობაზე ვთამაშობდით, თან გოგონებიც მოდიოდნენ და მათ თავს ვაწონებდით.

***— რა პროფესიის ხართ?***

— სამთო ინჟინერ-ეკონომისტი ვარ. ლენინგრადის სამთო-სამრეწველო ინსტიტუტში ვსწავლობდი.

***— სტუდენტობის პერიოდში რუსეთშიც აწონებდით გოგონებს თავს?***

— რა ვიცი... სტუდენტურმა პერიოდმა კარგად ჩაიარა.

***— როგორი სტუდენტი იყავით?***

— მოუსვენარი, თუმცა, კარგად ვსწავლობდი. სხვათა შორის, მე მაშინ მირჩევდნენ, დავრჩენილიყავი ამ ინსტიტუტში პრორექტორად, მაგრამ დავბრუნდი ყაზახეთში, ქალაქ შევჩენკოში.

***— ყაზახეთში რამდენი წელი იცხოვრეთ?***

— 21 წელი.

***— როგორი იყო მაშინ ქართველი კაცისთვის ყაზახეთში მუშაობა?***

— ძალიან სასიამოვნო იყო, ვაშენებდით, ფეხბურთს ვთამაშობდით.

***— რას აშენებდით?***

— ქალაქ შევჩენკოს სტადიონი ავაშენეთ. იქ ახალგაზრდული კლუბის პრეზიდენტი ვიყავი.

***— თქვენზე ამბობენ, რომ მოგზაურობა გიყვართ და თითქმის არც ერთი ქვეყანა არ დარჩენილა, სადაც ნამყოფი არა ხართ. მართალია?***

— პრაქტიკულად, ასეა.

***— ყველაზე კომფორტულად უცხოეთის რომელ ქვეყანაში გრძნობთ თავს?***

— უცხოეთში ცხოვრება ნამდვილად არ მინდა, 10-15 დღის შემდეგ საქართველოში ვბრუნდები, ნოსტალგია მაქვს. ყაზახეთში ნორმალურად ვგრძნობდი თავს, ნორმალური ხალხია, ბევრი მეგობარი მყავს.

***— იქაური სამზარეულო კარგად იცით? თქვენ თუ შეგიძლიათ ყაზახური კერძების მომზადება?***

— მათი ეროვნული კერძია „ბიშმარმაკი“, ცხვრის ხორცით მზადდება. ამ კერძის მომზადება მეც შემიძლია.

***— სხვა ქვეყნებში ყოფნისას როგორი შთაბეჭდილებებით ბრუნდებით?***

— მაგალითად, ბრაზილიაში ფესტივალზე ვიყავი. მეგობრებთან ერთად წავედი ბრაზილიაში. საოცრად თბილი ხალხია. ჩვენ ფესტივალში მონაწილეობა არ მიგვიღია, ტურისტები ვიყავით.

***— მოგეწონათ ფესტივალი?***

— საოცრებაა. ამაში საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავენ. კარნავალი იწყება საღამოს 10 საათზე და მთავრდება დილის 6-7 საათზე. ყველაფერი უფასოდ მოაქვთ. თუ სასტუმროში წასვლა მოგინდება, პრობლემა არ არის. სასტუმროში წასვლა მინდოდა, გიდმა მითხრა, ნებისმიერ ავტობუსს ბილეთს აჩვენებ და ეტყვი, სად გინდა წასვლა, იქ მიგიყვანსო. თუნდაც ერთი კაცის გამო წავა ეს ავტობუსი უფასოდ. საოცრად კარგი განწყობაა, თანაც ყველას ფეხბურთი უყვარს. გიდს როდესაც დავუსახელე პელე, გარინჩა, სანტოსი, დიდი, ვავა, გაოცებული მიყურებდა და მითხრა, მარაკანას სტადიონზე უნდა წაგიყვანოო.

***— მერე, წაგიყვანათ?***

— კი. ერთ დღეს სპეციალურად მარაკანას სტადიონის სანახავად წავედი. საოცრება იყო. მერე მე ვკითხე, თქვენ ვინ იცით ყოფილი საბჭოთა ფეხბურთელებიდან-მეთქი? მათ იაშინი დამისახელეს.

***— მეტი არავინ არ იცოდნენ?***

— სხვა არავინ დამისახელეს.

***— იაპონიაში ხართ ნამყოფი?***

— კი. იაპონიაში მოქმედ ვულკანებთან ახლოს ვარ ნამყოფი. იაპონიაში საკმაოდ ბევრი რამის ნახვა შეუძლია, რამაც შეიძლება ადამიანის გაოცება გამოიწვიოს.

***— მეგრული სამზარეულოდან რომელი კერძი გიყვართ?***

— საცივი.

***— საცივის მომზადება იცით?***

— კი. ძალიან მიყვარს ელარჯი, ღომი, წიწილა ტყემალთან ერთად.

***— სახლში თუ გიწევთ სადილების მომზადება და კარგ კულინარად ითვლებით თუ არა?***

— საშუალო კულინარი ვარ. სხვათა შორის, რუსული კერძების მომზადებაც ვიცი, ვამზადებ „რაგუს“, ასევე მასწავლეს პილმენის მომზადება, ეგ ხინკლის ძმაა.

***— პარლამენტში თქვენზე ამბობენ, რომ კარგი თამადა ბრძანდებით...***

— არ დავიჩემებ, რომ კარგი თამადა ვარ. ჩემზე უკეთესი თამადები არიან, სიტყვამოსწრებულები და ორატორები. ცხონებული მამაჩემი განთქმული თამადა, მოქეიფე კაცი იყო. შვილები მაინცდამაინც არ დავემსგავსეთ, მაგრამ არა გვიშავს, 300-400-კაციან სუფრაზე თამადა არაერთხელ ვყოფილვარ.

***— მკაცრი თამადა ხართ?***

— დემოკრატი თამადა ვარ. რამდენიმე წლის ამბობდნენ, რომ სუფრის წევრი სუფრასთან ბოლომდე უნდა იჯდეს, არ უნდა გავიდეს და სასმელი ბოლომდე უნდა დალიოს. მაშინ ვთქვი, რომ ყველა ადამიანი თავისუფალია, არ შეიძლება ერთმანეთის ღვინოში ჩახრჩობა, სუფრასთან ადამიანმა უნდა ისიამოვნოს. ვისაც დალევა უნდა, დალიოს, ვისაც არა, არ უნდა დააძალო. კაცს სასმელს რამდენადაც დააძალებ, იმდენად აღიზიანებ.

***— ადრე თუ ყოფილა შემთხვევა, რომ სუფრიდან ვინმე გაგიძევებიათ?***

— არა, ასეთი ფაქტი არ ყოფილა.

***— ღვინოებიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?***

— ძალიან მიყვარს „მანავი“ და „ციცქა“. „ოჯალეშს“ პატივს ვცემ, საუცხოო ღვინოა.

— თქვენს სამუშაო კაბინეტში სხვადასხვა სახეობის ბევრი ჩაია გამოფენილი. ეტყობა, კარგი დეგუსტატორი ხართ.

— ჩაი კარგად ვიცი. საქართველოდან 17 წლის როდესაც წავედი ქალაქ შევჩენკოში, მუშაობა დავიწყე კავშირგაბმულობაში, ცვლებში, დღე და ღამე ვმუშაობდი. ჩემთან მოხვდნენ ორი უზბეკი და ერთი ტაჯიკი. 20 ლიტრ ჩაის რომ აადუღებდნენ, მთელი ღამის განმავლობაში ერთად მივირთმევდით და მეც მივეჩვიე. მათ ახლაც დიდი პატივისცემით ვიხსენებ, კარგი მეგობრობა გამიწიეს. მათთან ვმეცადინეობდი მათემატიკაში. სხვათა შორის, საფუძვლიანად მასწავლეს მათემატიკა.

***— ჩაის დაყენების თქვენეული ტექნოლოგია რა არის?***

— ჩაის დაყენება ჩვენთან იციან, მაგრამ ჩაის დაყენების ტექნოლოგია მე ვნახე იაპონიასა და ჩინეთში. ჩაის როგორც კი წყალს დაასხამ, მაშინვე არ უნდა დალიო, 5-10 წუთი უნდა დააცადო. ყველანაირ ჩაის პატივს ვცემ, მიყვარს მარტვილის ჩაი.

***— სუფრასთან სიმღერის წამომწყები თუ ხართ?***

— სიმღერა მიყვარს. მამაჩემი და დედაჩემი კარგად მღეროდნენ. დედა გიტარაზე კარგად უკრავდა. დედა 100 წლის და სამი თვის წავიდა ამ ქვეყნიდან. მამაჩემი მოქეიფე კაცი იყო. მე სუფრასთან ვმღერი, ძირითადად მირჩევნია, ახლობლებთან ერთად ვიმღერო.

***— როგორი სიმღერების შესრულება გიყვართ?***

— ძველი სიმღერების.

***— ყველაზე მეტად რომელი სიმღერა გიყვართ?***

— „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, ასევე ქართული ხალხური სიმღერების შესრულება მიყვარს.

***— თქვენ ერთი პერიოდი მუშაობდით სოხუმის ფიზიკოტექნიკურ ინსტიტუტში. იქ როგორ მოხვდით?***

— სოხუმში მიმიწვიეს 1986 წელს. სოხუმის ფიზიკოტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი იყო აკადემიკოსი რამაზ სალუქვაძე და მან მიმიწვია.

***— სოხუმში რამდენი წელი იცხოვრეთ?***

— 9 წელი.

***— ბევრი აფხაზი მეგობარი გყავდათ?***

— კი.

***— აფხაზეთში სუფრასთან თამადა თუ ყოფილხართ?***

— კი, რამდენჯერმე ვიყავი თამადა 400-კაციან საქორწილო სუფრაზე. 1989 წელს ქართველმა მოიყვანა აფხაზი 16 წლის გოგონა, ჩემი მეზობელი იყო. მთხოვეს, ამ სუფრაზე თამადა ვყოფილიყავი. სხვათა შორის, იმ სუფრაზე ბევრი ადამიანი იყო, მათ შორის, სერგეი შამბა, ლაბახუა და სხვები. მიმაჩნია, რომ აფხაზები შეაცდინეს.

***— თუ არის რაიმე ნივთი, რომელზეც მიჯაჭვული ხართ?***

— არა, არც ერთი ასეთი ნივთი არ არის. ერთადერთი, ჯვარს ვატარებ. ჩემი საგვარეულო მაინც საეკლესიო კუთხით არის წასული, რაც ძალიან მახარებს.



# აღსარება-ზიარების გარეშე ცოდვის მონანიება შეუძლებელია

ნათია ხურცილავა

**რა არის მორჩილება, ვის უნდა ვმორჩილებდეთ? რა როლი აქვს ადამიანის ცხოვრებაში მღვდელს? შეიძლება თუ არა, ერთზე მეტი მოძღვარი გვყავდეს და როდის შეიძლება, სხვა მღვდელს ჩავაბაროთ აღსარება?**

ამ საკითხებზე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური მამა კონსტანტინე გიორგაძე გვესაუბრება:

***— მამა კონსტანტინე, სულიერ ცხოვრებაში რა ადგილი უჭირავს მორჩილებას და ზოგადად რას ნიშნავს მორჩილება, ვისდამი მორჩილებაზეა საუბარი?***

— ადამიანი უფალმა შექმნა. უფალმა ადამიანს სამოთხეშივე დაუდგინა წესები, ჩააბარა მშვენიერი ბაღი და ადამიანი უსაქმურად რომ არ ყოფილიყო, დაავალა, დაემუშავებინა ბაღი, მოევლო მისთვის, მოევლო იმ ცხოველებისთვის, რომლებიც უფალმა ადამს გაუჩინა. მისთვის შექმნა ყველაფერი, სახელებიც კი მან დაარქვა ცხოველებს. ეს იყო პირველადი მორჩილება უფლისადმი. ჩვენ მორჩილებას უფლის მიმართ გამოვხატავთ. რატომ არის საჭირო მორჩილება უფლისადმი? უფალმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა. მის მსგავსად შექმნა, მაგრამ შექმნა არა ბუნებითად, როგორც თვითონ არის, არამედ მიმადლებულად ანუ ეს მიჰმადლა, მისცა. ყველაფერი, რაც მას მიემადლა, პირველწყაროდან მომდინარეობს ანუ უფლისგან. თუ მიმადლებული მომადლებელს მოსწყდება და სულიერი, გენეტიკური კავშირი გაწყდება, მაშინ დაიღუპება. ამიტომ მორჩილება და მასთან ყოფნა, მისი წესების აღსრულება აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ადამიანი გადარჩეს და იყოს სიკეთესა და ბედნიერებაში. ეს სამოთხეშივე ასე იყო. როდესაც ადამიანმა დაარღვია წესები, როდესაც მან შეჭამა აკრძალული ხის ნაყოფი, საუბარი არ არის იმაზე, რომ საჭმელმა მოწამლა, საუბარია დაუმორჩილებლობაზე. დაუმორჩილებლობამ მოწამლა ადამი. სამოთხეში უფალმა მარხვა დაუდგინა ადამს. სამუდამოდ კი არ ჰქონია ადამს იმ ხილის ჭამა აკრძალული, რაღაც ზღუდე იყო. ეს იყო პირველი მარხვა. როდესაც დაარღვია ადამიანმა მარხვა, მან დაარღვია მორჩილება. მთავარი მორჩილებაა, თორემ ადამიანი რასაც შეჭამს, ხორცი იქნება თუ მცენარეული საზრდო, ის არ ვნებს. უფალი ამბობს: რაც ჩადის ორგანიზმში, ის გამოდის. ადამიანს ვნებს უმადურობა, დაუმორჩილებლობა, არათავმდაბლობა და ღმერთთან არყოფნა. თუ ღმერთთან ყოფნა გინდა, მისი მორჩილი უნდა იყო. ის არის ყველაფრის მომცემი. თუ არ ხარ ღმრთის მორჩილი, მაშინ არც გეძლევა არაფერი. ამიტომ მორჩილებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მანკიერი წარმოდგენა ჰქონდეთ მორჩილებაზე. თუნდაც ეკლესიაში სამღვდელო პირებთან დაკავშირებით. არის შემთხვევა, როდესაც, რასაც მოძღვარი ბრძანებს, ის აუცილებლად უნდა იყოს გაკეთებული. ეს ასე არ არის. მოძღვარი, ზოგადად, კეთილი მრჩეველია. როდესაც ადამიანი მიდის მასთან და ეკითხება, რა გააკეთოს, მოძღვარმა უნდა ურჩიოს.

***— კურთხევა ითხოვოს?***

— კურთხევა არა მხოლოდ ნებართვაა. რა თქმა უნდა, ერთგვარი ნებართვაც არის, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ თუ მოძღვარმა ნებართვა არ მოგცა, ვერაფერს გააკეთებ. შეიძლება, მართლაც კეთილ, საღმრთო საქმეს აკეთებ, მაგრამ კურთხევა მაინც სჭირდება, რადგან კურთხევა ეხმარება საქმის კეთილად აღსრულებაში. კურთხევის ეტიმოლოგია კვერთხის დადებას უკავშირდება. ძველ აღთქმაში, როდესაც ებრაელებს შესაწირი მიჰქონდათ, მას კვერთხს ადებდნენ, ნებართვას აძლევდნენ, რომ შეწირულიყო. ამას ჰქვია კურთხევა. ხშირად მომისმენია კურთხევის მანკიერი განმარტებები, რაც სიმართლეს არ შეეფერება.

***— როგორი ფორმით უნდა მივმართოთ მოძღვარს და ნებისმიერი საქმის დაწყების კურთხევა შეიძლება?***

— ზოგადად, როდესაც მოძღვართან მიდის ადამიანი, უნდა უთხრას: მაკურთხე, მამაო ან დამლოცე, მამაო.

***— სხვადასხვა შინაარსი აქვს?***

— ძალა ერთი და იგივე აქვს. რა თქმა უნდა, დალოცვა სხვაა და კურთხევა — სხვა. ადამიანმა მოძღვარს, მაგალითად, შეიძლება ვაჭრობის დაწყების კურთხევა სთხოვოს. ამ შემთხვევაში მოძღვარი იძიებს, რითი უნდა ივაჭროს. თამბაქოთი, არყით თუ საშინელება უნდა გაყიდოს, რომელიც ეწინააღმდეგება ეკლესიის მორალსა და ეთიკას. მაშინ ამაზე, რა თქმა უნდა, მოძღვრის ნებართვა არ იქნება. ისე, ვაჭრობა ღვთისგან არის კურთხეული. ვაჭრობა ზოგადად კურთხეულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმის გაყიდვას, რაც აკრძალულია. ამას ეკლესია არ აკურთხებს. როგორც აღვნიშნეთ, მოძღვარი არ არის მბრძანებელი. მოძღვარს არა აქვს იმის უფლება, რომ უბრძანოს ადამიანს. მოძღვარს არა აქვს უფლება ზიარებისგან განყენების, სასჯელის. ეს ეპისკოპოსის პრეროგატივაა. მოძღვარი უნდა იყოს კეთილი მრჩეველი, მოძღვარი უნდა იყოს მეგობარი აღმსარებლისა. როგორც მედიცინაშია. თუ ექიმსა და პაციენტს შორის მინდობა არ მოხდა და ერთმანეთს არ ენდნენ, ამ შემთხვევაში განკურნებაც ძნელი იქნება. მოძღვრისადმი დამოკიდებულება, მისდამი ნდობა ფსიქოლოგიურად განკურნების უდიდესი პროცენტია. როდესაც მოძღვარი კეთილი საქმეებისკენ განგაწყობს, უფლის სიყვარულისკენ, ეკლესიურობისკენ, მაშინ უფრო მეტი შანსია, ადამიანი ეკლესიური გახდეს, ღვთისმოშიში. რაც შეეხება სრულ მორჩილებას, ეს არის მონასტერში. როდესაც მონასტერში მიდის ადამიანი, ის აღთქმას დებს, რომ ანგელოზებრივად იცხოვრებს, დაემორჩილება მის წინამძღვარს. ამით ბერ-მონაზონი უფალს ემორჩილება. ის უფლის გულისთვის აკეთებს ამას, მაგრამ აკეთებს იმისთვის, რომ გადარჩეს და ცხონდეს. ეს პირობა აქვს დადებული, ამ ქვეყანაზე შეჭირვებით, ხორცის მოუძლურებით იქნებ ცხონდეს და გადარჩეს. ეს მოტივაცია აქვს ადამიანის მონასტერში წასვლას. მონასტერში, რა თქმა უნდა, მეტია მორჩილება, საერო ტაძრებში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეგობრული განწყობა უნდა იყოს, არავითარი მენტორული და მბრძანებლური ტონი არ უნდა იყოს. მაგალითად, მოძღვარმა 500 მეტანია დაუნიშნა აღმსარებელს. ეს ინდივიდუალურია, მაგრამ, როდესაც მე ვერ ვაკეთებ 500 მეტანიას, როგორ დავუნიშნო სხვას.

***— ადამიანს ღვთისგან ბოძებული აქვს თავისუფალი ნება. რა არის თავისუფალი ნება? ადამიანს შეუძლია მისი სწორად წარმართვა დამოუკიდებლად?***

— უკვე აღვნიშნეთ, რომ ადამიანი უფლის ხატად და მსგავსად არის გაჩენილი. რა არის ხატება და მსგავსება? უფლის ხატებაში, პირველ ყოვლისა, ადამიანის უკვდავება იგულისხმება.



ისე, როგორც უფლისა, იგულისხმება თავისუფალი ნება, უფალს თავისუფალი ნება აქვს და ადამიანსაც მისცა მიმადლებულად, არა ბუნებითად, არამედ მიმადლებულად. ასევე მისცა ნიჭი უსაზღვრო სიყვარულისა. ეს არის ადამიანის ხატება, რომელშიც, რა თქმა უნდა, შედის თავისუფალი ნება. ხატება სულის თვისებაა და არა ხორცის. რაც შეეხება მსგავსებას, ეს არის მიმსგავსება უფლის საქმეებისადმი. ქველმოქმედება, კეთილი საქმეების კეთება, სიყვარულის გაცემა, მოყვასისადმი თავდადებაა უფლისადმი მსგავსება. სწორედ ამიტომ არის ადამიანი უფლის ხატად და მსგავსად შექმნილი. როგორც მექოთნე ელოლიავება თავის ნაშრომს და კეთილად ქმნის, ღმერთმაც ყველაფერი კეთილად შექმნა, ადამიანი ღმერთმა სიკეთისთვის შექმნა სუფთა ჭურჭლად. მიუხედავად იმისა, რომ ყველა არ არის ქრისტიანი, მცირენი ვართ მართლმადიდებლები, მაგრამ არაქრისტიანებსა და წარმართებს, სხვა კონფესიების წარმომადგენლებს ბუნებითი რჯული მაინც აქვთ. ჩვენ ჭეშმარიტი რჯული მოგვეცა. ჯერ ებრაელებს ჰქონდათ ჭეშმარიტი, მოსეს რჯული, მერე ჩვენ ვართ, მართლმადიდებლები, ძველი აღთქმის გამგრძელებლები. ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ ჭეშმარიტი რჯული, რომელიც ჩვენ მოგვეცა, მათ აქვთ ბუნებითი რჯული, რაშიც სწორედ ხატება და მსგავსება იგულისხმება. სხვა კონფესიაში ცოტაა ადამიანი, რომელიც კეთილ საქმეებს აკეთებს, ქველმოქმედებს. იქაც არის სიყვარულის გაცემა. ეს მოდის ბუნებითი რჯულიდან, რომელიც უფალს, ხატებასა და მსგავსებას უკავშირდება, რადგან ღმერთმა ადამიანი ყველა ერთნაირი შექმნა. ჭურჭელში შეიძლება ჩაისხას თაფლიც და კარგი ღვინოც, ბადაგიც და შხამი და ნაღველიც, მაგრამ, იმდენად მოწყალეა უფალი, რომ სადაც ნაღველი და შხამია ჩასხმული, საუბარია მათზე, ვისაც არა აქვს ჭეშმარიტი რჯული, შეიძლება შხამისა და ნაღვლის გადმოსხმა, იმ ჭურჭლის გამორეცხვა და ისევ თაფლისა და ბადაგის ჩასხმა ანუ ჭეშმარიტი რჯულის. ასეთი მოწყალეა უფალი. რაც შეეხება საკითხს, მოძღვრის გარეშე შეუძლია თუ არა ადამიანს ცხონება? ეს შეუძლებელია, რადგან პირდაპირ ეუბნება უფალი თავის მოწაფეებს ანუ მოციქულებს: ვისაც თქვენ მიუტევებთ, მას მიეტევოს, ვისაც — არა, არაო. ვისაც თქვენ შეკრავთ დედამიწაზე, ის ზეცაშიც შეკრული იყოსო. ვისაც თქვენ გახსნით, ის ზეცაშიც გახსნილი იყოსო. ამდენად, მოძღვარსა და მის ქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არ არსებობს უფრო მეტი ქმედება დედამიწაზე, ვიდრე მღვდლობა.

***— რადგან მღვდელი შუამავალია ღმერთსა და ადამიანს შორის?***

— ჩავთვალოთ რომ ასეა, რადგან მოციქულები მართლაც იყვნენ შუამავლები და ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ უფალს ემსახურებოდნენ. მოსე ძველ აღთქმაში შუამავალი იყო ებრაელ ხალხსა და ღმერთს შორის. ეს თვალნათლივ ჩანდა. ის ადიოდა და ღმერთს ესაუბრებოდა, შემდეგ ინფორმაცია, კურთხევა ჩამოჰქონდა უფლისგან. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი მოძღვარი შუამავალია ღმერთსა და ადამიანს შორის. მოძღვრის გარეშე გადარჩენა არ შეიძლება, რადგან ყველა საიდუმლოს, 6 საიდუმლოს მოძღვარი ასრულებს. მე-7 საიდუმლო მღვდლობაა. შეიძლება მონათვლის გარეშე ადამიანი ცხონდეს? შეუძლებელია. აღსარება-ზიარების გარეშე ცოდვების მონანიება შეიძლება? შეუძლებელია. ყველა საიდუმლო, რომელსაც მღვდელი ასრულებს, აუცილებელი საჭიროებაა ადამიანის გადარჩენისთვის.

***— ხშირად ადამიანები ამბობენ, რომ მათ არ სჭირდებათ ღმერთთან შუამავალი, რომ ისინი ღმერთს პირდაპირ ესაუბრებიან...***

— დიახ, ხშირია ასეთი შეხედულება. ზოგი ამბობს, რომ მას პირდაპირ აქვს ღმერთთან კავშირი და არავითარი მღვდელი არ სჭირდება. ეს ცრუ შეხედულებაა. ზოგი ამბობს, რომ მას ეკლესიის სჯერა, რადგან ღვთისაა, მაგრამ მღვდლის არ სჯერა. მაშინ მე, როგორც ყოფილი ექიმი, მათ ვეტყვი: მიბრძანდით საავადმყოფოში, სადაც მშვენიერი სამედიცინო აპარატურაა, საავადმყოფოს კედლებიცაა და გიმკურნალოთ ექიმის გარეშე. სულიერებაშიც ასევეა, მღვდლის გარეშე არ იქნება განკურნება. თუ მღვდელმა არ წაიკითხა შენდობის ლოცვა აღმსარებლის თავზე, შეიძლება, ცოდვა მას მიეტევოს? არ მიეტევება. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ მღვდლის გარეშე გადარჩენა და ცხონება არ შეიძლება. ბევრი მღვდელს განიკითხავს, ამბობენ, იმასთან როგორ მივალ, როგორ ვენდობიო. ვეთანხმები იმაში, რომ ადამიანს უფლება აქვს, ყველა მღვდელთან არ მივიდეს, რომ მან არჩევანი თავად გააკეთოს. აირჩიოს ის მოძღვარი, რომელიც მას უნდა, როგორც ადამიანი ირჩევს ექიმს. ზოგი ფიქრობს, რომ რადგან მივიდა და ერთი აღსარება ჩააბარა მოძღვარს, ის უკვე მისი მოძღვარია. ასე არ არის. ადამიანი მანამდე უნდა ეძებდეს თავის მოძღვარს, სანამ არ ნახავს ისეთს, რომელიც მის გულთან უფრო ახლოს მოივა. შეიძლება ათსჯერ ჩააბარო აღსარება და შენი პირადი მოძღვარი ვერ გახდეს. საუბარი არ არის ცუდ და კარგ მოძღვარზე, საუბარია იმაზე, როგორ გაიხსნები შენ მასთან. შეიძლება, დიდებული მოძღვარი იყოს, მაგრამ ადამიანის ფსიქოლოგია იყოს განსხვავებული და მასთან ვერ გაიხსნას. ამ შემთხვევაში სხვა მოძღვართან უნდა მივიდეს, რომ იქ გაიხსნას. მთავარი რეზულტატია, შედეგი, რასაც მიიღებს. ამ შემთხვევაში ადამიანს თავისუფალი ნება აქვს, რომ აირჩიოს მოძღვარი. მოძღვარი ერთი უნდა ჰყავდეს ადამიანს, იმიტომ რომ იმ მოძღვარმა უკვე იცის მთელი მისი სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობა, ისე, როგორც მკურნალმა ექიმმა იცის პაციენტის მდგომარეობა. თუმცა, არსებობს ადამიანების კატეგორია, რომლებიც, თუ მათი მოძღვარი არ არის, აღსარებას არ ამბობენ, თუნდაც სხვაგან იყვნენ წასული. ეს არის შეცდომა. სამედიცინო სფეროდან მოვიყვან მაგალითს, თუ ექიმმა ოპერაცია გაუკეთა ადამიანს, მეორე დღეს მივიდა გადასახვევად და არ დახვდა, რა, არ გადაახვევინებს სხვას? თუ ასე გაგრძელდა, ჭრილობა დაულპება. თუ ადამიანი საზღვარგარეთ არის, სინანულში ჩავარდა და მოძღვარი არ არის, აღსარება ვერ უნდა ჩააბაროს სხვა მოძღვარს?

***— კურთხევაა საჭირო ამ შემთხვევაში პირადი მოძღვრისგან?***

— თუ გზაზე მიდის, ამაზე კურთხევა უნდა აიღოს, შემდეგ, რა თქმა უნდა, უნდა უთხრას, ეს უკეთესია, მაგრამ, თუ ვერ მოახერხა, ამის გამო არ უნდა დაბრკოლდეს. მახსოვს უწმინდესის ერთ-ერთი ქადაგება: მოძღვარი, რომელიც არ გიშვებს მისგან და გაბრკოლებს, რომ სხვასთან წახვიდე, პატრიარქმა თქვა პირდაპირ, წადით იმ მოძღვრისგანო. ყოვლად გამორიცხულია, რომ ამ შემთხვევაშიც შეიზღუდოს ადამიანის თავისუფალი ნება. ადამიანს უფალი არ უზღუდავს თავისუფალ ნებას და მით უმეტეს მღვდელი ვერ შეუზღუდავს. ვიმეორებ, მღვდელს შეუძლია ჭეშმარიტი, ეკლესიური რჩევა მისცეს, რა არის ცუდი და რა — კარგი, რა არის თეთრი და რა არის შავი. ადამიანი კი უკვე თავად აკეთებს არჩევანს. ეს უკვე მისი ნებაა. ექიმი დანიშნულებას რომ მისცემს ადამიანს, ხომ არ წაჰყვება სახლში, რომ შეამოწმოს, სამჯერ დალია თუ არა. დანიშნულების შესრულება თავად პაციენტზეა დამოკიდებული, ეს მისი ნებაა. მთავარია ჯანსაღი დამოკიდებულება მრევლსა და მოძღვარს შორის. მღვდელი და აღმსარებელი მეგობრები უნდა იყვნენ, მაგრამ აქაც ზღვრის დადებაა საჭირო. არ შეიძლება, მოძღვარს გაუთამამდეს ადამიანი, ზედმეტად იხუმროს, ანეკდოტები მოუყვეს, როგორც ხშირად ხდება. დისტანცია აუცილებლად უნდა იყოს. როდესაც მოძღვარს უყურებს ადამიანი, რაღაცნაირად ასოციაცია მაცხოვართან მიდის. ამდენად, გათამამება არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მოძღვართან.

***— როდის უნდა ჰქონდეს ადამიანს სინანულის განცდა?***

— სინანული არის ის გრძნობა, რომელიც აღსარების საიდუმლოში იფურჩქნება. ეს აუცილებელია. აღსარების საიდუმლოს წმინდა მამები მეორე ნათლობას უწოდებდნენ. როგორც ნათლობის დროს იწმინდება, ყველა ცოდვა ეტევება და სუფთა ამოდის წყლიდან, ასევე ჭეშმარიტი, გულითადი სინანულის დროს განწმენდილი გამოდის ადამიანი. ხანდახან ხდება, არა აქვს სინანული, გული აქვს გაცივებული, სინანულს ვერ მოიხვეჭს, თუ ღმერთს არ ევედრა. ღმერთს უნდა სთხოვოს, რომ გული დაუთბოს, მისცეს ცრემლი. ყველაფერი ღმერთს უნდა ვთხოვოთ. ზოგი ფიქრობს, როგორ შევაწუხო ღმერთი, თუ ხშირად მივმართავო. პირიქით არის. რაც უფრო მეტს სთხოვ ღმერთს, მით უფრო უყვარხარ მას, რადგან სხვა არავინ გვყავს, ვისაც უნდა ვთხოვოთ. ყოველ წუთში უნდა ვთხოვოთ ღმერთს. სიყვარული არ გაქვს, უნდა სთხოვო, რომ მოგცეს, საჭმელი არ გაქვს, უნდა სთხოვო, რომ მოგცეს. ღმერთს ასე უნდა ვთხოვოთ: მომეცი, ღმერთო, მაგრამ უნდა დავამატოთ, როგორც შენ გნებავს, უფალო, თან უნდა ვიცოდეთ, რას ვითხოვთ. თუ არ ვიცით, ეს უნდა გამოვიძიოთ. უფალო, ისეთი რამე მათხოვნინე, რაც ჩემთვის საცხოვნებელი იქნება და შენთვის სათნო. ასე უნდა ვთხოვოთ უფალს.

# ჟან რენო — პროფესიონალი მკვლელი კეთილი თვალებით

**ჟან რენო — მსახიობი, რომელიც ყოველთვის გამოხატავს სულიერ გამომეტყველებას, სიმშვიდეს და ძალას. რენომ ღირსეულად შეცვალა ალენ დელონი, ჟერარ დეპარდიე თუ ჟან პოლ ბელმონდო. ითამაშა უამრავ ფილმში, რომელიც მაყურებელს ყოველთვის კარგად დაამახსოვრდება.**

### ბავშვობა

ესპანური წარმოშობის ჟან რენო, რომლის სრული სახელი ხუან მორენო-ი-ერერა ხიმენესია, 1948 წლის 30 ივლისს დაიბადა აფრიკული ქვეყნის, მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში. ესპანეთში გენერალ ფრანკოს დამყარებული დიქტატურის დროს მისი მშობლები იძულებული გახდნენ ანდალუზიიდან გაქცეულიყვნენ და თავი სწორედ მაროკოს შეაფარეს. როდესაც მომავალი მსახიობი 12 წლის გახდა, მისი მშობლები საცხოვრებლად უკვე საფრანგეთში გადაბარგდნენ. მამამისი ტიპოგრაფიაში მუშაობდა, ხოლო დედა მკერავი იყო. 17 წლის იყო ჟანი, როდესაც დედით დაობლდა. ნორმალური ცხოვრებისთვის საჭირო იყო საფრანგეთის მოქალაქეობა, ამიტომაც რენომ მის მისაღებად იქაურ არმიას მიაშურა.

მსახიობობა რენოს ადრეული წლებიდანვე უნდოდა.

— ყოველთვის მსახიობობაზე ვოცნებობდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს პროფესია გამომკვებავდა. ყოველთვის ვეუბნებოდი ჩემ თავს, რომ თუ კინოში არა, თეატრში მაინც გამიმართლებდა, — იხსენებს რენო.

ჟანმა პარიზის თეატრალურ სკოლაში ჩააბარა, სადაც ისეთი ვარსკვლავები სწავლობდნენ, როგორებიც კლოდ ბრასერი, დიდიე ფლამანი და სხვები იყვნენ. პარალელურად, რენო იძულებული იყო, მამამისაც დახმარებოდა. ამის გამო ხან მძღოლად, ხან საბაჟოზე, ხანაც ბულალტრად უწევდა მუშაობა.

თეატრალურ სკოლაში სწავლის პერიოდში მიხვდა, რომ ფრანგი მსახიობისთვის ხუან მორენო-ი-ერერა ხიმენესი არ იყო ზედგამოჭრილი, ამიტომ ხუანი ფრანგულ ჟანად გადაიკეთა, ხოლო მორენო 2 ასოთი შეამცირა და ასე გახდა ჟან რენო.

### კარიერის დასაწყისი

სკოლის დამთავრების შემდეგ რენომ თეატრში დაიწყო მუშაობა, რომლის პარალელურად სამსახიობო ოსტატობას რენე სიმონის სტუდიაშიც გადიოდა. მისი პირველი გამოჩენა ეკრანზე სატელევიზიო სერიალში „დღის ერთი საიდუმლო" მოხდა, ხოლო პირველად სრულმეტრაჟიან ფილმში „მოპარული სურათის ჰიპოთეზა" გამოჩნდა.

ამის შემდეგ რენო 5 წლის მანძილზე სხვადასხვა კალიბრის როლებს ასრულებდა არცთუ ცნობილ ფილმებში. სამაგიეროდ, თეატრალური კარიერა გაცილებით წარმატებული ჰქონდა. ფილმებში დიდი ხნის მანძილზე ტკეპნიდა ერთ ადგილს. ეს კი ამბიციურ მსახიობს არ აკმაყოფილებდა. ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც რენომ ლუკ ბესონი გაიცნო. სწორედ ის გახდა მისი თილისმა და ბედნიერი ვარსკვლავი.

მსახიობზე უმცროსმა, 26 წლის ბესონმა რენო პირველად 1981 წელს ფილმში „ბოლოსწინა" მიიწვია, ხოლო 2 წლის შემდეგ უკვე ფილმში „ბოლო ბრძოლები" ათამაშა. რეჟისორი მიხვდა, რომ მსახიობში თანამოაზრე და მეგობარი იპოვა. 1985 წელს რენომ ფილმში „მიწისქვეშა გადასასვლელი" ითამაშა, რომელმაც წარმატების კიბეზე რამდენიმე საფეხურით დააწინაურა.

ამას მოჰყვა ფილმები „ტელეფონი ყოველთვის ორჯერ რეკავს", „პირადი საქმე", „მიყვარხარ", „წითელი ზონა". სწორედ მათ შემდეგ რენო თანდათან იხვეჭდა პოპულარობას და „სეზარის" პრემიაზეც კი იყო წარდგენილი.

### 90-იანი წლები

1990 წელს ქილერ გოგონაზე გადაღებულ ბოევიკში „ნიკიტა", რენომ პირველად შეასრულა პროფესიონალი მკვლელის როლი, რის შემდეგ მკვლელობა მისთვის „მშობლიური" გახდა. სწორედ ამ როლის შემდეგ რენოს „ცისფერი ეკრანის საუკეთესო კილერი" შეარქვეს. ამის შემდეგ, თითქმის არ გადაღებულა მსგავსი ჟანრის ფილმი, სადაც რენო არ მიეწვიათ. თუმცა, თავად ხშირად ამბობდა უარს, რადგან არ სურდა ხალხს მხოლოდ ამ სახით დაემახსოვრებინა.

პირველი ღირსეული აღიარება იმავე ბესონის მიერ გადაღებულმა ფილმმა „მწმენდავი" (იგივე „პროფესიონალი" და „ლეონ კილერი") მოუტანა.

გაუპარსავი, გაუნათლებელი, მარტოსული ქილერი, კეთილი და ნაღვლიანი თვალებით დღემდე რჩება მსახიობის სავიზიტო ბარათად. ეს არის ნაღვლიანი ისტორია მკვლელისა და პატარა, დაუცველი გოგონასი, რომელმაც კრიტიკოსებიც კი აღაფრთოვანა. ხოლო საფრანგეთის კინოაკადემიამ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრემიაც კი მიანიჭა. ასე გაიღო მისთვის ჰოლივუდის კარი.

### ჰოლივუდური კარიერა

— ლეონის როლის თამაშისას მივხვდი, რომ შემეძლო ამერიკაშიც მემუშავა. იქ ჩასულები ერთხელ მეგობართან ერთად ლოს-ანჟელესის რესტორანში შევედით, ოფიციანტმა ჩემსკენ თითი გამოიშვირა და „ნიკიტა", დაიძახა. სწორედ ის ოფიციანტი გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც ჰოლივუდში კარიერის გაგრძელებისკენ მიბიძგა, — ამბობს მსახიობი.

ამერიკაში რენოს პირველად როლი ფილმში „უკანასკნელი მოჰიკანი" შესთავაზეს, მაგრამ ბოლოს მის ნაცვლად პატრის შერი ათამაშეს. თუმცა, მაინც გამოჩნდა ადამიანი, რომელიც მისი სამსახიობო ნიჭით იყო დაინტერესებული. ფილმ „ბოლო ბრძოლა" ნახვის შემდეგ, რეჟისორი ბრაიან დე პალმა დიდხანს ეძებდა ფრანგ მსახიობს. ის იმდენად მოხიბლული იყო, რომ მზად იყო მისთვის უსიტყვო როლიც კი მიეცა. დე პალმამ ფილმში „შეუსრულებელი მისია" ტომ კრუზთან ერთად მთავარი როლი ათამაშა და არც უნანია — 1996 წელს გადაღებული ფილმი დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკაში.

პირველივე მოულოდნელი წარმატება მისთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა, თუმცა



ისეთივე გაგრძელება არ მოჰყოლია და გარკვეული პერიოდის მანძილზე მცირე როლებს ითავსებდა. ალბათ, ყველაზე დიდი წარმატება მისთვის ყველასთვის კარგად ნაცნობ ფილმს „მეხუთე ელემენტი" უნდა მოეტანა. სხვათა შორის, ამ ფილმის სცენარი ლუკ ბესონმა სპეციალურად მისთვის დაწერა, მაგრამ ამერიკელმა პროდიუსერებმა ვერ გარისკეს და რენოს ნაცვლად ფილმში მაყურებლისთვის უფრო მისაღები ბრიუს უილისი ათამაშეს. ბესონი დიდი ხანი ეწინააღმდეგობოდა პროდიუსერებს, მაგრამ საბოლოოდ არაფერი გამოუვიდა.

თუმცა, ბედი ასევე მოულოდნელად შემოუბრუნდა. ერთი წლის შემდეგ ეკრანებზე გამოვიდა ფანტასტიკური ბლოკბასტერი „გოძილა" (სხვათა შორის, ამ ფილმის გამო რენომ უარი თქვა ეთამაშა ფილმში „მატრიცა"), რომელმაც მსახიობი უფრო პოპულარული გახადა, ვიდრე ეს „მეხუთე ელემენტს" შეეძლო მოეტანა.

ამის მიუხედავად, 90-ანი წლების პერიოდში რენოს ყველაზე სერიოზულ ნამუშევრად ფილმი „რონინი" ითვლება, სადაც გადასაღებ მოედანზე პარტნიორობას რობერტ დე ნირო უწევდა. მისი როლი აქაც ზედგამოჭრილია — უსიტყვო პროფესიონალი, რომელიც ყოველთვის სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე დგას.

### 2000-იანი წლები

ეს მონაკვეთი რენოს ისტორიაში წარუმატებლად დაიწყო. რენომ ითამაშა ბესონის კომედიურ ბოევიკში „ვასაბი", რომელმაც კომერციული კრახი განიცადა. ამას მოჰყვა მეტ-ნაკლებად წარმატებული ფილმები „სიყვარულის ისტორია", „როლერბოლი", „უილბლო" და „კორსიკელი".

2006 წელს ეკრანებზე გამოჩნდა ისტორიულ-სათავგადასავლო დრამა „ლაფაიეტის ესკადრილია", რომელმაც ოდნავ „გამოაფხიზლა" მისი კარიერა. ამას მოჰყვა სათავგადასავლო კომედიები „ვარდისფერი პანტერა" და „ვარდისფერი პანტერა 2". თუმცა, აქაც გარკვეული პრობლემებით.

როდესაც რენოს შესთავაზეს ეთამაშა ფოლმში „და ვინჩის კოდი" (ამ ფილმის გადაღების წინააღმდეგ ვატიკანი გამოვიდა), მსახიობმა უმალვე თანხმობა განაცხადა. რენოს თვით რეჟისორიც, რონ ჰოვარდი ეკითხებოდა რჩევებს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მისი პარტნიორი, მაგრამ მსახიობი ამ პასუხიმგებლობას გაექცა. როგორც თავად იხსენებს, დარწმუნებული იყო, რომ რეჟისორი ვინმე სოფი მარსოს სტილის ტიპაჟს ამოირჩევდა, მაგრამ მოულოდნელად ოდრი ტოტი აიყვანეს. რენო მხოლოდ ფილმის გადაღების მსვლელობისას მიხვდა, რომ რეჟისორმა სწორი არჩევანი გააკეთა.

მისი ბოლო ნამუშევრებია „მგლების იმპერია", „ინკასატორი", „გამოუსწორებელი თაღლითები", „ჩაკეტილი წრე". რამდენიმე წლის წინ



მსახიობმა განაცხადა, რომ 60 წლის ასაკში კინოკარიერას დაასრულებს, თუმცა მის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ არ წყდება და ბევრი საინტერესო წინადადება აქვს.

### თეატრი და ოპერა

ფილმებში თამაშის მიუხედავად, რენო არასდროს ივიწყებდა თეატრისადმი სიყვარულს. ბოლო პერიოდში იქ დაბრუნებაზე სულ უფრო მეტს ფიქრობდა, მაგრამ როგორც გითხარით, რეჟისორები არ ასვენებენ.

რამდენიმე წლის წინ რენომ ითამაშა სპექტაკლში „შესანიშნავი შემთხვევა", ხოლო ტურინის ოპერაში ტენორ რობერტო ალანიას თხოვნით „მანონ ლესკოშიც" მოსინჯა ძალა.

ამასთან, რენოს ოცნებაა, ოტელოს, ფალტაფისა და მეფე ლირის „ტყავშიც" ითამაშოს.

### პირადი ცხოვრება

ჟან რენო ყოველთვის წარმატებული იყო მანდილოსნებში. მისი იდუმალი გამოხედვა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს სულში ხვდებოდათ. რენო სამჯერ იყო დაქორწინებული.

პირველი ქორწინებიდან 32 წლის გოგონა სანდრა და 30 წლის ვაჟი მიკაელი ჰყავს. პოლონელ მოდელ ნატალია მიშკევიჩთან რომანის გაბმის შემდეგ რენო იძულებული გახდა პირველ მეუღლეს გაშორებოდა. მალე უკვე ნატალიასთან იქორწინა, რომელთანაც 14 წლის ვაჟი ტომი და 12 წლის გოგონა სირენა ჰყავს. თუმცა, არც ეს ქორწინება აღმოჩნდა ხანგრძლივი და 2001 წელს ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

უღელში შებმა რენომ 2006 წელს გადაწყვიტა და ჭაპნის გამწევად ყოფილი მანაკენი, 39 წლის სოფია ბორუცკაია აირჩია. როგორც თავად რენო აცხადებს, ბოლო 2 ცოლში ის სლავური შარმით სულაც არ იყო მოხიბლული და ეს მხოლოდ დამთხვევაა.

მსახიობს სახლები აქვს პარიზში, ლოს-ანჟელესსა და მალაიზიაში. ისიც რეგულარულად მოინახულებს ხოლმე თავის „ბუდეებს".

თითქმის ყველა ნაცნობის დახასიათებით, რენო კეთილი ადამიანია. ამასთან, საქმიანი.

— ყველაფერი შემიძლია გავაკეთო დღეს, თუნდაც ის საქმე, რომელიც შესაძლოა, გადაიდოს ხვალისთვის, — ამბობს მსახიობი.

### საინტერესო ფაქტები

რენოს ძალიან უყვარს კომედიური ფილმების ყურება და მისი საყვარელი მსახიობები არიან რობერტო ბენინი, ბურვილი და ლუი დე ფიუნესი. ის აგრეთვე ელვის პრესლის დიდი მოყვარულია და ფილმში „გოძილა" მისი სიმღერის იმიტაციაც კი შექმნა.

ჟან რენო და საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ახლო მეგობრები არიან. მეტიც, პრეზიდენტი მისი მეჯვარეც კი იყო ქორწილში. თუმცა, იმ დროს სარკოზის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა.

ჰოლივუდელი მსახიობებიდან კი ყველაზე მეტად ტომ ჰენკსს და მის უამრავ დადებით თვისებას აფასებს.

მსახიობს აქვს საკმაოდ ორიგინალური პასუხი კითხვაზე, თუ რომელ ცხოველად შეუძლია თავი წარმოიდგინოს — ეს არის აქლემი. ამის მიზეზად მარტო იმას კი არ თვლის, რომ აქლემებს შეუძლიათ თან ატარონ საკვების თადარიგი, დალიონ ყველაფერი რაც შეხვდებათ. უბრალოდ, მათ შეუძლიათ ძალიან დიდხანს და შეუსვენებლივ იარონ.

რენო ერთადერთი ფრანგი მსახიობია, რომელმაც უმოკლეს ვადაში მოახერხა ჰოლივუდური კარიერა აეწყო.

### ჯილდოები

საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი (1990); საფრანგეთის კინოხელოვნების აკადემიის პრემიის ლაურეატი (1994); ნაციონალური ღირსების ორდენის ოფიცერი (2003); ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის ოფიცერი (2007); საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცერი (2008)

# ფერნანდო ტორესი: „ლივერპულს" გოლს უახლოეს ტურში გავუტან!"

დასაწყისი მე-16 გვერდზე

ტერი, ფრენკ ლამპარდი, დიდიე დროგბა და ნიკოლა ანელკა არიან. ვფიქრობ, ბოძებულ შანსს სრულად გამოვიყენებ და დიდი გუნდის ღირსეული წევრი გავხდები. მით უმეტეს, „ჩელსი" ყოველთვის პატივისცემით მეპყრობოდა, რამაც დიდწილად განაპირობა ჩემი ლივერპულიდან ლონდონში გადასვლა. ერთი სიტყვით, „სტემფორდ ბრიჯზე" თავს უკვე ბედნიერად ვგრძნობ.

— კლუბის შეცვლის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ალბათ, ისიცაა, „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაზე რომ თამაშობს, ხოლო „ლივერპული" — მხოლოდ ევროპის ლიგაზე თამაშით დაკმაყოფილდა.

— რასაკვირველია, გახარებული ვარ, ჩემპიონთა ლიგის მატჩებში მონაწილეობის უფლება და საშუალება კვლავ რომ მომეცა. ამ ტურნირზე გამოსვლას ნებისმიერი მეტ-ნაკლებად ამბიციური მოთამაშე ოცნებობს. მით უმეტეს, „ჩელსის" კონტინენტის უპირველესი საკლუბო შეჯიბრების მოგების მშვენიერი პერსპექტივა გააჩნია. თუმცა, ამის გაკეთება ურთულესი საქმეა, რადგანაც ფლეი-ოფში გასული ნებისმიერი სხვა გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე ფიქრობს.

— „სტემფორდ ბრიჯზე" გადმოსვლის შემდეგ „ლივერპულში" თქვენი პარტნიორის, იოსი ბენაიუნის თანაგუნდელად გახდომის შესაძლებლობა მოგეცათ. „ენფილდზე" ერთობლივად გამოსვლის პერიოდში ებრაელ ფეხბურთელთან მინდორზეც და მის ფარგლებს გარეთაც კარგი დამოკიდებულება გქონდათ. სამწუხაროდ, იოსი ტრავმირებულია და უცნობია, როდის განაახლებს თამაშს.

— ბენაიუნი ჩემი მეგობარია. ჩვენ ერთმანეთს მშვენივრად ვუგებდით მატჩის დროსაც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. იმედია, იოსი მალე ჩადგება მწყობრში და კვლავინდებურად შეხმატკბილებულ ტანდემს შევქმნით, რომელიც ბევრ თავსატეხს გაუჩენს მოწინააღმდეგეთა მცველებსა და მეკარეებს. ამასთან, ახალ პარტნიორებთანაც უსწრაფეს დროში შეთამაშებას ყოველმხრივ შევეცდები.

— „სტემფორდ ბრიჯზე" კარლო ანჩელოტის მუშაობას რა კომენტარს გაუკეთებდით?

— ანჩელოტი-ფეხბურთელისა და ანჩელოტი-მწვრთნელის კარიერა წარმატებებითაა აღსავსე. სინიორ კარლო ბუნებით მაქსიმალისტია და გამარჯვებულის მენტალიტეტით დაჯილდოვებული. ჯერ მისი მეთაურობით არ მივარჯიშია და ერთი სული მაქვს, როდის გავალ წვრთნაზე, რომელსაც ჩემი ახალი დამრიგებელი ჩაატარებს. დარწმუნებული ვარ, ანჩელოტის ვარჯიშები არა მარტო დამღლელი, არამედ, საინტერესოც იქნება.

— უახლოეს კვირას, „სტემფორდ ბრიჯს" „ლივერპული" ესტუმრება. შესაძლოა, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოგიწიოთ თამაში. ამის გამო უხერხულობის გრძნობა არ გეუფლებათ?

— განგებამ ასე ინება. რასაკვირველია, თავს უხერხულად ვიგრძნობ, მაგრამ ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაა, ვითამაშებ თუ არა იმ დღეს. „ლივერპულს" რაც შეეხება, კლუბის მადლიერი ვარ და მასზე აუგს არასდროს ვიტყვი. თუკი „სტემფორდ ბრიჯზე" გასვლის საშუალება მომეცა, „ჩელსის" წარმატების მისაღწევად არაფერს დავიშურებ — გამოდის, „ლივერპულის" კარში გოლის გატანა მომიწევს.



# ნუკრი რევიშვილი: „სჯობს მოედანზე იბრძოლე გადარჩენისთვის, ვიდრე სათადარიგოთა სკამზე — მედლებისთვის“

რუსეთის პრემიერლიგაში „ანჟის“ სადებიუტო სეზონში ახალგაზრდა ქართველი მეკარის, ნუკრი რევიშვილის გარჯამ მნახველებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა, რატომ მარტო მნახველზე — რევიშვილს მუდმივად იწვევს საქართველოს ნაკრებში მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია და ძირითად მეკარედაც მოიაზრებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებურს „ანჟის“ ძირითადში ადგილს მეორე გოლკიპერი ილია აბაევი ეცილებოდა. ამ უკანასკნელის ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში“ გადასვლის შემდეგ კი საქართველოს ეროვნული გუნდის მეკარე უკვე „ანჟის“ ნომერ პირველი მეკარე უნდა გახდეს.

ახლახან ქართველ მეკარესთან, რომელიც 9 თებერვალს სომხეთთან ამხანაგური მატჩისთვის ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა განაცხადში შეიყვანა, ინტერვიუ სპორტს.რუ-ზე გამოქვეყნდა.

***— როგორ გაატარეთ შვებულება?***

— ნორმალურად, ეს დრო სამშობლოში გავატარე. მეგობრებთან ერთად 3 დღით ბარსელონას ვსტუმრობდი, სადაც „ბარსელონა“ — „რუბინის“ მატჩს დავესწარით. ახალ წელს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ოჯახთან ერთად შევხვდი.

***— ახალი სეზონის წინ განწყობა როგორი გაქვთ?***

— განწყობა კარგი მაქვს — ახალ სეზონში, ახალი გუნდი გვეყოლება. ჩვენგან ხომ ბევრი ფეხბურთელი წავიდა. ვფიქრობ, უკეთესი წელიწადი გვექნება — გუნდი შარშანდელთან შედარებით უფრო ძლიერია. თანაც, როგორც ამბობენ, გუნდში ახალი სპონსორები მოვიდნენ.

***— თქვენ, რომელიც „რუბინთან“ ერთად ჩემპიონობისთვის იბრძოდით, „ანჟიში“ ალბათ უფრო მეტის მიღწევა გსურთ, ვიდრე მხოლოდ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება.***

— რა თქმა უნდა! თუკი წელს რვა საუკეთესოთა შორის მოვხვდებით, ეს ჩვენთვის დიდი წარმატება იქნება. ისე კი ვფიქრობ, სჯობს მოედანზე იბრძოლე გადარჩენისთვის, ვიდრე სათადარიგოთა სკამზე — მედლებისთვის. მე, როგორც ფეხბურთელს, მირჩევნია „ანჟიში“ ვთამაშობდე, ვიდრე „რუბინის“ სათადარიგოთა შორის ვიჯდე.

***— შეიძლება ითქვას, რომ ილია აბაევის წასვლის შემდეგ „ანჟის“ ძირითადში პირველი ადგილი დაიბევეთ?***

— არა, რატომ? ჩემი აზრით, გუნდში კონკურენცია ისევ მაღალი იქნება, თუმცა მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა მწვრთნელებს დავუმტკიცო, რომ პირველ ნომრად ყოფნას ვიმსახურებ.

***— გარდა გუნდის მეკარე მაკაროვისა, თქვენთან კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა გოლკიპერი ისინჯება.***

— დიახ, თუმცა ჯერ არ არის გარკვეული, ვინ დარჩება და ვინ — არა.

***— თუკი კლუბმა სრულფასოვანი კონკურენტი არ მოგიყვანათ, ეს ნეგატიურად აისახება თქვენს ოსტატობაზე?***

— კონკურენცია ფეხბურთში ყოველთვის სასარგებლოა. ასეთ დროს მუდმივად ბრძოლა გიწევს და საკუთარ თავს მოდუნების უფლებას არ აძლევ. თუმცა, არც ისე ვარგა, როგორც ეს შარშან ჩვენ გუნდში იყო — რიგრიგობით რომ ვთამაშობდით.

***— როცა გუნდში ორი თანაბარი ძალის მქონე მეკარეა, მათ შორის ურთიერთობა როგორ წარიმართება? შესაძლოა, მათ იმეგობრონ?***

— რა თქმა უნდა. მაგალითად, მე და ილია ვმეგობრობდით. ქალაქში ერთად დავდიოდით, რესტორანში გვერდიგვერდ ვსხდებოდით. ჩვენ კონკურენციის თვალსაზრისით პრობლემა არასდროს გვქონია.

***— აბაევის გარდა გუნდი კიდევ რამდენიმე ლიდერმა დატოვა. თქვენი აზრით, ახალ სეზონში „ანჟი“ როგორ ითამაშებს?***

— რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, თუკი ლიდერთა ბირთვი შენარჩუნდებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, საფეხბურთო ცხოვრება ასეთია. მაგრამ ჩვენ გამოცდილი მწვრთნელი გვყავს, უკეთეს გუნდს შეკრებს. ყოველ შემთხვევაში, არანაკლებს.

***— როგორ აფასებთ რუსული ფეხბურთის ელიტაში სადებიუტო სეზონს?***

— სეზონს შეიძლება წარმატებული ვუწოდოთ. როცა გუნდი პრემიერლიგაში გადადის, პირველ სეზონში მთავარია, ადგილი შეინარჩუნოს. შემდეგ გუნდი ნელ-ნელა გამოცდილებას იძენს და უფრო ძლიერი ხდება.

***— ანუ, ცხრილში მეთერთმეტე ადგილის დაკავება „ანჟისთვის“ შესაძლებლობების მაქსიმუმი იყო?***

— დიახ, მეათე-მეთერთმეტე ადგილი, ვფიქრობ, რეალურად ასახავს იმ გუნდის ძალას, რომელიც შარშან გვყავდა.

***— შარშან საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებდით?***

— საკუთარ თამაშს ყოველთვის კრიტიკულად ვაფასებ. ჩატარებული მატჩების რაოდენობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ჩემთვის ეს რუსეთში გატარებული პირველი სეზონი იყო და საერთო ჯამში, ნორმალური გამოვიდა. რა თქმა უნდა, იყო მატჩები, როცა უკეთ გარჯა შემეძლო.

***— შარშან საქართველოს ნაკრებშიც გამოგიძახეს. ეროვნულ გუნდში „ანჟიში“ ჩარიცხვამდეც გიწვევდნენ?***

— დიახ. ნაკრებში ჯერ კიდევ 2005 წელს მიმიწვიეს, მაგრამ მაშინ ქუთაისში ვთამაშობდი. მას შემდეგ კი, რაც „რუბინში“ გადავედი, აღარ მიძახებდნენ, რაც ჩემი უთამაშებლობით იყო განპირობებული. როგორც კი „ანჟიში“ თამაშის საშუალება მომეცა და ფორმა აღვიდგინე, ნაკრებშიც დამაბრუნეს. სწორედ „ანჟის“ უნდა ვუმადლოდე, რომ ეროვნულ გუნდში მიწვევენ.

***— შარშან გუნდში არაერთი თქვენი თანამემამულე გამოდიოდა, ახლა კი ქართველთაგან მხოლოდ თქვენ დარჩით. ამან განწყობა ხომ არ გაგიფუჭათ?***

— დიახ, ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ვარ, რომელსაც „ანჟისთან“ მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს. გუნდში კიდევ რამდენიმე ქართველი არის გასინჯვაზე, თუმცა მის შესახებ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. თუკი აიყვანენ, ხომ კარგი და თუ არა, არც ეს იქნება ტრაგედია. მეგობრები ადგილობრივ ფეხბურთელებშიც მრავლად მყავს და ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს.

***— ანუ, თქვენთვის სულ ერთია, იქნებიან თუ არა ქართველები გუნდში?***

— ჩემთვის მთავარი ხშირ-ხშირად თამაში და დავალების კარგად შესრულებაა, სხვა დანარჩენი კი მეორეხარისხოვანია.

***— ომარ თეთრაძე, რომელმაც მახაჩყალაში მიგიწვიათ, ახლა „ვოლგაშია“, სადაც ბევრი თქვენი თანაგუნდელი გადავიდა. ნიჟნი ნოვგოროდში თქვენ არ მიგიწვიათ?***

— უწინ მსგავსი საუბრები იყო, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, შემდეგ აბაევი დაიმატეს, ჩემზე კი სერიოზული საუბარი აღარ ყოფილა.

***— შარშანდელ სეზონში თქვენი თამაშებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?***

— ყაზანში, „რუბინის“ წინააღმდეგ, რომელიც 0:0 ვითამაშეთ და ასევე გასვლითი მატჩი „ზენიტთან“, რომელშიც ისეთი შეცდომა დავუშვი. აქამდე არ მავიწყდება. რას ვიზამთ, ყველა მეკარე ცდება.

***— მრავალ მეკარეს მსგავსი შეცდომა კარიერის დასრულებად უჯდება, რადგან ფსიქოლოგიურ პრობლემას ვერ უმკლავდებიან. თქვენ ეს როგორ შეძელით?***

— მეკარეთა უმრავლესობისთვის პრობლემა სწორედ ფსიქოლოგიურია. უბრალოდ, სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდე — შეცდომა ხომ ყველა მეკარეს მოსდის. ცხოვრება ამით არ მთავრდება და თამაში უნდა გააგრძელო.

***— მსგავსი შეცდომების შემდეგ ყველას ხომ არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, თავისი დანაშაული აღიაროს.***

— შეცდომების აღიარება ყოველთვის აუცილებელია. თუკი ჩემ შეცდომას სხვებს გადავაბრალებ, ამით არაფერი შეიცვლება.

# მიხაილ მელნიკოვი: „კოტე მახარაძე ყველა დროის საუკეთესო კომენტატორია“

გულშემატკივრობს თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრებს, უყვარს ჩვენებური სტუმართმოყვარეობა, კავკასიური მანერები, დანელიას ფილმები, ლობიო და საცივი. საქართველოში ბევრჯერ არის ნამყოფი, სტუმრობდა ქართულ ფეხბურთში ღრმად ჩახედულ ადამიანებს, მეგობრობს ქართველ ჟურნალისტებთან.

ალბათ მიხვდით, რომ საუბარია უცხოელზე. ვინ შეიძლება იყოს ეს პიროვნება? დასამალი არაფერი არ არის — რუსი ჟურნალისტი, „ნტვ პლუსის“ სპორტული კომენტატორი მიხაილ მელნიკოვი.

საქართველოში ხშირად რომ სტუმრობს, უკვე გითხარით და ერთ-ერთი ასეთი ვიზიტისას პირადადაც ვესაუბრე. თუმცა, ამჯერად მისი ინტერვიუს შემოგთავაზებთ, რომელიც რუსულ მედიაში გამოქვეყნდა. თუმცა, მხოლოდ მცირე ნაწილს, სადაც ძირითადად საქართველოზე და ლეგენდარულ კომენტატორ კოტე მახარაძეზე საუბრობს.

***— მოგვიყევით თქვენი ტელევიზიაში მისვლის ისტორია. როგორ გადაიქცა, ჰობი სამუშაოდ?***

— სპორტზე წერას 90-იანი წლების დასაწყისში მივყავი ხელი. უმაღლესი განათლება მაშინ არ მქონია. სამაგიეროდ, მეგობრების დიდი ნაწილი, რომელთაც ჰუმანიტარული განხრით ჰქონდათ დამთავრებული ინსტიტუტები, სხვადასხვა გამომცემლობებში მუშაობდნენ. მაშინ ბევრი არჩევანი მქონდა, მაგრამ სპორტს მივეძალე. იმ პერიოდში, გაზეთი უფრო მეტი იყო, ვიდრე მკითხველი. ერთ-ერთმა მეგობარმა მთხოვა, რომ სპორტი ვიცოდი და მასზე მემუშავა. ეს ყველაფერი „როსიისკიე ვესტი“-ში მუშაობით დაიწყო, შემდეგ იყო ყოველკვირეული გაზეთი „ფუტბოლი“, ბოლოს კი ტელევიზია. თავდაპირველად პირველ არხზე ვმუშაობდი, 1994-წლიდან კი „ნტვ“-ზე, სადაც მაშინ იქმნებოდა სპორტული რედაქცია. იმ დროს ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადა დაემთხვა და მიშა შმურნოვთან ერთად ყოველდღიურ რუბრიკას ვაკეთებდით. შემდეგში, როდესაც „ნტვ“-ს პლუსი



დაემატა, მითხრეს, გამეშუქებია ყველაფერი, რაც ლათინოამერიკულ ფეხბურთს უკავშირდება — ბრაზილიისა თუ მისი შტატების ჩემპიონატი, ნახევარსაათიანი მიმოხილვა ჰონდურასის, მექსიკის, კოსტარიკისა თუ სხვა ჩემპიონატების. ახლა ნამდვილად არ მახსოვს, თუ რატომ მაინცდამაინც მე დამავალეს მათი გაშუქება. სწორედ მას შემდეგ მომაკერეს ლათინური ფეხბურთის მცოდნის იარლიყი. ამის გამო ახლაც გაოცებული ვარ. ვერ ვიტყვი, რომ ბრაზილიურ ფეხბურთზე ვგიჟდები, უფრო პირიქით. თუმცა, ეს ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო და ახლა მათი ფეხბურთის შესახებ ძალიან ბევრი რამ ვიცი. რაც არ უნდა იყოს, 15 წელია უკვე მის გარშემო ვმუშაობ. სინამდვილეში კი ფეხბურთი გახდა ჩემი ცხოვრების ტრაგედია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, გამიჭირდა იმის აღთქმა, რომ აწი ველარ ვნახავდი თბილისის „დინამოსა“ და სხვა ქართული კლუბების თამაშს. ამის გამო ერთი პერიოდი ფეხბურთს საერთოდ არ ვუყურებდი. შემდეგ, როდესაც რუსეთში დაიწყეს სხვა ჩემპიონატების გაშუქება, მათზე წერა, ინტერესი დამიბრუნდა. იმ გუნდებს, რომელთაც ვგულშემატკივრობ, დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალს. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს“ მისი ფანკლუბის ოფიციალური წევრი ვარ.

***— როგორც ვიცით, გრანდებს უფრო არ გულშემატკივრობთ. რატომ ასეთი ორიგინალური მიდგომა?***

— დამავიწყდა მეთქვა „მონპელიე“, რომელიც 6-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ელიტას და კარგი სეზონიც ჰქონდათ. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვგულშემატკივრობ „ბოავიშტას“. საერთოდ, ყოველთვის თანავუგრძნობდი დიდი ქალაქების მეორე გუნდებს. იმის მიუხედავად, რომ „მანჩესტერის“ დიდი გულშემატკივარი ამ ქალაქის მეორე გუნდს, „სიტის“ ყოველთვის ვგულშემატკივრობ, როდესაც ლონდონურ კლუბებს ეთამაშება. როდესაც ორი გუნდია ისეთ ქალაქებში, როგორებიც არის მადრიდი, შეფილდი, პორტუ, ყოველთვის მეორე გუნდისკენ ვიხრები. ავიღოთ თუნდაც მადრიდის „ატლეტიკოს“ მაგალითი. ამ გუნდს 7 წლიდან ვგულშემატკივრობ. შესაძლოა, მაშინ არც კი ვიცოდი „რეალის“ არსებობა, თანაც „ატლეტიკოს“ ზოლიანი მაისურები მომეწონა.

***— რა განწყობა გქონდათ, როდესაც 1986 წელს, „ატლეტიკო“ თასების თასის მფლობელთა ფინალში კიევის „დინამოს“ ეთამაშებოდა.***

— ზუსტად იმ დღეს არმიიდან დავბრუნდი და პირველი, რაც გავიფიქრე, იყო, რომ ნეტავ ისევ ჯარში ვყოფილიყავი.

***— თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრობა 1981 წლიდან დაიწყეთ, თუ უფრო ადრე?***

— უფრო ადრე. ისე მოხდა, რომ ბავშვობაში ალერგია მქონდა და მშობლები იძულებული გახდნენ ნახევარი წლით სამხრეთში წავეყვანე, სადაც მაშინ ყველაფერი ყვაოდა. გაგრის სანატორიუმში ქართულენოვანი მოსახლეობის გვერდით ვცხოვრობდით. რა თქმა უნდა, მათი მოსახლეობის მამაკაცები ფეხბურთით იყვნენ გატაცებული და თბილისის „დინამოს“ მატჩებს უყურებდნენ. ზუსტად იმ პერიოდში ვიწყებდი ფეხბურთში გათვითცნობიერებას და მათმა თამაშმა მომხიბლა. უფრო ადრე, მამაჩემის გავლენით „ზენიტისა“ და ცსკას გულშემატკივარი ვიყავი, რადგან მამაჩემი წარმოშობით ლენინგრადელია (სანკტ-პეტერბურგი) და ომიც გადატანილი აქვს. აი, 70-იანი წლების შუიდან კი დამოუკიდებელი არჩევანი გავაკეთე — „დინამო“ მართლაც დიდებულ ფეხბურთს აჩვენებდა, 1978 წელს კი საერთოდ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ. ეს იყო დავით ყიფიანის, ვლადიმერ გუცაევის, ალექსანდრე ჩივაძის, რამაზ შენგელიასა და სხვების თაობა.

***— ამ სიყვარულზე კოტე მახარაძეს თავისი გავლენა არ მოუხდენია?***

— რა თქმა უნდა! ახლა თამამად ვიტყვი, რომ რუსულ ენაზე მის მიერ წაყვანილ რეპორტაჟებზე უკეთესი ჯერ არ მომისმენია. რაც შეეხება სხვა ენებზე, კიდეც რომ მოვისმინო, მაინც ვერ შევაფასებ. კოტე მახარაძე არის ადამიანი, რომელსაც ერთპიროვნულად ვაყენებ ყველა დროის ყველა კომენტატორზე მაღლა. დიდად მოხარული ვარ, რომ ერთხელ მასთან ხანგრძლივი შეხვედრა და საუბარი მქონდა. ახლაც მაქვს მაშინდელი „დინამოს“ ჩანაწერები კოტეს კომენტარებით.

***— რაში იყო მისი ქარიზმა და უნიკალურობა?***

— პირველ რიგში, ის მსახიობი იყო. მატჩის რეპოტაჟი კი არ მიჰყავდა, არამედ როგორც სპექტაკლს, ისე თამაშობდა. მეორე ფენომენი კი ის არის, რომელიც აქამდე ვერ ამიხსნია, მით უმეტეს, რომ ამ თემაზე უამრავ ფილოლოგთან მისაუბრია. მაგალითად, ყველა საპორტო ქალაქში, სოხუმში, ოდესაში, ბაქოში რუსული ენა მშობლიურად არ ითვლება, მაგრამ უფრო მდიდარია. ასე იყო საქართველოში, სადაც კი ვინმესთან მქონია შეხება, რუსულად შესანიშნავად საუბრობდნენ. მეტიც, მომწონდა მათი აქცენტი, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ყოველთვის მაოცებდა ის, რომ ხალხისთვის, რომელთათვისაც რუსული ენა მშობლიური არ იყო, შეეძლოთ ისეთი გამონათქვამები ჰქონოდათ, რომელსაც მაგალითად, მოსკოვშიც კი ვერ მოისმენთ. აი, ეს იყო მეორე ფაქტორი, რის გამოც მომწონდა კოტე მახარაძე.

***— თავად ბატონ კოტეს აქვს ნათქვამი ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ რეპორტაჟების დროს სპეციალურად ამატებდა აქცენტს, რადგან სცენაზე სრულიად უაქცენტოდ საუბრობდა.***

— ვერც შეგეწინააღმდეგებით და ვერც დაგეთანხმებით, რადგან მისი თამაში სცენაზე მხოლოდ მაშინ მინახავს, როდესაც ქართულად საუბრობდა. შესაძლოა, ასეთი რამ მართლაც ახასიათებდა. მას არა მარტო ფეხბურთის, არამედ კალათბურთის რეპორტაჟებიც მიჰყავდა. როგორც მახსოვს, მგონი, საერთოდ, კალათბურთით დაიწყო.

***— ხომ არ გადმოგიღიათ მისი რეპორტაჟებიდან რამე?***

— ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, განსხვავებულები ნადვილად ვართ — სად ის და სად — მე.

***— საერთოდ არაფერი არ გადმოგიტანიათ?***

— არა. უბრალოდ, შემიძლია მისი საუბრების ციტირება გავაკეთო რეპოტაჟებისას, რადგან მისი რამდენიმე ფრაზა მახსოვს. მაგალითად, „სანამ ბურთი ჰაერშია, მოგახსენებთ გუნდების შემადგენლობას“. თუმცა, ვერ დავიჩემებ, ეს ფრაზა პირადად მისი რეპორტაჟისას მოვისმინე თუ ვინმემ მითხრა, რომ კოტეს ფრაზაა.

***— პროფესიონალური თემა გავაგრძელოთ. მაყურებელთა უმრავლესობის აზრით, თქვენ ყველაზე ინტელიგენტი კომენტატორი ხართ.***

— ეს სასიამოვნოა, მაგრამ ყველა ჩემი კოლეგა, ყოველ შემთხვევაში, ვისაც ვიცნობ, ღრმა ინტელიგენტია. სიმართლე გითხრათ, თავიდან ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ეს პროფესია ჩემი მოწოდება გახდებოდა და ამდენ ხანს გავყვებოდი. თავიდან უბრალოდ ვცილობდი ეთერში მესაუბრა ის, რაც ვიცოდი და სხვა ადამიანებისთვისაც მიმეწოდებია. როგორც ვიცი, სწორედ ამის გამო დამიძახეს ამ სამუშაოზე. არც ის მაწუხებდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იდეალური კომენტატორი. მოგვიანებით, ამ საკითხმა უკვე შემაწუხა. სწორედ მაშინ მომეწონა იური როზანოვის ფორმულირება, რომელმაც მითხრა, რომ იდეალური იდეალურში არ არსებობს. ერთს ერთი მოსწონს, მეორეს — მეორე. მაგალითად, ერთს უნდა, რომ დაასახელო ფეხბურთელი, რომელიც ბურთით ან შაიბით არის, ამ დროს მეორე გეუბნება, რომ მოთამაშეს თავადაც ხედავს, შენ მითხარი, რას ფიქრობ მატჩზე. ყველა გულშემატკივარი განსხვავებულია და ყველას ერთდროულად ვერ დააკმაყოფილებ. ამიტომ მოხარული ვარ, თუკი მყავს ისეთი აუდიტორია, რომელიც მისმენს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ფერნანდო ტორესი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.02 | სტოკი-სანდერლენდი | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 05.02 | ასტონ ვილა-ფულემი | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 05.02 | ევერტონი-ბლექპული | 1.5 | 4.0 | 6.5 |
| 05.02 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1.44 | 4.0 | 8.0 |
| 05.02 | ნიუკასლი-არსენალი | 5.5 | 3.5 | 1.67 |
| 05.02 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 05.02 | უიგანი-ბლექბერნი | 2.62 | 3.0 | 2.9 |
| 05.02 | ვულვზი-მანჩესტერი | 8.0 | 4.0 | 1.44 |
| 06.02 | ვესტ ჰემი-ბირმინგემი | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 06.02 | ჩელსი-ლივერპული | 1.61 | 3.6 | 6.0 |

**სტოკი — სანდერლენდი**

სტოკი: ***ტრავმ***-დენი ჰიგინბოტემი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დენი ველბეკი, დევიდ მეილერი, ლი კატერმოლი, მაიკლ ტერნერი, ფრეიზერ კემბელი

**ასტონ ვილა — ფულემი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ფაბიან დელფი, ანდრეას ვაიმანი; დისკვ-ნატან ბაკერი

ფულემი: ***ტრავმ***-აარონ ჰაგისი, დიკსონ ეტუხუ, ბობი ზამორა, ფილიპ სენდეროსი

**ევერტონი — ბლექპული**

ევერტონი: ***ტრავმ***-ტონი ჰიბერტი, როს ბარკლი

ბლექპული: ***ტრავმ***-მეტიუ გილკსი, სტივენ გრანეი, კრის ბაშამი, ბილი კლარკი

**სიტი — ვესტ ბრომვიჩი**

სიტი: ***ტრავმ***-მიკა რიჩარდსიადამ ჯონსონი, მარიო ბალოტელი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ისმაელ მილერი, პაბლო იბანიესი

**ნიუკასლი — არსენალი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-შოლა ამეობი, სტივენ აირლანდი, სტივენ ტეილორი, ალან სმიტი, დან გუსლინგი, ჰატემ ბენ არფა

არსენალი: ***ტრავმ***-ტეო უოლკოტი, დენილსონი, სამირ ნასრი, ლუკაშ ფაბიანსკი, ტომას ვერმალენი, ემანუელ ფრიმპონგი

**ტოტენჰემი — ბოლტონი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-სტივენ პიენაარი, ლუკა მოდრიჩი, იუნის კაბული, გარეთ ბეილი, ლიდლი კინგი

ბოლტონი: ***ტრავმ***-ლოიდ სამუელი

**უიგანი — ბლექბერნი**

უიგანი: ***ტრავმ***-ტომ კლევერლი

ბლექბერნი: ***ტრავმ***-როკე სანტა კრუზი, ფილ ჯოუნსი

**ვულვზი — მანჩესტერი**

ვულვზი: ***ტრავმ***-სტივენ ჰანტი, სილვან ებანკს-ბლეიკი, მაიკლ კიტლი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ანტონიო ვალენსია

**ვესტ ჰემი — ბირმინგემი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მანუელ და კოსტა, პეტერ კურუჩი

ბირმინეგმი: ***ტრავმ***-ენრიკ ველში, სკოტ დანი, ჯეიმს მაკფადენი

**ჩელსი — ლივერპული**

ჩელსი: ***ტრავმ***-იური ჟირკოვი, იოსი ბენაიუნი

ლივერპული: ***ტრავმ***-ენდრიუ კეროლი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 24 | 15 | 9 | 0 | 54:22 | 54 |
| 2.არსენალი | 24 | 15 | 4 | 5 | 50:23 | 49 |
| 3.სიტი | 25 | 13 | 7 | 5 | 39:22 | 46 |
| 4.ჩელსი | 24 | 13 | 5 | 6 | 46:21 | 44 |
| 5.ტოტენჰემი | 24 | 11 | 8 | 5 | 33:26 | 41 |
| 6.სანდერლენდი | 25 | 9 | 10 | 6 | 30:28 | 37 |
| 7.ლივერპული | 25 | 10 | 5 | 10 | 33:31 | 35 |
| 8.ბოლტონი | 25 | 8 | 9 | 8 | 35:35 | 33 |
| 9.ბლექბერნი | 25 | 9 | 4 | 12 | 31:38 | 31 |
| 10.ნიუკასლი | 24 | 8 | 6 | 10 | 36:34 | 30 |
| 11.სტოკი | 24 | 9 | 3 | 12 | 28:30 | 30 |
| 12.ფულემი | 25 | 6 | 11 | 8 | 26:26 | 29 |
| 13.ბლექპული | 24 | 8 | 4 | 12 | 35:44 | 28 |
| 14.ას. ვილა | 25 | 7 | 7 | 11 | 28:43 | 28 |
| 15.ევერტონი | 24 | 5 | 12 | 7 | 28:31 | 27 |
| 16.ვესტ ბრომ. | 24 | 7 | 5 | 12 | 31:45 | 26 |
| 17.ბირმინგემი | 23 | 4 | 12 | 7 | 23:33 | 24 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 5 | 9 | 11 | 27:44 | 24 |
| 19.უიგანი | 24 | 4 | 11 | 9 | 22:38 | 23 |
| 20.ვულვზი | 24 | 6 | 3 | 15 | 24:42 | 21 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.02 | უდინეზე-სამპდორია | 1.61 | 3.8 | 5.5 |
| 05.02 | კალიარი-იუვენტუსი | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| 06.02 | ბოლონია-კატანია | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 06.02 | ბრეშა-ბარი | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 06.02 | ჯენოა-მილანი | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 06.02 | ლაციო-კიევო | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 06.02 | ლეჩე-პალერმო | 3.1 | 3.4 | 2.25 |
| 06.02 | ნაპოლი-ჩეზენა | 1.28 | 5.0 | 11.0 |
| 06.02 | პარმა-ფიორენტინა | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 06.02 | ინტერი-რომა | 1.91 | 3.3 | 4.2 |

**უდინეზე — სამპდორია**

უდინეზე: ***ტრავმ***-სამირ ჰანდანოვიჩი, გაბრიელ ანგელა, დუშან ბასტა, დამიანო ფერონეტი; ***დისკვ***-ალექსის სანჩისი

სამპდორია: ***ტრავმ***-ნიკოლა პოცი, სტეფანო ლუჩინი, დანიელე კასტადელო, ფრანკო სემიოლი



**კალიარი — იუვენტუსი**

კალიარი: ***ტრავმ***-ალესანდრო აგოსტინი (?), სიმონ ლამერი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ვინჩენცო იაკვინტა, მარკო მოტა, სიმონე პეპე, არმანდ ტრაორე, ფაბიო კვალიარელა, პაოლო დი ჩელიე, ლეანდრო რინაუდო

**ბოლონია — კატანია**

ბოლონია: ***ტრავმ***-გასტონ რამირესი; დისკვ-ჰენრი ხიმენესი

კატანია: ***ტრავმ***-ფაბიო სკიაცა, ჩირო კაპუანო, ეზეკიელ გარბონი, პაბლო ალვარესი, მარიანო იზკო, ალესანდრო პოტენცა

**ბრეშა — ბარი**

ბრეშა: ***ტრავმ***-ნიკოლას კორდოვა, სიმონე დალამანო; ***დისკვ***-პანაგიოტის კონე

ბარი: ***ტრავმ***-ნიკოლა ბელმონტე (?), პაულო ბარეტო, სალვატორე მასიელო, აბდელკადერ გეზალი (?)

**ჯენოა — მილანი**

ჯენოა: ***ტრავმ***-მაურო ბოსელი, ლუკა ანტონელი; ***დისკვ***-დარიო დანიელი

მილანი: ***ტრავმ***-მასიმო ამბროზინი, იგნასიო აბატე, ჯენარო გატუზო, ალესანდრო ნესტა, კლარენს ზეედორფი, ანდრეა პირლო, მარკო ამელია, კევინ პრინ-ბოატენგი, ჯანლუკა ძამბროტა, ფილიპო ინძაგი; ***დისკვ***-მარკ ვან ბომელი

**ლაციო — კიევო**

ლაციო: ***ტრავმ***-სერჯი ფლოკარი, მოდიბო დიაკიტე, ხავიერ გარიდო, ტომაზო როკი; ***დისკვ***-მაურო ზარატე

კიევო: ***ტრავმ***-მიკელე მარკოლინი, ლუჩიანო

**ნაპოლი — ჩეზენა**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ჰასან იებდა, ლუიჯი ვიტალე, ჯანლუკა გრავა; ***დისკვ***-ეზეკიელ ლავეცი, ჯუზეპე მასკარა

ჩეზენა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-მაურისიო ლაურო, ჯუზეპე კოლუჩი

**პარმა — ფიორენტინა**

პარმა: ***ტრავმ***-ფერნანდო მარკესი, მარკო პისანო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ადრიან მუტუ, სებასტიენ ფრეი, სტევან იოვეტიჩი

**ინტერი — რომა**

ინტერი: ***ტრავმ***-ესტებან კამბიასო, ლუსიო, ლუკა კასტელაცი (?), მაკდონალდ მარიგა, დეიან სტანკოვიჩი, ივან კორდობა (?), ვალტერ სამუელი

რომა: ***ტრავმ***-მატეო ბრიგი, ჯერემი მენეზი (?), ადრიანო, დავიდ პიზარო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 39:18 | 48 |
| 2.ნაპოლი | 23 | 13 | 4 | 6 | 36:22 | 43 |
| 3.ინტერი | 22 | 12 | 5 | 5 | 39:24 | 41 |
| 4.ლაციო | 23 | 12 | 5 | 6 | 29:21 | 41 |
| 5.რომა | 22 | 11 | 6 | 5 | 32:25 | 39 |
| 6.პალერმო | 23 | 12 | 4 | 7 | 38:29 | 37 |
| 7.უდინეზე | 23 | 11 | 4 | 8 | 37:30 | 37 |
| 8.იუვენტუსი | 23 | 9 | 8 | 6 | 37:29 | 35 |
| 9.კალიარი | 23 | 9 | 5 | 9 | 27:23 | 32 |
| 10.კიევო | 23 | 7 | 9 | 7 | 25:22 | 30 |
| 11.ფიორენტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 22:23 | 28 |
| 12.სამპდორია | 23 | 6 | 9 | 7 | 20:23 | 27 |
| 13.ჯენოა | 22 | 7 | 6 | 9 | 18:21 | 27 |
| 14.ბოლონია | 22 | 7 | 8 | 7 | 24:30 | 26 |
| 15.პარმა | 23 | 6 | 7 | 10 | 22:29 | 25 |
| 16.ლეჩე | 23 | 6 | 6 | 11 | 22:39 | 24 |
| 17.კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 19:30 | 23 |
| 18.ჩეზენა | 23 | 5 | 6 | 12 | 17:29 | 21 |
| 19.ბრეშა | 23 | 5 | 4 | 14 | 18:31 | 19 |
| 20.ბარი | 23 | 3 | 5 | 15 | 14:37 | 14 |

***ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა***

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.02 | ალმერია-ესპანიოლი | 2.6 | 3.25 | 2.7 |
| 05.02 | ბილბაო-ხიხონი | 1.67 | 3.75 | 5.0 |
| 05.02 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 05.02 | ოსასუნა-მალიორკა | 2.1 | 3.25 | 3.5 |
| 05.02 | სარაგოსა-რასინგი | 2.05 | 3.3 | 3.6 |
| 05.02 | ვილიარეალი-ლევანტე | 1.28 | 5.25 | 10.0 |
| 05.02 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1.17 | 7.0 | 15.0 |
| 06.02 | სევილია-მალაგა | 1.53 | 3.8 | 6.5 |
| 06.02 | რეალი-სოსიედადი | 1.17 | 7.0 | 15.0 |
| 06.02 | ვალენსია-ერკულესი | 1.44 | 4.2 | 7.5 |

**ალმერია — ესპანიოლი**

ალმერია: ***ტრავმ***-ხუანიტო, მანუელ ორტიზი, სანტიაგო აკასიეტე, მიგელ ნიეტო; ***დისკვ***-კარლოს ბადიასი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-რაულ ბაენა, დანიელ ოსვალდო, კორო, ივან დე ლა პენია; ***დისკვ***-ალდო დუშერი

**ბილბაო — ხიხონი**

ბილბაო: ***ტრავმ***-ფერნანდო ამორებიეტა, იბაი გომესი, იონას რამალიო; ***დისკვ***-ხავი მარტინესი

ხიხონი: ***ტრავმ***-გარსია ტორე, ალბერტო ბოტია (?), ალვარეს მარკოსი

**ხეტაფე — დეპორტივო**

ხეტაფე: ***ტრავმ***-დანიელ პარეხო, ხავიერ არიზმენდი, მარიო; ***დისკვ***-მანუ დელ მორალი

დეპორტივო: ***ტრავმ***-ალბერტო ლოპო, საული, რიკი, ანდრეს გუარდადო

**ოსასუნა — მალიორკა**

ოსასუნა: ***ტრავმ***-რობერტო, ალვარო გეხიდო, ჯავად ნეკოუნამი, ნაჩო მონრეალი, რუპერი; ***დისკვ***-დამია

მალიორკა: ***ტრავმ***-ვიქტორ კასადესუსი, ტომას პინა, ტუნი; ***დისკვ***-ნუნიესი, პიერ ვებო, ჟოაო ვიქტორი

**სარაგოსა — რასინგი**

სარაგოსა: ***ტრავმ***-ივან ობრადოვიჩი, ედმილსონი, უჩე იკეჩუკვუ, ვიქტორ ლაგუარდია

რასინგი: ***ტრავმ***-პაბლო პინილიოსი (?), ოსკარ სერანო, პაპა დიოპი, ალექსანდროს ციოლისი; ***დისკვ***-მედჰი ალკენი, მარკუს როზენბერგი

**ვილიარეალი — ლევანტე**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ხუან კარლოსი, ანგელ ლოპესი, ნილმარი (?), მარკუს სენა, ხუან ტრუოლსი

ლევანტე: ***ტრავმ***-სერხიო, მიგელ პერესი, იგნასიო გონსალესი; დისკვ-ფელიპე კაიკედო

**ბარსელონა — ატლეტიკო**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ბოიან კრკიჩი, კარლეს პუიოლი, ჟეფრენი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-პულიდო, მარიო სუარესი; დისკვ-ლუის პერეა

**სევილია — მალაგა**

სევილია: ***ტრავმ***-ხესუს ნავასი, რომარიკი, ტიბერიო გუარენტე, არუნა კონე, ივიცა დრაგუტინოვიჩი; ***დისკვ***-მუჰამადუ დაბო

მალაგა: ***ტრავმ***-ივან ლოპესი, ედუ რამოსი, რუბენი, ედინიო, ალბერტ ლუკე

**რეალი — სოსიედადი**

რეალი: ***ტრავმ***-მარსელო, პეპე, ირჟი დუდეკი, გონსალო იგუაინი; ***დისკვ***-სერხიო რამოსი

სოსიედადი: ***ტრავმ***-ხოსება ლიორენტე, კარლოს მარტინესი, დიეგო იფრანი

**ვალენსია — ერკულესი**

ვალენსია: ***ტრავმ***-ხუან მატა, ვისენტე, სესარი, დავიდ ალბელდა, მიგელ მოია; ***დისკვ***-დავიდ ნავარო, რიკარდო კოსტა

ერკულესი: ***ტრავმ***-აბრაჰამ კრუზი, ნოე პამაროტი, როისტონ დრენტე, ოლივერ ტომერი; ***დისკვ***-ფრანსისკო ფარინოსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 18 | 1 | 1 | 63-11 | 55 |
| 2.რეალი | 20 | 15 | 3 | 2 | 44-16 | 48 |
| 3.ვილიარ. | 20 | 14 | 3 | 3 | 39-17 | 45 |
| 4.ვალენსია | 20 | 11 | 5 | 4 | 33-24 | 38 |
| 5.ბილბაო | 20 | 11 | 1 | 8 | 33-30 | 34 |
| 6.ესპანიოლი | 20 | 11 | 1 | 8 | 24-27 | 34 |
| 7.ატლეტიკო | 20 | 9 | 3 | 8 | 30-21 | 30 |
| 8.სოსიედ. | 20 | 9 | 1 | 10 | 30-30 | 28 |
| 9.სევილია | 20 | 8 | 3 | 9 | 30-33 | 27 |
| 10.ხეტაფე | 20 | 8 | 2 | 10 | 29-34 | 26 |
| 11.მალიორკა | 20 | 8 | 3 | 9 | 19-28 | 24 |
| 12.დეპორტ. | 20 | 5 | 7 | 8 | 18-26 | 22 |
| 13.სარაგოსა | 20 | 5 | 7 | 8 | 20-29 | 22 |
| 14.ხიხონი | 20 | 5 | 6 | 9 | 20-26 | 21 |
| 15.ოსასუნა | 20 | 5 | 5 | 10 | 20-28 | 20 |
| 16.რასინგი | 20 | 5 | 5 | 10 | 15-29 | 20 |
| 17.ერკულესი | 20 | 5 | 4 | 11 | 18-33 | 19 |
| 18.ლევანტე | 20 | 5 | 3 | 12 | 22-33 | 18 |
| 19.ალმერია | 20 | 3 | 8 | 9 | 19-32 | 17 |
| 20.მალაგა | 20 | 5 | 1 | 14 | 27-46 | 16 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.02 | კიონი — ბაიერნი | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 05.02 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2.37 | 3.5 | 2.8 |
| 05.02 | ჰოფენჰაიმი-კაიზერი | 1.8 | 3.5 | 2.8 |
| 05.02 | მაინცი-ვერდერი | 2.25 | 3.5 | 3.0 |
| 05.02 | ნიურნბერგი-ლევერ. | 3.5 | 3.4 | 2.05 |
| 05.02 | გლადბახი-შტუტგარტი | 2.9 | 3.5 | 2.3 |
| 06.02 | ჰამბურგი-ზ.პაული | 1.53 | 4.0 | 6.0 |
| 06.02 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 2.2 | 3.5 | 3.1 |

**კიონი — ბაიერნი**

კიოლნი: ***ტრავმ***-კრისტოფერ შორჩი, კევინ მაკკენა, სებასტიენ ფრეისი, კონსტანტინოს ჯიანულისი, ალექსანდერ ვაასენი, ადილ ჩიჩი

ბაიერნი: ***ტრავმ***-დიეგო კონტენტო, ტონი კროოსი, ივიცა ოლიჩი

**ჰანოვერი — ვოლფსბურგი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ტიმ ჰოფმანი, ვალდეტ რამა, ვილი ევსეევი, კარლიტოს, ლეონ ანდრეასენი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-სერგეი კარიმოვი, ანდრე ლენცი, ჯულიან კლამტი, კევინ ვოლცე

**ჰოფენჰაიმი — კაიზერი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-კევინ კონრადი, იენს გრალი, ანდრეას ლუდვიგი, ჩინედუ ობასი

კაიზერი: ***ტრავმ***-მარტინ ამედიკი, ალან სტულინი, მარსელ კორეია, სტივენ ზელნერი, იან შიმუნეკი

**ნიურნბერგი — ლევერკუზენი**

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-პასკალ ბილერი, მიკ ფრანტცი, კრისტოფ სუტერი, პერ ნილსონი, ალბერტ ბუნიაკუ; დისკვ-ანდრეას ვოლფი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ტრანკილიო ბარნეტა, ბენედიქტ ფერნანდესი

**გლადბახი — შტუტგარტი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ფაბიან ბაკერი, კრისტიან დორდა, ბერნარდ იანეჩეკი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-შინჯეი ოკაზაკი, მატეი დელპიერი, მამადუ ბა, იოან აუდელი

**ჰამბურგი — ზ.პაული**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-მუჰამედ ბესიჩი, კრისტიან გროსი, რომეო კასტელენი, კოლინ ბენჯამინი; ***დისკვ***-გოიკო კაჩარი

ზ.პაული: ***ტრავმ***-ფლორიან ლენერი, მარიუს ებერსი, ჟან-ფილიპ კალა, ფაბიო მორენა

**ფრაიბურგი — აინტრახტი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ჯულიან შუსტერი, ჯონათან ჯაგერი, ალაინ ოლე ოლე, დანიელ უილიამსი, სიმონ პუპლინი, პაველ კრმასი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ნიკოლა პეტკოვიჩი, რიკარდო კლარკი, ალექსანდარ ვასოსკი, კრისი, ზლატან ბაირამოვიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 20 | 16 | 2 | 2 | 46:12 | 50 |
| 2.ლევერკუზ. | 20 | 11 | 6 | 3 | 41:29 | 39 |
| 3.ბაიერნი | 20 | 10 | 6 | 4 | 40:23 | 36 |
| 4.მაინცი | 20 | 12 | 0 | 8 | 31:21 | 36 |
| 5.ჰანოვერი | 20 | 11 | 1 | 8 | 28:30 | 34 |
| 6.ფრაიბურგი | 20 | 10 | 3 | 7 | 29:28 | 33 |
| 7.ჰამბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 29:30 | 30 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 8 | 5 | 36:26 | 29 |
| 9.აინტრახტი | 20 | 8 | 2 | 10 | 24:26 | 26 |
| 10.ნიურნბერ. | 20 | 7 | 5 | 8 | 25:30 | 26 |
| 11.შალკე | 20 | 7 | 4 | 9 | 26:26 | 25 |
| 12.ვოლფსბ. | 20 | 5 | 8 | 7 | 26:29 | 23 |
| 13.კაიზერი | 20 | 6 | 4 | 10 | 29:34 | 22 |
| 14.ზ.პაული | 20 | 6 | 4 | 10 | 23:34 | 22 |
| 15.ვერდერი | 20 | 6 | 4 | 10 | 26:42 | 22 |
| 16.კიოლნი | 20 | 5 | 4 | 11 | 22:37 | 19 |
| 17.შტუტგარტი | 20 | 4 | 4 | 12 | 34:37 | 16 |
| 18.გლადბახი | 20 | 4 | 4 | 12 | 29:50 | 16 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.02 | ბრესტი-ნანსი | 2.2 | 3.25 | 3.3 |
| 05.02 | კანი-ლორიენი | 2.3 | 3.25 | 3.1 |
| 05.02 | ლანსი-ვალანსიენი | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 05.02 | მარსელი-არლე | 1.18 | 7.0 | 13.0 |
| 05.02 | მონპელიე-სენტ ეტიენი | 2.0 | 3.3 | 3.8 |
| 05.02 | ნიცა-სოშო | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 05.02 | რენი-პსჟ | 2.4 | 3.25 | 2.9 |
| 06.02 | ოსერი-ლილი | 3.6 | 3.2 | 2.1 |
| 06.02 | ტულუზა-მონაკო | 1.91 | 3.25 | 4.33 |
| 06.02 | ლიონი-ბორდო | 1.7 | 3.4 | 5.5 |

**ბრესტი — ნანსი**

ბრესტი: ***ტრავმ***-ტომას კოტი, ოსმან კულიბალი, ნოლან როუ, ივან ბურგისი

ნანსი: ***ტრავმ***-მარამა ვაირუა, პოლ ეფოულოუ, ჯენარო ბრაჩილიანი

**კანი — ლორიენი**

კანი: ***ტრავმ***-ჟერემი სორბონი, ბრანკო ლაზარევიჩი

ლორიენი: ***ტრავმ***-ფაბიენ რობერი, ოლივიე მონტერუბიო, არანუდ ლე ლანი, ჩეიკ დაკური, ანტონი ბარონი

**ლანსი — ვალანსიენი**

ლანსი: ***ტრავმ***-ერიკ ჩელე, დავიდ პოლე

ვალანსიენი: ***ტრავმ***-ფუდ კადირი, ამარა ბანგურა, რაფაელ შმიტცი, ჯონათან ლაკური

**მარსელი — არლე**

მარსელი: ***ტრავმ***-მეტიუ ვალბუენა

არლე: ***ტრავმ***-ლიოკ აბენზარი, ვინსენტ პლანტი, ჰამირ ბუაზაზა, ჯონათანი

**მონპელიე — სტ.ეტიენი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ნენად ძოძიჩი, ჰასან კაბზე, ბენგალი კოიტა

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-აბდულაიე კულიბალი, იოან ენდრიუ

**ნიცა — სოშო**

ნიცა: ***ტრავმ***-ჩეიკ ბენ საადა, დავიდ ჰელებუკი

სოშო: ***ტრავმ***-ჟერემი ბრეჩე, ბუქარი დრამე, ჩარლი დევისი, ყიასინ მიკარი, ტედი რიშე

**რენი — პსჟ**

რენი: ***ტრავმ***-სილვიენ მარვო, ონეიკაჩი აპამი

პსჟ: ***ტრავმ***-ჟერემი კლემე, ორაუ, სეარა

**ოსერი — ლილი**

ოსერი: ***ტრავმ***-ალაინ ტრაორე, სტივენ ლანგილი, რემი რიო, ბენუა პედრეტი, ჟან-პასკალ მინიო, დეკვინ ნდიგა, იაია სანოგო, ალქსანდერ ლიკატა

ლილი: ***ტრავმ***-არავინ

**ტულუზა — მონაკო**

ტულუზა: ***ტრავმ***-მოჰამედ ფოფანა, ხავიერ პენტეკოტე, იოან პელე

მონაკო: ***ტრავმ***-სედრიკ მონგოგუ, ჯიმი ტრაორე

**ლიონი — ბორდო**

ლიონი: ***ტრავმ***-ედერსონი

ბორდო: ***ტრავმ***-მარკ პლანუსი, კარლოს ენრიკე, აბდულაიე კეიტა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 21 | 11 | 8 | 2 | 39-21 | 41 |
| 2.პსჟ | 21 | 10 | 7 | 4 | 34-23 | 37 |
| 3.ლიონი | 21 | 9 | 7 | 5 | 30-23 | 34 |
| 4.რენი | 21 | 9 | 7 | 5 | 23-17 | 34 |
| 5.მარსელი | 21 | 8 | 9 | 4 | 29-18 | 33 |
| 6.მონპელიე | 21 | 9 | 6 | 6 | 19-21 | 33 |
| 7.სტ.ეტიენი | 21 | 8 | 8 | 5 | 29-23 | 32 |
| 8.ბორდო | 21 | 7 | 9 | 5 | 27-23 | 30 |
| 9.ტულუზა | 21 | 9 | 3 | 9 | 23-22 | 30 |
| 10.სოშო | 21 | 8 | 4 | 9 | 35-26 | 28 |
| 11.ბრესტი | 21 | 7 | 7 | 7 | 21-20 | 28 |
| 12.ლორიენი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-27 | 28 |
| 13.ვალანს. | 21 | 6 | 7 | 8 | 24-24 | 25 |
| 14.ნანსი | 21 | 7 | 4 | 9 | 22-32 | 25 |
| 15.ოსერი | 21 | 4 | 12 | 5 | 26-25 | 24 |
| 16.კანი | 21 | 6 | 6 | 9 | 22-29 | 24 |
| 17.ნიცა | 21 | 5 | 8 | 8 | 14-22 | 23 |
| 18.ლანსი | 21 | 5 | 7 | 9 | 23-38 | 22 |
| 19.მონაკო | 21 | 3 | 12 | 6 | 20-21 | 21 |
| 20.არლე | 21 | 1 | 5 | 15 | 11-42 | 8 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ქართველები აფხაზეთში ახლობლების საფლავზე ვერ მიდიან

გულიკო ბალა ე



აგვისტოს ომის შემდეგ განსაკუთრებით გაძნელდა აფხაზეთში მიმოსვლა. ქართველებს აფხაზეთში დარჩათ სახლ-კარი, ძვირადღირებული ეზო-მამულები, ბინები და დიდძალი ქონება, მაგრამ ყველაზე ძალიან გული იმაზე სწყდებათ, რომ მშობლების, ახლობლების, წინაპრების საფლავები 20 წელი უპატრონოდაა მიტოვებული და იქ ვერ მიდიან.

ბოლო ომის შემდეგ ჩანდა, თითქოს შერიგების ყველა იმედი გადაიწურა, მაგრამ გავიდა 2-3 წელი და ქართველების და აფხაზების შერიგების საკითხი ისევ დღის წესრიგში დადგა.

— შერიგება გარდაუვალია. 10-20-30-50-100 წლის შემდეგ აფხაზები და ქართველები აუცილებლად შევრიგებით, მაგრამ 100 წლის შემდეგ შერიგება დანაშაულია, რადგან დროში გაწელილი პროცესი იქნება,— ამბობს აფხაზეთის აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ზურაბ ლომთათიძე.

გასული წლის დეკემბრის მიწურულს მისი ინიციატივით, აჭარის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვანო პაპუნიძისა და აჭარის ხელმძღვანელობის დახმარებით ბათუმში აფხაზებისა და ქართველების ფორუმი მოეწყო.

სწორედ ამ ფორუმზე აფხაზეთიდან დევნილმა ქართველობამ აჭარის აფხაზებს შუამავლობა სთხოვა აფხაზეთის აფხაზებთან შესარიგებლად, რომ ქართველებმა თავიანთი ახლობლების საფლავებთან მისვლა შეძლონ. ბატონი ზურაბ ლომთათიძე 20 წელია მშობლების საფლავზე არ ყოფილა. მართალია, თურმე აფხაზი მეზობელი მისი მშობლების საფლავს უვლის, მაგრამ ბევრი ქართველის საფლავი მოუვლელია.

***— ბატონო ზურაბ, რადენადაც ვიცი, თქვენი იდეა იყო აჭარაში მცხოვრებ აფხაზებთან შეხვედრა და შერიგების პორცესის წამოწყება. როგორ შეხვდნენ ამას აჭარაში მცხოვრები აფხაზები?***

— ძალიან კარგად. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიაში დაიბადა იდეა, რომ სახალხო დიპლომატიაში აქტიურად ჩაგვება აჭარის აფხაზები. აჭარაში აფხაზები კომპაქტურად არიან დასახლებული. შენარჩუნებული აქვთ გვარი, ტრადიციები, ყოფა, კულტურა. მათ აფხაზეთის აფხაზობასთან ძალზე მჭიდრო ნათესაური კავშირი აქვთ. ასევე თავისი რწმენითა და შემართებით ქართული მრწამი აქვთ, უყვართ საქართველო.

***— აფხაზეთის აფხაზებთან ურთიერთობა აქვთ?***

— დიახ, მათთან ურთიერთობა აქვთ და დადიან კიდეც. აჭარის აფხაზებს ნათესაური კავშირი აღდგენილი აქვთ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებთან. ამიტომ საჭირო იყო ამ აფხაზების ჩართვა ქართველსა და აფხაზს შორის შერიგების პროცესში. ჩვენ მათთან კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, მესამე ძალამ ხელოვნურად გაგვთიშა.

***— ახლა აფხაზეთში ნათესავებთან მიმოსვლისას პრობლემები არ ექმნებათ?***

— აგვისტოს ომის შემდეგ ცოტა გართულდა ვითარება და ისინიც ერიდებიან აფხაზეთში სიარულს, მაგრამ მიმოსვლა მაინც არის.

***— რუსები უქმნიან პრობლემებს?***

— დიახ, რუსები... პრობლემებს უქმნიან არა ისე, მაგრამ ჩვეულებრივ მისვლა-მოსვლა გართულებულია. თუმცა ბოლო დრომდე აჭარის და აფხაზეთის აფხაზი ქალ-ვაჟები ქორწინდებოდნენ ხოლმე. ბათუმში ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი აფხაზის ოჯახში. შერვაშიძეები არიან.

***— იქაური შერვაშიძეები აფხაზობენ?***

— დიახ, მაგალითად, გულიკო შერვაშიძე, მანუჩარ შერვაშიძე, მსახიობია... ფორუმზე ისინი დიდი სიამაყით გამოვიდნენ, ჩვენ აფხაზები ვართო...

***— თუმცა, ალბათ, ნამდვილი აფხაზები სწორედ ისინი არიან, რომლებიც ადრიდანვე ცხოვრობდნენ აფხაზეთში, ხოლო ისინი, ვინც მე-17 საუკუნეში ჩამოვიდნენ, აფსუები...***

— იმ ფორუზე განხილვის საგანი არ იყო, ვინ ჩამოვიდა, ვინ დასახლდა ადრე და ვინ წავიდა. მათ თავი იმ მოჰაჯირთა შთამომავლებად მიაჩნიათ, რომლებიც აფხაზეთიდან აყარეს და თურქეთში გადაასახლეს. 2000 ოჯახი ჩასახლდა აჭარაში. ჩვენი იდეა იყო, ამ ადამიანებს შუამავლობა ეკისრათ აფხაზებისა და ქართველების შესარიგებლად. იქ შეიქმნა უხუცესთა საბჭო. უხუცესთა საბჭოს დაავალეს, რომ აფხაზეთის უხუცესთა საბჭოსთან ჩასულიყვნენ და შერიგების თაობაზე გაემართათ მოლაპარაკება. არავითარი პოლიტიკური მოთხოვნები იქ არ იყო.

***— შერიგება შესაძლებლად მიგაჩნიათ?***

— რა თქმა უნდა. შერიგება უნდა მოხდეს იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ქართველი და აფხაზი ნათესაურ დამოკიდებულებაშია. ზოგს იქ საფლავები გვაქვს და ათეული წლებია ვერ მივდივართ...

***— შერიგება რა სახით უნდა მოხდეს?***

— შერიგება ჯერ იმ დონეზე უნდა მოხდეს, რომ ადამიანური ურთიერთობა აღდგეს. ქართველს მიეცეს საშუალება, ჩავიდეს აფხაზეთში, მივიდეს საფლავზე, თავისი მშობლების საფლავი მოინახულოს და ის, რაც წესად გვაქვს ქართველებს, იმ საფლავზე შეასრულოს. ამის წინააღმდეგი მხოლოდ გადამთიელი და ურწმუნო თუ იქნება. საფლავი წმინდაა. ბევრი ქართველი იმას ნანობს, თავისი მშობლების, ახლობლებისა და წინაპრების საფლავზე რომ ვერ მიდის, სახლს და კარს კი არა. აი, მაგალითად, მე. ჩემი მშობლები დასაფლავებული არიან სოხუმში და უკვე 20 წელია მშობლების საფლავზე ვერ მივდივარ. ეს ჩემთვის დიდი ტრავმაა.

***— თქვენ ძირძველი სოხუმელი ხართ, ხომ?***

— დიახ. ამიტომ იქ სახლ-კარს არ ვეძებ, ვეძებ ჩემ ძირს. თუ ქართველმა კაცმა საფლავი დაკარგა, ის საერთოდ დაკარგულია. ჩემი შვილი თავისი ბაბუისა და ბებიის საფლავზე ვერ მიმიყვანია. ასეა ძალიან ბევრი. ამიტომ პირველ ეტაპზე ვთხოვთ აჭარელ აფხაზებს, რომ შუამავლის როლი იკისრონ და შერიგება დაიწყოს. ჩამოვიდნენ ისინი, ჩავალთ ჩვენ და ურთიერთობა გვქონდეს. თუ აფხაზეთში წასვლა შეუძლია სომეხს, აზერბაიჯანელს, რუსს, ქართველმა რა დააშავა, თავისი წინაპრების საფლავებზე რომ ვერ მიდის? ქართველებს უნდათ, მივიდნენ ახლობლების საფლავებზე და მოუარონ. კი, ამბობენ, რომ აფხაზები უვლიან ქართველების საფლავებს...

***— ამის თაობაზე ინფორმაცია გაქვთ?***

— დიახ. ყველას საფლავს კი არ უვლიან, მაგრამ არიან მეზობლები, რომლებიც ქართველების საფლავებს ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, ჩემი მეზობელი დადის საფლავზე მაიაკის (შუქურა) დასახლებაში, სადაც საფლავები აქვთ. იქ ასვენია ჩემი მშობლებიც. როცა ჩემი მეზობელი აფხაზები საფლავზე მივლენ, ერთ სანთელს დაანთებენ.

***— თქვენს მეზობლებთან კავშირი გაქვთ?***

— დიახ. მე მათ ვურეკავ, კავშირი მაქვს. ერთ-ერთი აფხაზი ჩემთან სტუმრად იყო ჩამოსული. შვილიშვილი ჰყავს ქართველი. ის ქალბატონი დედაჩემის მეგობარია. შვილიშვილი ლტოლვილია. მას რძალი ჰყავს ქართველი. ის აფხაზი ქალბატონი ადრე ჩამოდიოდა, 3-4 წელია ველარ ჩამოდის. აფხაზებსა და ქართველებს შორის ასეთი ურთიერთობა არის. ეს უნდა გავაღვივოთ. ჩვენი ასაკის ხალხს ერთმანეთის სითბო გვახსოვს — მე აფხაზთან ურთიერთობა, იმ აფხაზს კი ქართველთან ურთიერთობა გვახსოვს. ახლა იზრდება ახალი თაობა, რომელმაც საერთოდ არაფერი იცის, ქართველი რა მრწამსისაა და ვინ არის. არც ქართველმა ბავშვმა იცის, ვინ არის აფხაზი. ეს არის დიდი უბედურება. ამ ქვეყნიდან ჩვენ რომ წავალთ, ის თბილი ნათესაური ურთიერთობა ჩვენთან ერთად წავა და ყველაფერი თავიდან იქნება გასაკეთებელი. ეს ძალიან დიდ დროს მოითხოვს. პროცესი ძალიან დიდხანს გაგრძელდება.

***— გაუცხოვება მოხდება...***

— დიახ, გაუცხოვება მოხდება. ის უნდა გავაღვივოთ, რაც შეგვრჩა აფხაზებსა და ქართველებს. ჩემს მეზობელ აფხაზს (ჩემი ნათლულია) რომ დავურეკავ ხოლმე, სიხარულით მპასუხობს. აქ ლტოლვილი და გარდამეცვალა. სოხუმში რომ გაიგეს, შეიცხადეს. ჩემი დის გარდაცვალების გამო, იქ, აფხაზის სახლში, შეცხადება ისმოდა. ტელეფონით ვესაუბრებოდი და მკითხეს, როგორ არისო. რომ ვუთხარი, გარდაიცვალა-მეთქი, იკივლა, მაგრამ მისი შვილიშვილი საერთოდ არ იცნობს ქართველს. სკოლაში ერთად არ უვლიათ...

***— ალბათ, იქაური შვილიშვილი...***

— დიახ. მისი შვილი ჩემ ხელში გაიზარდა. ზოგჯერ, სკოლაში კრება რომ იყო, მშობლის მაგივრად მე დავდიოდი ხოლმე, მაგრამ მის შვილიშვილს ქართველთან სიახლოვე არ ჰქონია.

***— თქვენ თაობას შერიგება უნდა, მაგრამ შვილები და შვილიშვილები უკვე გაუცხოვებულები არიან?***

— ერთმანეთს არ იცნობენ.

***— ბათუმში აფხაზეთიდან თუ იყვნენ აფხაზები ჩამოსული?***

— ოთხი თუ ხუთი აფხაზი იყო ჩამოსული.

***— ისინი ხომ არა, რამდენიმე თვის წინ რომ გადმოვიდნენ?***

— დიახ. ჩამოსულები იყვნენ თამაზ ჩაკაბერია, იური ანუა და სხვები. იური ანუას ქალიშვილმა სულის შემაძრწუნებელი სიტყვა წარმოთქვა (ის ქართველებს გვერდში ედგა). დარბაზში ტიროდნენ...

***— აჭარის აფხაზობა როგორ შეხვდა აფხაზებთან შერიგებისთვის შუამავლობის შეთავაზებას?***

— აჭარის აფხაზებმა ჩვენი თხოვნა გულთან ძალიან ახლოს მიიტანეს და თავის თავზე აიღეს ქართველებისა და აფხაზების შერიგება.

***— ხომ არ უცდიათ აფხაზეთში ჩასვლა და აფხაზებთან ამ საკითხზე საუბარი?***

— არა. აჭარის უხუცესთა საბჭო მოამზადებს დოკუმენტებს. მას თანხები ესაჭიროება. გარკვეული დიპლომატიური სირთულეებიც არის. ჯერ მათ დაუკავშირდებიან, შემდეგ შეიძლება შეიკრიბონ ბათუმში, სოხუმში ან თურქეთში.

***— ბათუმსა და სოხუმში სჯობს შეკრება.***

— პირველი შეკრება იქნება იმაზე, სანამდე შეიძლება გაგრძელდეს არსებული ვითარება. სურთ თუ არა შერიგება. შერიგება გარდაუვალია. ეს იცის ქართველმაც, აფხაზმაც და შუამავალმაც.

***— რატომ გგონიათ, რომ აფხაზებისა და ქართველების შერიგება გარდაუვალია?***

— შეუძლებელია ქართველები და აფხაზები არ შევრიგდეთ. ჩვენ ვართ გენეტიკურად ახლო ნათესავები. შერეული ნათესაობის თვალსაზრისით, მსოფლიოში არ მოიძებნება ერი, რომლებიც ასე ახლოსაა ერთმანეთთან.

***— რამდენადაც ვიცი, შერეული ოჯახების რაოდენობა დაახლოებით 45%-ია.***

— დიახ. სხვა თუ არაფერი, მეზობლები ვართ. დავუშვათ, აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ვერავინ აიღებს საქართველოს, ვერ წაიღებს და ვერავინ აიღებს აფხაზეთს და ვერ წაიღებს. 10-20-30-50-100 წლის შემდეგ აუცილებლად შევრიგდებით, მაგრამ 100 წლის შემდეგ შერიგება დანაშაულია, რადგან დროში გაწელილი პროცესი იქნება. გერმანიამ რამდენი უბედურება დაატეხა რუსეთს, საბჭოთა კავშირს, თითოეულ ჩვენთაგანს, ქართველებს, მაგრამ დღეს გერმანია და რუსეთი ძალიან კარგად თანამშრომლობენ, ყველა სფეროში. 60-იან წლებშიც კი რუსი და ქართველი ჩადიოდა გერმანიაში დაღუპული მეომრების საფლავების სანახავად. მათ შორის შერიგება 20-30 წელში მოხდა. ახლა გერმანიას რუსეთთან უფრო კარგი ურთიერთობა აქვს, ვიდრე დანარჩენ ევროპულ ქვეყნებთან არა მარტო ინტელექტის დონეზე, არამედ ეკონომიკურადაც. ეკონომიკურადაც და გეოგრაფიულადაც შეუძლებელია აფხაზი და ქართველი არ შეერწყან, რადგან ერთ ზოლში არიან, ერთნაირი ჩვევები, ტრადიციები აქვთ.

***— დღევანდელი აფხაზების დიდი ნაწილი გარუსებულია. წლების განმავლობაში მათი რუსულ რელსებზე გადასვლა წეს-ჩვეულებების და ტრადიციების შეცვლას ხომ არ გამოიწვევს?***

— ეს ადარდებს აჭარის აფხაზებსაც. იმის გარდა, რომ გვინდოდა აჭარის აფხაზებისთვის შუამავლობა გვეთხოვა, ასევე გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ქართველი თავისი შემართებით, რწმენით არ არის მჩაგვრელი. მის გვერდით ცხოვრობს აფხაზი, რომელმაც შეინარჩუნა კულტურა, ენა, მრწამსი და ლაღად ცხოვრობს. ჩვენ დავათვალიერეთ აჭარაში აფხაზების საცხოვრისები. ოჯახებში რომ მიხვიდეთ, ნახავთ, რომ ეს ხალხი ძალიან გამართულად, ძალიან კარგად ცხოვრობს. თავისი ენაც არ დაუკარგავთ, აფხაზურად მეტყველებენ. ისე არიან მოწყობილი, როგორც აფხაზეთში — მშვენიერი ეზო კარმიდამო, სამზადისი.

***— მათი კარმიდამო ქართველებისას არ ჰგავს?***

— რასაკვირველია, ჰგავს. მთელი დასავლეთ საქართველო ერთნაირია, ოღონდ რაღაც თავისი ელემენტი აქვთ. დასავლეთ საქართველოს საერთო სურათი ერთია — მსგავსი სახლები მისასვლელებით, ეზოთი და მინდვრით. ყველგან სამზადისები აქვთ, სადაც პატარა კერიაა და შებოლავენ სულგუნს, თხის ხორცს, ჩამოკიდებულია ხახვი, ნიორი. ეს მათ შენარჩუნებული აქვთ. აჭარის აფხაზობას სწამს, რომ აფხაზი ეთნოსი გადარჩება და თავის თვითმყოფადობას შეინარჩუნებს ქართველებთან და საერთოდ, კავკასიელებთან ერთად. კავკასიაა ჩვენი ბუნებრივი გარემო სულიერად. მიუხედავად იმისა, მრწამსით ზოგი მუსლიმანია, ზოგი — ქრისტიანი და სხვადასხვა, შინაგანად მაინც კავკასია ერთიანია — ჩვენი გავლენაც არის, მათი გავლენაც არის — სადაც თვითმყოფადობა ცალკეულ რეგიონში აყვანილია ხელოვნების მწვერვალზე. თითოეული ეთნოსის კულტურა თითქოსდა საერთოა, მაგრამ არის თავისებული და ლამაზი. ამიტომ არის კავკასია უნიკალური რეგიონი მსოფლიოში. აჭარის აფხაზობას მიაჩნია, რომ აფხაზური ეთნოსი, მისი ენა, კულტურა, ტრადიციები შენარჩუნდება ქართველებთან ერთიანობაში, ისევე, როგორც შენარჩუნდა აჭარაში მცხოვრებ აფხაზებში. საქართველოში ზრუნავენ აფხაზურ კულტურაზე. ამიტომ იყო, რომ ბათუმის ფორუმის დასკვნით ნაწილში ქართველ და აფხაზ ხელოვანთა კონცერტი ჩატარდა. სოხუმის უნივერსიტეტში შექმნილია აფხაზური ენისა და ლიტერატურის უნიკალური ინსტიტუტი, სადაც ქართულ-აფხაზური ლექსიკონი გამოიცა. აფხაზი მწერლების ნაწარმოებებს ქართულად თარგმნიან, ქართულიდან აფხაზურად.

## მილოცვა
## ექიმ ჯუმბერ ჩანტლაძეს

ექიმო ჯუმბერ, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, დაესწარით მრავალს თქვენს ოჯახთან ერთად. დიდხანს იყავით ჩვენი შვილების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. თქვენი წყალობით გაგვითენდა ბედნიერი ახალი წელი!

თქვენ გადაგვირჩინეთ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, შვილი. ექიმების შეცდომის გამო, ვერ იქნა დროზე სწორი დიაგნოზი დასმული, რის შემდეგაც თქვენ სასწრაფოდ გაუკეთეთ ოპერაცია. აღმოჩნდა, პერფორირებული ბრმა ნაწლავი. დღეს, ჩემი შვილი ჯანმრთელია.

დიდ მადლობას ვუხდი ბავშვთა მეორე საავადმყოფოს დირექციას.

*პატივისცემით, მანანა ცაბაძე*



## ორშაბათი 7 თებერვალი

06.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 აქცენტები 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "უჩინარი კვალი" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 აუდიტორია 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.30 მხ. ფილმი **"როლერბოლი"** (12) 02.10 მოამბე 02.30 ცხოვრება მშვენიერია

~~08.00 დოკ. ფილმი 09.00~~ მხ. ფილმი **"გაათავისუფლე ვილი"** 11.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 რეგიონის დროით 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"დაუვიწყარი მოგზაურობა"** 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი **"განგსტერი ნომერი ერთი"** (18)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. **"ჰანიბალი"** 15.30 "გუნცაძეები" 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 22.00 კონცერტი 00.00 საფეხბურთო ღამე 01.00 მხ. ფილმი **"ბორნის იდენტიფიკაცია"** (18) (მ. დეიმონი) 03.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "სქელი ძაღლი მენდოზა" 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.40 პულსი 15.20 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 00.00 მხ. ფილმი **"მისტერ და მისის სმიტები"** (12) (ბ. პიტი) (სუბტ.) 02.20 მხ. ფილმი **"პელიკანების საქმე"** (12) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) 04.35 მხ. ფილმი **"უცხოები"** (18) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"სინდისის საკითხი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50 ქართ. ფ. **"ბაში აჩუკი"** 14.50 ფერისცვალება 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა ო"** 19.30 სერ. **"ძმები კარამაზოვები"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფ. **"ქალაქი ანარა"** 13.30 კონცერტი 15.05 სპექტაკლი **"ასერგასის დღე"** 16.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.05 მთავარსარდალი – დავით აღმაშენებელი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** 1-ლი ნ. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძველი აფიშა 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაბრიელ ეპისკოპოსი 23.30 "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-3ს. 00.30 სუფთა დაფა

## სამშაბათი 8 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 თოქ-შოუ "არენა" 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 **კალათბურთი**. საქართველოს თასის ფინალი 19.05 დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00, 01.10 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 მხ. ფილმი **"ჯაშუში"** (ე. მერფი) (სუბტ.) 00.50 მოამბე 02.10 აუდიტორია

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"სუპერმენი"** 01.00 მხ. ფ. **"კარანდირუ"** (18)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 ვანოს შოუ 15.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვის უნდა 20 ათასი 23.00 მხ. ფილმი **"თაღლითები"** (18) (ა. ჰიუსტონი) 01.00 პატრული 01.20 მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი სისხლი"**

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "სქელი ძაღლი მენდოზა" 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 იმედის ფსონი (პირდ.) 15.30 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 მხ. ფ. **"საქმიანი ქალი"** (12) (მ. გრიფიტი) (სუბტ.) 01.45 მხ. ფილმი **"ჩვეულებრივად ქცეული ქორწინება"** (კ. ბესინჯერი) (სუბტ.) 03.40 მხ. ფილმი **"მტრის საწოლში"** (12) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"სინდისის საკითხი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ. **"ძმები კარამაზოვები"** 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა ო"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 11.25 "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-3ს. 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.05 მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** 1-ლი ნ. 13.10 კონცერტი – ქართული სული 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 15.05 მხ. ფილმი **"განგაში"** 16.30 დოკ. ფილმი "ხიდი" 17.05 მთავარსარდალი – დავით აღმაშენებელი 18.00 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.15 დავით აღმაშენებელი 19.30 მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** მე-2 ნ. 20.40 ძილი ნებისა 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.25 შარავანდედი

## ოთხშაბათი 9 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 16.55 **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩი. სომხეთი- საქართველო 19.05 დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00, 01.30 ისტორია 23.00 მხ. ფილმი **"ვერტიკალური ზღვარი"** (სუბტ.) 01.10 მოამბე

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"პატარა შავი წიგნი"** 01.00 მხ. ფილმი **"ნუშლოვანი ეჟვი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 კომედი შოუ 15.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 22.00 მხ. ფილმი **"სამხრეთ ბრონქსის რაინდები"** (18) (ტ. დანსონი) 01.00 პატრული 01.20 მხ. ფილმი **"ქენდიმენი"**

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "სქელი ძაღლი მენდოზა" 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 15.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 16.20 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 კონცერტი: "ივერია" 00.15 მხ. ფ. **"სახიფათო დავალება"** (კ. როკი) (სუბტ.) 02.35 მხ. ფ. **"ლამაზი მერის ამბავი"** (12) (კ. დიასი) (სუბტ.) 04.30 მხ. ფილმი **"ველური ორქიდეა 2"** (18) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"სინდისის საკითხი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ. **"ძმები კარამაზოვები"** 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა ო"** 22.00 სცენა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 სალვთისმეტყველო საუბრები 11.25 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.20 მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** მე-2ნ. 13.25 კონცერტი 15.05 მხ. ფილმი **"თემო"** 16.20 კვირიაკე 17.40 ერთი წვეთი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 22.40 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15, 00.35 სუფთა დაფა 01.00 გადაცემა "კარაბადინი"

## ხუთშაბათი 10 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ისტორია 13.30 ჩვენი ფერმა 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "უძველესი დაკარგული ქალაქები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფილმი **"საბოლოო ანალიზი"** (12) (რ. გირი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"ვერტიკალური ზღვარი"** 01.00 მხ. ფილმი **"ოდნავ პარდისფერი"** (15)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. **"ჰანიბალი"** 15.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 22.00 პროფილი 23.30 ტოტო 00.00 მხ. ფ. **"მელქიადეს ესტრადას სამი დასაფლავება"** (18) (ტ. ლი ჯონსონი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "რიპლი" 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 15.20 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 16.30 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 კონცერტი: მამუკა ჩარკვიანი 23.50 მხ. ფ. **"დეჟა ვუ"** (12) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) 02.35 მხ. ფილმი **"შეხვედრა ვამპირთან"** (15) (ბ. პიტი) (სუბტ.) 04.15 მხ. ფ. **"გამოგონილი მკვლელობა"** (12) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"სინდისის საკითხი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ. **"ძმები კარამაზოვები"** 14.50 სცენა 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"რა თქვა განსვენებულმა"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 გადაცემა "კარაბადინი" 11.00 სუფთა დაფა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 13.30 კონცერტი 15.05 მხ. ფილმი **"ფატიმა"** 16.45 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 17.10 საქართველო არის ესე 17.40 ერთი წვეთი 18.05 სალვთისმეტყველო საუბრები 19.20 მხ. ფილმი **"არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 დოკ. ფილმი "პარხლის სახარების ისტორია" 22.25, 23.15 დოკ. ფილმი "პიანისტი" (ა. კორსანტია) 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

## პარასკევი 11 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 03.20 მოამბე 12.30 ავტოპილოტი 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "უძველესი დაკარგული ქალაქები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი **"იესო მონრეალიდან"** (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფ. **"დროის მანქანა"** 01.00 მხ. ფილმი **"საბოლოო ანალიზი"** (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 პროფილი 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 21.00 კურიერი 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"** 00.00 მხ. ფ. **"წითელი სიცხე"** (18) (ა. შვარცენეგერი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 12.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.45 მხ. ფილმი 16.45 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) 22.50 მხ. ფილმი (სუბტ.) 01.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.00 მხ. ფილმი **"ქონდრისკაცი"** (მ. უაიენსი) (სუბტ.) 01.00 მხ. ფილმი **"შეუპოვარი"** (12) (ჰ. ფორდი) (სუბტ.) 03.05 მხ. ფილმი **"მაქსიმალური რისკი"** (15) (სუბტ.)

09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"სინდისის საკითხი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ. **"ძმები კარამაზოვები"** 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"რა თქვა განსვენებულმა"** 19.00 მუსიკა 23.00 სერ. **"სინდისის საკითხი"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "პიანისტი" (ა. კორსანტია) 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ"** 13.30 კონცერტი – მ. ჩარკვიანი 15.05 მხ. ფილმი **"ბატონი ავანტიურისტები"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.55 მოკ. ფილმი "ბელურების გადაფრენა" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"ჩვენი ეზო"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დიდი მარხვა 00.35 კვირიაკე

---

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

## შაბათი 12 თებერვალი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი **"მედლინი"** 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.15 მხ. ფილმი **"შურისმაძიებლები"** 14.00 დოკ. ფილმი "მოგზაურის დღიური" 14.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.55 **რაგბი**. ერთა თასის გათამაშება: საქართველო-ესპანეთი 17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 ქართ. ფილმი **"თემო"** 20.00 მოამბე 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 ქართ. სერ. **"კ-17"** 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 მხ. ფილმი **"ექვმიტანილები"** (15) (ქ. სპეისი) 03.15 მხ. ფილმი **"იესო მონრეალიდან"** (12)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 დოკ. ფილმი 19.00 რეგიონის დროით 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფ. **"უბიწოების ხანა"** 21.35 კონცერტი: ნინო ქათამაძე 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფილმი **"იესო მონრეალიდან"**

08.00 კურიერი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 სერ. **"ლეგენდა მაძიებელზე"** 11.00 ეკივოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვარსკვლავური ცხოვრება 13.00 მხ. ფილმი **"დროის დერეფნები"** 15.30 ქართ. ფილმი **"თოჯინები იცინიან"** 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 23.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"** 00.00 მხ. ფ. **"სერიოზული კაცი"** (18) (მ. სტალბერგი) 02.30 მხ. ფილმი **"ჯონ ტაკერი უნდა მოკვდეს"**

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 საბ. სერ. **"ოდისეა"** 11.30 პულსი 12.00 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. **"ელიზა"** 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ტაქსის მძღოლი"** 21.00 სერ. **"სი ეს აი"** 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ალადინი" 09.15 მხ. ფილმი **"ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.10 სერ. **"მონსტრებთან მებრძოლები"** 12.00 სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** მე-11ს. 13.00 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 14.30 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 თბილისი ლაივი 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლობას საიდუმლო"** 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 სერ. **"ციხე ოზი"** 01.00 მხ. ფილმი **"განდგომილები"** (15) (ლ. დი კაპრიო) (სუბტ.) 03.30 მხ. ფილმი **"წინასწარმეტყველი"** (12) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) 05.15 მხ. ფილმი **"ლომის გული"** (სუბტ.)

09.00, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"სინდისის საკითხი"** 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 13.15, 19.30 სერ. **"ძმები კარამაზოვები"** 14.30 დროის ვექტორი 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"რა თქვა განსვენებულმა"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.20 მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი **"ჩვენი ეზო"** 13.30 მულტფილმი 15.10 ოპერა 18.05 საქ. არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.30 მხ. ფილმი **"ბერნარდა ალბას სახლი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 გამოყენებითი ხელოვნება 21.30 სამედიცინო გადაცემა "კარაბადინი" 22.20 საიმ მღვდელმთავარი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 00.25 მხ. ფ. **"ორომტრიალი"**

## კვირა 13 თებერვალი

07.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი **"გაათავისუფლე ვილი 2"** 12.00, 16.00, 20.00, 03.10 მოამბე 12.15 მხ. ფილმი **"უძინარი სიეტლში"** 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სპექტაკლი "იოჰან სებასტიან ბახი" 15.30 ჩვენი სამართალი 16.15 ჩვენი ეზო 17.00 დოკ. ფილმი "მოგზაურის დღიური" 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 კონცერტი – ანსამბლი "რუსთავი" 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 ქართ. სერ. **"კ-17"** 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ. ფ. **"შიშის ოთახი"** (18) (ჯ. ფოსტერი) 03.30 აქცენტები

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 პარლამენტის სხდომის დაიჯესტი 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 პროცესი 21.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.00 კონცერტი: გ. სალარაძის საღამო 23.30 მხ. ფილმი **"ექვმიტანილები"** (15)

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 სერ. **"ლეგენდა მაძიებელზე"** 11.00 საბავშვო ამბები 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი **"ბლეფი"** 15.20 სერ. **"სიმაყე"** 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 21.00 კომედი-შოუ 22.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 23.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"** 00.00 მხ. ფილმი **"ბარია"** (18) (ფ. შიანა) 02.20 მხ. ფილმი **"თავდაყირა"**

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 გადაცემა "ტვ-ტესტი" 11.30 ანიმაცია 12.00 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. **"ელიზა"** 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ტაქსის მძღოლი"** 21.00 სერ. **"სი ეს აი"** 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ალადინი" 09.15 ან. ფილმი "ბარბი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 12.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 13.00 სერ. **"დათარსული კვირა"** 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 17.30 ბოიარის ციხესიმაგრე 17.45 ეტალონი 19.05 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 20.00 იმედის გმირები 20.15 სტუმრად იუმორინასთან 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 თბილისი ლაივი 00.00 სერ. **"ციხე ოზი"** 01.00 მხ. ფილმი **"ტრანსპორტერი"** (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) 02.55 მხ. ფ. **"ოთხი ოთახი"** (15) (ა. ბანდერასი) 04.30 მხ. ფილმი **"ნამდვილი მაკკოი"** (სუბტ.)

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"სინდისის საკითხი"** 10.00 დილის ტალღა 12.00, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 13.00 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"რა თქვა განსვენებულმა"** 19.30 სერ. **"ძმები კარამაზოვები"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 ჩემი ქალაქი 11.00 ქართული ალბომი 11.15 ტაძრები 11.30 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 12.15 მხ. ფილმი **"ბერნარდა ალბას სახლი"** 13.50 ქართ. მულტფილმი 14.30 გადაცემა "კარაბადინი" 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.35 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 სუფთა დაფა 17.15 სალვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.00 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი **"საფეხური"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.40 კონცერტი – ანსამბლი "მძლევარი"

# მულმა შვილი წამართვა



**რუსუდანი 24 წლის ასაკში დაქვრივდა. ის ექვსი თვის ორსული იყო, როცა ქმარი გია მოულოდნელად სისხლიანი გარჩევისას მოკლეს. როგორც რუსუდანი ამბობს, მისი ქმარი მოჩხუბრებს უბრალოდ აშველებდა. ისინი გადარჩნენ, მისი ქმარი კი ადგილზევე გარდაიცვალა.**
**ახალგაზრდა ქალმა სამ თვეში ბიჭი გააჩინა. ქმრის სიყვარულით და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად მისივე სახელი დაარქვა. რუსუდანმა ექვსი წელი იგლოვა თავისი პირველი სიყვარული და მის ცხოვრებაში მოულოდნელად გამოჩენილი დათოს სიყვარულს ვერ გაუძლო. ის მეორედ გათხოვდა, რაც შინაბერა მულმა არ აპატია და გამწარებულმა ქალს შვილიც კი წაართვა.**

რუსუდანი:

— ძალიან უბედური ვარ. ჩემი შვილი სიგიჟემდე მენატრება, მაგრამ ყოფილი მული მისი ნახვის უფლებას არ მაძლევს. ლამარამ ვერ მაპატია, რომ მისი ძმის შემდეგ ისევ გავთხოვდი. მე მისი ძმა მართლა სიგიჟემდე მიყვარდა, ის ჩემი პირველი სიყვარული იყო, მაგრამ 24 წლის ასაკში დავქვრივდი და ჩემთვის მთელი ცხოვრება მარტო ყოფნა ძალიან ძნელი იქნებოდა. გია რომ გავიცანი, სრულიად ბავშვი ვიყავი. 16 წლის გოგოს მახსოვს მაშინ ძალიან მომეწონა და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მასაც მოვწონებოდი. ის ჩემზე ბევრად დიდი იყო. გია 26 წლის იყო, მე კი 16-ის როცა გავიპარეთ. მასთან უბედნიერესი ვიყავი, მაგრამ არ გაგვიმართლა. მუცელი ბევრჯერ მომეშალა და მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ შევძელი ნაყოფის შენარჩუნება. გია ამ ამბავმა ძალიან გაახარა. მთელი დღეები საწოლში ვატარებდი, მკაცრი წოლითი რეჟიმი მქონდა დანიშნული და ჩემი გამოძრავებაც კი არ შეიძლებოდა. გული მწყდება, რომ ჩემმა საყვარელმა ადამიანმა საუკთარი შვილის ნახვა ვერ შეძლო, მასთან თამაშით გული ვერ იჯერა. გია ყველაფერს აკეთებდა, ტუალეტშიც კი ხელში აყვანილი მივყავდი. ეს ყველაფერი რომ მახსენდება, გული ახლაც მეწურება, მეტირება, მაგრამ რა ვქნა. დრო გავიდა და ჩემი გულის კარი დათომ შემოაღო.

— ***დათო სად გაიცანით?***

— დათო ჩემმა დამ გამაცნო. მისი კურსელი იყო. თავიდან არაფერზე მიფიქრია, თან ჯერ კიდევ შავები მეცვა, მაგრამ თანდათან მის გარემოცვაში ყოფნა მომეწონა. კარგი ადამიანი ჩანდა, გულღია, ალალი. იუმორის საოცარი გრძნობა ჰქონდა. ერთად დავდიოდით კინოში, თეატრში. ბევრი საერთო აღმოგვაჩნდა. საუბრისას დრო ისე გადიოდა, ვერც კი ვხვდებოდით. მივხვდი, რომ ჩემს თავს რაღაც ხდებოდა, მაგრამ საკუთარ თავსაც არ ვუტყდებოდი, რომ დათო მომწონდა. პირველად გული დედას გადავუშალე. ბევრი ვიტირიე, გიას გახსენებაზე. დედის მოტყუება არ შემეძლო. დედაჩემმა ყურადღებით მომისმინა და მითხრა, რომ ჩემს ასაკში მთელი ცხოვრება მარტო დარჩენა ძალიან ძნელი იყო. დედას არ დაუშლია ჩემთვის დათოსთან ურთიერთობა. მითხრა, შეხვდი მას და რასაც გული გიკარნახებს ის გააკეთე, მე ყოველთვის შენს მხარეს ვიქნებიო.

— ***ქმრის ოჯახში როგორ შეხვდნენ ამ ამბავს?***

— პირველად ჩემს დედამთილს ვუთხარი იმის შესახებ, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდებოდა. მანაც ბევრი იტირა, თავის შვილს დასტიროდა, რა უბედური ვყოფილვარ, შენს ერთადერთ შვილსაც მართმევენო, მაგრამ დავამშვიდე და ვუთხარი, რომ პატარა გიას არსად წავიყვანდი. როგორც კი ჩემი ქმრისიანებს მისი ნახვის სურვილი გაუჩნდებოდათ, შეეძლოთ მოსულიყვნენ და წაეყვანათ. გიას მამა უკვე გარდაცვლილი იყო, ამიტომ მთელი პრობლემა ახლა მის დასთან, ჩემს მულთან დალაპარაკება იყო. ჩემს დედამთილს ძალიან ვთხოვე, ეს საქმე შენ მომიგვარე-მეთქი. არ მინდოდა ვინმე მოტყუებული დარჩენილიყო და ჩემი ამბავი ყველაზე გვიან გაეგო. ლამარამ, ჩემმა მულმა სულ ქუჩის ქალი მეძახა. ჩემს დედამთილს რომ არ გაეჩერებინა, ალბათ მცემდა კიდეც. მითხრა, ქალი არ ვიყო, თუ შენ დედობის უფლება არ ჩამოგართვაო.

— ***ამას მიაღწია?***

— არა. ჩემმა შვილმა არჩევანი თავად გააკეთა. გია უკვე დიდი ბიჭი იყო, როცა მე და დათომ ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ. ბავშვს დათო ადვილად შეეჩვია, არც გია უძალიანდებოდა, მისთვის დათოს ბევრი კანფეტები და სათამაშოები მოჰქონდა. როცა ბავშვს ვუთხარი, რომ საცხოვრებლად დათოსთან უნდა გადავუსულიყავით, არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩამეხუტა. ვიფიქრე, ალბათ გაუხარდა-მეთქი, მაგრამ შევცდი. დათოსთან რომ გადავედით საცხოვრებლად, ჩემს შვილს ორ დღეში სიცხემ აუწია, 40-მდე აუვიდა ტემპერატურა და ბებიას ბოდავდა. თავიდან მეგონა, ალბათ დედაჩემი ენატრება-მეთქი და სასწრაფოდ მოვიყვანე, მაგრამ ბავშვმა ის ახლოს არ მიიკარა. მითხრა, მეორე ბებია მინდაო. რაღას ვიზამდი, წავედი და ჩემს ყოფილ დედამთილს ვთხოვე, ბავშვი ბოდავს და შენი ნახვა უნდა-მეთქი. ჩემი მული არ უშვებდა, ეუბნებოდა, ეგენი ჩვენი ღირსი არ არიან და არ გაბედო მაგათთან წასვლაო. მაგრამ ჩემმა დედამთილმა მის ბოდვას ყურიც არ ათხოვა და სიხარულით გამოიქცა. ვერ აგიღწერთ, მათი შეხვედრისას რა მოხდა. ბავშვი რომ ჩაეკრა ბებიამისს, ველარ მოვაშორეთ. მის გარდა არავინ და აღარაფერი აღარ უნდოდა, მთელი დღეები ბებიას გაიძახდა. ძალიან, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო — ბავშვი ჩემს ყოფილ დედამთილს გავატანე. მითხრა, ცოტა დამშვიდდება, მეც უფრო ავუხსნი მდგომარეობას და ისევ შენთან გამოვუშვებო. მთელ დღეებს ტირილში ვატარებდი, ჩემი ერთადერთი შვილი მენატრებოდა, მაგრამ ის არ ჩანდა. ბოლოს როცა ველარ მოვითმინე, თვითონ ჩავაკითხე მას. სახლში არ დამხვდა, მარტო ჩემი ყოფილი მული იყო. ისევ კონცერტები ჩამიტარა, მითხრა, აქ რამ მოგიყვანა, სირცხვილი სულ დაკარგეო. მემუქრებოდა, უკვე შევიტანე განცხადება სასამართლოში, სულ მალე დამიკმაყოფილებენ სარჩელს და შენ გიაზე აღარანაირი უფლება არ გექნებაო. მეგონა ხუმრობდა, მაგრამ თურმე მართალი აღმოჩნდა. რამდენიმე დღეში სასამართლოდან უწყება მივიღე. სასამართლოში მიბარებდნენ. მივხვდი, რომ ჩემს შვილს სამუდამოდ ვკარგავდი. სასამართლომდე სკოლასთან დავუდარაჯდი და მისი ნახვა მოვახერხე. ბავშვმა პირდაპირ მითხრა, დედიკო ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ბებიას გარეშე ცხოვრება არ შემიძლიაო. ვიფიქრე და ბებიასთან დარჩენა და აქ ცხოვრება მინდაო. არ ვიცი, ასე ჩემმა მულმა დაარიგა თუ ბავშვმა თავად გადაწყვიტა ასე. რა უნდა მექნა? ჩემი ყოფილი დედამთილიც შემეცოდა, თუმცა მე მასზე არანაკლებად ცოდო ვიყავი. ბავშვს ძალით ხომ არ წავიყვანდი სახლში? გადავწყვიტე კვირაში ერთხულ მაინც სკოლასთან დავხვედროდი და მოვფერებოდი. როგორც ჩანს, ბავშვმა ჩვენი შეხვედრის ამბავი სახლში თქვა და როცა კიდევ ერთხელ დავუდარაჯდი სკოლასთან, ისევ ჩემი მული გამომეცხადა. დამემუქრა, ბავშვთან ახლოს გაკარებაც აღარ გაბედო, თორემ პოლიციას გამოვიძახებ და შენს თავს დავაჭერინებო. იმ დღის შემდეგ ჩემი შვილი აღარ მინახავს.

— ***ყოფილ დედამთილს არ ელაპარაკეთ?***

— მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე. სახლში მისვლის მეშინია. ვიცი, რომ ჩემი მული მუქარას აასრულებს და ჩემს თავს დააჭერინებს. სხვანაირად კი ჩემს დედამთილს ვერ ვეკონტაქტები. ჩემი შვილი სიგიჟემდე მენატრება. არ მინდა იმის დაჯერება, რომ ჩემი დედამთილიც მის ჭკუაზეა. თუ შვილს წამართმევენ, ნამდვილად გავგიჟდები.

— ***დათო რას ამბობს?***

— დათო შეგნებული ადამიანია. მას ძალიან კარგად ესმის ჩემი, ყველანაირად მხარში მიდგას და მამხნევებს. მე მხოლოდ ჩემს შვილს ვითხოვ, მეტი არავისგან არაფერი მჭირდება.

— ***საერთო შვილი არ გყავთ?***

— ჯერ არა, მაგრამ დათოსგან შვილი რომც მეყოლოს, ის ჩემს გიას ვერ შემიცვლის. ის ჩემი პირველი სიყვარულის სახსოვარია და ჩემი პირველი შვილი მთელ ქვეყანას მირჩევნია. ამაზე დათოსთან ხშირად მისაუბრია და იცის, რომ გია ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მას ეს არ წყინს და ჩემს მდგომარეობას სრულიად გაგებით ეკიდება.

**თიკო ნინიაშვილი**





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები
(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.


# მოგვარეზე გათხოვება არ მაპატიეს



**მოგვარეების ქორწინება ჩვენში აკრძალულია, თუმცა ჭეშმარიტი სიყვარულის წინაშე ყველა და ყველაფერი უძლურია. ხათუნა თავის მოგვარეზე გათხოვდა, რითაც სამუდამოდ მოიძულა როგორც მშობლები, ასევე მთელი სანათესაო.**

ხათუნა:

— როცა რატიზე გავთხოვდი, ჩემიანებისთვის ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას გავდა. ყველანი ჩემს წინააღმდეგ დაირაზმნენ, ერთი ნათესავიც კი არ აღმომაჩნდა, რომელიც გამიგებდა და გვერდში დამიდგებოდა.

— ***მაინცდამაინც მოგვარეზე რატომ გათხოვდით?***

— ხედავთ? თქვენც ჩემს წინააღმდეგ განეწყვეთ. რატი რომ გავიცანი, ძალიან მომეწონა. მაშინვე მისი გვარის გაგება არ მიცდია. ჩემი მეგობრის თიკოს დაბადების დღეზე ვნახე. თიკოსთვის არ დამიმალავს, რომ რატითი მოვიხიბლე. ჩემს მეგობარს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, მხოლოდ ის მითხრა, არც ისეთი გადასარევი ბიჭია, მე მაინც თავის შეკავებას გირჩევდიო. ხომ იცით, რასაც გიკრძალავენ, ის უფრო გინდა ადამიანს, ამიტომ ყველანაირად ვცდილობდი რატის დავმეგობრებოდი. მეორედ ისევ თიკოსთან შევხვდით. დღესაც არ ვიცი, ეს შემთხვევით მოხდა თუ ყველაფერი წინასწარ იყო დადგმული. თიკოსთან რომ მივედი, ნახევარ საათში რატიც მოვიდა. თიკოს დედამისმა დაურეკა. მართლა დაურეკა თუ არა ესეც არ ვიცი. ჩემმა მეგობარმა მოიბოდიშა, დედაჩემს ბევრი რამ უყიდია და მარშრუტკის გაჩერებაზე უნდა დავხვდე მივეხმაროოო. დახმარება მეც შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა, მთელი ბაზარი კი არ მოაქვს, ორი ადამიანიც ვეყოფითო. დავრჩით მე და რატი მარტო. ჩემთვის ზედმეტი არაფერი უკადრებია, ვლაპარაკობდით. მხოლოდ ის მითხრა, ძალია მომწონხარო. საშინლად გავწითლდი და ამ თემაზე მეორედ დალაპარაკება ავუკრძალე.

— ***შემდეგ როგორ განვითარდა თქვენი ურთიერთობა?***

— თიკომ კარგა ხანს დააგვიანა. დედამისთან ერთად მართლა მოვიდა, მაგრამ არც იმდენი ტვირთი ჰქონდათ, რომ ორი ადამიანი დასჭირვებოდა. მაშინვე ყველას დავემშვიდობე და სახლში წავედი. იმ საღამოს რატის სიტყვებზე ბევრი ვიფიქრე. მე თვითონაც მომწონდა და აბა მასზე როგორ არ ვიფიქრებდი?! ორ დღეში დამირეკა. მითხრა, თიკოს აპატიე, გასაქანი არ მივეცი და შენი ტელეფონის ნომერი მოვაცემინეო. არ გამიპროტესტებია. ვუთხარი, რომ მასთან არც ლაპარაკი მსურდა და არც შეხვედრა, მაგრამ რატი არ მომეშვა. მითხრა, ამ ერთხელ შემხვდი და მერე ცხოვრებაში აღარასოდეს შეგაწუხებო. მისმა სიტყვებმა ცოტა შემაშინა, ადამიანი მომწონდა და ის კი ასეთ სიტყვებს მეუბნებოდა. იმ საღამოს შევხვდით. რატი სიყვარულში გამომიტყდა. პასუხს ახლავე არ გთხოვ, კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე. სანამ გადაწყვეილებას არ მიიღებ, არ შეგაწუხებო. თავისი ტელეფონის ნომერი დამიტოვა და წავიდა. იმ ადგილას დიდხანს ვიჯექი და საკუთარ გრძნობებში გარკვევას ვცდილობდი.

— ***რატის წინადადებას დათანხმდით?***

— ამაზე ბევრი არ მიფიქრია. ადამიანი მომწონდა და რატომ უნდა მეკრა მისი გრძნობისთვის ხელი? ერთ კვირაში დავურეკე და ვუთხარი, რომ პასუხი მოვიფიქრე.

— ***თიკოს მოუყევით ამის შესახებ?***

— არა. თიკოს მიმართ რატომღაც ნდობა დავკარგე. მეგონა, რომ მაშინ ცუდი განზრახვა ჰქონდა და სახლში მარტო იმიტომ დამტოვა. ამიტომ თიკოსთან ჩემი და რატის ურთიერთობაზე სიტყვაც არ დამიძრავს. ახლა ვნანობ, ნეტავ მკთქვა, ხომ მეტყოდა, შენი მოგვარეა და არ გაგიჟდე, არ შეიყვაროოო.

— ***ამას მოახერხებდით?***

— არ ვიცი, მაგრამ საბაბი ხომ მექნებოდა, რის გამოც რატის უარს ვეტყოდი.

— ***როდის გაიგეთ, რომ რატი თქვენი მოგვარეა?***

— უკვე ხელის მოწერას ვაპირებდით, როცა გავიგე, რომ მე და რატი მოგვარეები ვყოფილვართ. ამ ამბავმა შოკში ჩამაგდო. ჩემებმა უკვე ყველაფერი იცოდნენ, რატისაც იცნობდნენ, ერთამენთთან მივდიოდით და მოვდიოდით, მაგრამ ამ საკითხზე არასოდეს გვისაუბრია.

— ***რატის მშობლებმა თუ იცოდნენ, რომ მოგვარეები იყავით?***

— არ ვიცი. როგორც ჩემი დედამთილი მეუბნება, თავიდან არც მათ იცოდნენ, მაგრამ როცა ეს ამბავი გაიგეს და გაიკითხეს, აღმოჩნდა, რომ ნათესავები არ ვართ, სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები ვართ და უბრალოდ გვარი გვაქვს საერთო.

— ***გადაწყვეტილების შეცვლაზე აღარ გიფიქრიათ?***

— კი. ამაზე ფიქრმა დამტანჯა. საბოლოო გადაწყვეტილება მარტომ ვერ მივიღე და ყველაფერი დედაჩემს მოვუყევი. დედა კინაღამ გაგიჟდა, არ გაბედო და რატის ცოლად არ გაყვეო, მირჩევდა, მაგრამ მიყვარდა და მის დათმობას არ ვაპირებდი.

— ***გაიპარეთ?***

— კი. რატისაც ვადანაშაულებდი. თავიდანვე რომ ეთქვა მოგვარეები ვართო, იქნებ თავი გამეკონტროლებინა და რატი ასე ახლოს არ მომეშვა ჩემამდე.

— ***რატიმ თავიდანვე იცოდა, რომ მოგვარეები იყავით?***

— მეფიცება, თავიდან არაფერი ვიცოდიო. ალბათ არ მატყუებს. როცა გავიგე, რომ ერთ გვარს ვატარებდით, უკვე ყურებამდე ვიყავი შეყვარებული და შენზე უარს ვერ ვიტყოდიო. არც მე მინდოდა მისი დათმობა და ამიტომაც გავიპარეთ. ჩემს მშობლებს ეს ამბავი ძალიან ეწყინათ, მამაჩემმა სულ მოღალატე მიძახა. ნუთუ გაწყდა კაცების სახსენებელი, მაინცდამაინც მოგვარეზე რომ არ გათხოვილიყავიო. ყველანაირად ვეცადე მისთვის სიტუაცია ამეხსნა, მაგრამ არ მომისმინა.

— ***თიკო როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას?***

— თიკოს ჩვენი გაპარვა არ გაკვირვებია. მითხრა, ყველაფერს ვხვდებოდი, მაგრამ თვითონ არ მოინდომე ჩემთვის გულის გადაშლა და მეც აღარ ჩავთვალე საჭიროდ თქვენს საქმეში ცხვირი ჩამეყოო.

— ***თიკოს სიმართლე თავიდანვე რომ ეთქვა, რატიზე მაინც გათხოვდებოდით?***

— არ ვიცი. ამაზე ხშირად ვფიქრობ. არ ვიცი როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხვორება. ალბათ რატის უარს ვეტყოდი და მის დავიწყებას შევეცდებოდი.

— ***ნანობთ?***

— არაფერსაც არ ვნანობ. რატი მიყვარს და ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ. ჩ ვენ ერთად ძალიან ბედნიერები ვართ. თუ ასე დავიწყებთ მსჯელობას, მაშინ ყველანი ერთმანეთის და-ძმანი გამოვდივართ. ღმერთმა ხომ თავიდან მხოლოდ ადამი და ევა შექმნა და მათგან გამრავლდა მსოფლიო. რატი სიგიჟემდე მიყვარს და ხელს ის ფაქტი უკვე ველარ შემიშლის, რომ მოგვარეები ვართ. ერთადერთი, რაც ჩემს ბედნიერებას აკლია, ჩემი მშობლები და უახლოესი ნათესავები არიან, რომლებიც ჩვენთან შერიგებას არ აპირებენ.

**თიკო ნინიაშვილი**

## საქართველოს მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის დელეგაცია ეწვევა

საქართველოს 7 თებერვალს მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის დელეგაცია ეწვევა. პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, დელეგაციის წევრები პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს შეხვდებიან. ისინი შეხვედრებს საპატრიარქოსა და კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტშიც გამართავენ. სტუმრები თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს, კერძოდ, ხელოვნების მუზეუმს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს, ჯვრის სამონასტრო კომპლექსსა და სამთავროს დედათა მონასტერს დაათვალიერებენ. თბილისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში კი მათ პატივსაცემად კონცერტი გაიმართება. დელეგაციის წევრები საქართველოს 9 თებერვალს დატოვებენ.

**მედიანიუსი**

## საქართველოში იანვრის ინფლაციამ 2,1 პროცენტი შეადგინა

საქართველოში 2011 წლის იანვარში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 2,1 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, ინფლაციის მაჩვენებლის ჩამოყალიბებაში ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები ფასები 4,2 პროცენტით გაიზარდა და მისმა წვლილმა ინფლაციის მაჩვენებელში 1,85 პროცენტი შეადგინა; კომუნალური გადასახადები — ფასები 0,4 პროცენტით გაიზარდა, რაც, ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების 66,7 პროცენტით ზრდამ განაპირობა; ტრანსპორტი — ფასები 0,6 პროცენტით გაიზარდა. ფასების მკვეთრი ზრდა საგარეუბნო ავტობუსებითა და თვითმფრინავით მგზავრობაში აღინიშნა; ალკოჰოლური სასმელები — ამ ჯგუფის წვლილმა ინფლაციის ინდექსის ჩამოყალიბებაში 0,3 პროცენტი შეადგინა. ფასები მნიშვნელოვნად, 27,1 პროცენტით ალკოჰოლური სასმელების ქვეჯგუფზე გაიზარდა.

საქსტატის ცნობით, ფასების 7-პროცენტიანი კლება კავშირგაბმულობის ჯგუფში აღინიშნა, რომლის წვლილმაც 2011 წლის იანვრის ინფლაციაა ფორმირებაში გასული წლის იანვართან შედარებით -0,3 პროცენტი შეადგინა.

**მედიანიუსი**

## გურჯაანის რაიონის საბავშვო ბაღებში გადასახადი გაორმაგდა

გურჯაანის რაიონის საბავშვო ბაღებში გადასახადი გაორმაგდა, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ლელა თევდორაშვილის თქმით, თუ აქამდე მშობელს ბავშვის კვებისთვის დღეში 25 თეთრის გადახდა უწევდა, ახლა 50 თეთრს გადაიხდის.

— სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დასაფინანსებლად წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 667 500 ლარი გამოიყო, რაც შარშანდელთან შედარებით 48 ათასი ლარით ნაკლებია. ერთ ბავშვზე დღიური კვების საფასური 85 თეთრს შეადგენს, აქედან მშობელი 50 თეთრს იხდის, ხოლო 35 თეთრი კი მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მშობელს თვეში 5 ლარის ნაცვლად 9 ლარის გადახდა მოუწევს, — აღნიშნა ლელა თევდორაშვილმა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გია ენუქიძის თქმით, მშობელი ვალდებულია ბავშვის კვება უზრუნველყოს. ბიუჯეტმა რის საშუალებაც მოგცვა, ბაღებს ის თანხა გამოვუყავით„ - აღნიშნა ენუქიძემ.

**მედიანიუსი**

## მსოფლიოში სურსათზე ფასები რეკორდულად გაიზარდა

მსოფლიოში სურსათზე ფასებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. შესაბამისი დასკვნა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (აХნ) გამოაქვეყნა.

ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წლის იანვარში სურსათის ფასების ინდექსი 3,4 პროცენტით გაიზარდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია, სურსათზე ფასების მატების მსგავსი ინდექსი ბოლოს 1990 წელს დაფიქსირდა.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ფასების ზრდის ერთ-ერთ გარემოებად ჩრდილოეთ აფრიკაში, კერძოდ არაბულ ქვეყნებში მიმდინარე არეულობას ასახელებს. ორგანიზაცია მსოფლიოს ქვეყნების ხელისუფლებებს აღნიშნული პრობლემით სერიოზულად დაინტერესებისაკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, განვითარებად და დაბალი შემოსავლის მქონე სახელმწიფოებში შიმშილობის დაწყებას არ გამორიცხავს. ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ფასები გაიზარდა შაქარზე, მარცვლეულზე, რძის პროდუქტებზე და ცხიმებზე, ხოლო ხორცის ფასი იგივე დარჩა.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია საერთაშორისო თანამეგობრობას სურსათის კრიზისის შესაძლო დაწყების შესახებ აფრთხილებს და აღნიშნული პრობლემის წინააღმდეგ გაერთიანებას და ბრძოლას სთავაზობს.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, განვითარებად ქვეყნებში ადამიანებისთვის შვილებისთვის განათლების მიცემის ნაცვლად, პრიორიტეტული შვილების გამოკვება გახდება, — აღნიშნულია ორგანიზაციის ანგარიშში.

**მედიანიუსი**

## გაფრინდაშვილი „ეროვნული საბჭოს" მიერ სახალხო კრების დატოვების გამო პრობლემას ვერ ხედავს



წარმომადგენლობითი სახალხო კრების თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილი „ეროვნული საბჭოს" მიერ სახალხო კრების დატოვების გამო პრობლემას ვერ ხედავს.

როგორც გაფრინდაშვილმა „მედიანიუსს" განუცხადა, სახალხო კრება მუშაობას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს, ხოლო ვისაც მათგან დისტანცირება სურს, ამის გაკეთება თავისუფლად შეუძლიათ.

— „ეროვნული საბჭო" სახალხო კრებაში არც არასდროს ყოფილა, იქ იყო ზვიად ძიძიგური, როგორც კონსერვატიული პარტიის ლიდერი, მათ ეს პოლიტიკური გაერთიანება მერე შექმნეს. ჩვენ მუშაობას ვაგრძელებთ. ვისაც არ უნდა სახალხო კრებაში ყოფნა და დისტანცირებას აკეთებს, გააკეთოს, ამის პრობლემა არ არის, — განაცხადა გაფრინდაშვილმა და დასძინა, რომ მიზეზი, რის გამოც კონსერვატიულმა პარტიამ სახალხო კრება დატოვა, გაუგებარია და ამ თემაზე სერიოზული კომენტარის გაკეთებას არ აპირებს.

ცნობისთვის: პარასკევს „ეროვნულმა საბჭომ" წარმომადგენლობითი სახალხო კრების აღმასრულებელ და სათათბირო ორგანოში თავისი საქმიანობა შეაჩერეა. ამის მიზეზად კი ის გარემოებაა დასახელებული, რომ „ეროვნული საბჭო" წარმომადგენლობით სახალხო კრებას ქვეყანაში გამაერთიანებელი ორგანოს დანიშნულებას ანიჭებს და მიიჩნევს, რომ ოპოზიციური კინკლაობების დროს სახალხო წარმომადგენლობით კრებას მედიატორის ფუნქცია უნდა შეესრულებინა.

**მედიანიუსი**

## გრიგოლ ვაშაძე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სამუშაო ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკას ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, რადოსლავ შიკორსკის.

როგორც „მედიანიუსს" საქართველოს საგარეო უწყებიდან აცნობეს, შეხვედრაზე განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების, პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საკითხების ფართო სპექტრი. მხარეებმა ისაუბრეს ევროკავშირთან დაახლოების კუთხით გასულ წელს მიღწეული პროგრესის მნიშვნელობაზე. ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რეგიონში შექმნილ მდგომარეობას და არსებული ვითარების მშვიდობიანი გზებით დარეგულირების აუცილებლობას. საუბარი ასევე შეეხო საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებს.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს უახლოეს მომავალში მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტების მნიშვნელობას და ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციების გაგრძელების აუცილებლობას.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა თავის კოლეგას პოლონეთის მიერ საქართველოსადმი გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის და თავის მხრივ ოფიციალური ვიზიტით დაპატიჟა საქართველოში.

**მედიანიუსი**

## „სახალხო კრებამ" გორსა და ქარელში წინააღმდეგობის კომიტეტი დააფუძნა

4 თებერვალს „წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ" ქარელსა და გორში წინააღმდეგობის კომიტეტები დააფუძნა.

როგორც „მედიანიუსს" „სახალხო კრების" ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ბათიაშვილმა აცნობა, მსგავსი კომიტეტები ორშაბათს ქუთაისსა და ზესტაფონშიც შეიქმნება, ხოლო შემდეგ დაგეგმილია კომიტეტების დაფუძნება გურიასა და აჭარაშიც.

შეგახსენებთ, „სახალხო კრებამ" 6 იანვარს რაიონული კომიტეტი თელავში დააფუძნა, 11 იანვარს ქალაქ რუსთავში, 12 იანვარს რაიონული კომიტეტი დუშეთსა და მცხეთაშიც შეიქმნა, 26 იანვარს კი საგარეჯოში.

როგორც წარმომადგენლობით სახალხო კრებაში განმარტავენ, რაიონული კომიტეტები საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო დაუმორჩილებლობისთვის მოამზადებენ.

**მედიანიუსი**


## განცხადებები

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის!იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგანსწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.


## კროსვორდი ბ



შვეულად: 1. საეკლესიო საგალობელი; 2. ქართული რადიო; 3. მაღალმთიანი სოფელი მესტიის რაიონში; 4. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 5. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 7. მოწითალო-ყვითელი თმის, წვერის საღებავი; 11. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე; 15. ავეჯის გადასაკრავად გამოყენებული აბრეშუმის მკვირივ ქსოვილი; 16. სოფელი ხევსურეთში; 17. უნგრელი მწერალი, რომან „ოქროკაცის" ავტორი; 18. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 20. მინერალური წყალი იმერეთში; 22. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 6. იაპონური ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 8. სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 9. სამართლის დარღვევა, დანაშაული; 10. უნგრული კერძი; 12. იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 13. სახელმწიფო აზიაში; 14. ბროწეულის წვენისაგან მომზადებული საწებელი; 19. ყურძნის შაქარი; 21. მთავარი მოედანი ძველ რომში; 23. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 24. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 25. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 26. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ავტობუსი; 2. მონარქი; 3. „სვანი". 4. ბარცინო; 5. კაქტუსი; 10. სენსაცია; 11. სოციოლოგია; 16. მსუნაგი; 15. მარგალიტი; 16. „ბრიუგე"; 17. ვეროკიო; 20. მაცნე.

**თარაზულად:** 6. ღვინობისთვე; 7. ფარვანა; 8. ეპილოგი; 9. მუთაქა; 13. ნიკე; 17. ბონუსი; 18. ინტერნეტი; 19. ქერჩი; 21. გადია; 22. ბელგია; 23. ბობოყვათი; 24. კლიასერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბრუდერი; 2. გესტაპო; 3. ენგური; 4. ეპოქა; 5. ქარავანი; 7. „აია"; 11. გრუნტი; 15. კოროზია; 16. ლოკალი; 17. სამოა; 18. დორსე; 20. მურეი; 22. ფეტა.

**თარაზულად:** 6. რამზაი; 8. დესპანი; 9. ლიოტარი; 10. დუნდაგა; 12. ლორდი; 13. არავა; 14. ესკულაპი; 19. ჰარლემი; 21. პარაფი; 22. „ოპეკი"; 24. სოფიტი; 25. ვივიენი; 26. სერფინგი.

## სამგლოვიარო განცხადებები

### ლიდა კეკელია-ქვანიას გახსენება

ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ ჩვენო საყვარელო, ლამაზო, ჰუმანურო, გულისხმიერო ლიდა დეიდა!

ნათელში ამყოფოს უფალმა თქვენი სული და მშვიდად განისვენეთ სამუდამო სასუფეველში.

*ახლობლები კუსუნა, გოჩა მზარელუები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 5 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,8033
ევრო — 2,495
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,9259
რუსული რუბლი — 0,0612

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 6-19, ღამით — 9-2
**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-15, ღამით — 3-6
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -2-6, ღამით — -16 -1

**ამინდის პროგნოზი 5 თებერვლისთვის**







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


## ფერნანდო ტორესი: „ლივერპულს" გოლს უახლოეს ტურში გავუტან!"



ფერნანდო ტორესის ტრანსფერი თავისი ფასეულობით მეექვსეა მსოფლიოში. „ელ ნინიო" ამიერიდან ლონდონის „ჩელსის" ღირსებას დაიცავს და როგორც თავად აცხადებს, უახლოეს კვირაში შეეცდება ყოფილ გუნდ „ლივერპულს" გოლი გაუტანოს.

დანარჩენს კი, იმ ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც ესპანელი ფორვარდის ახალი კლუბის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

— „არისტოკრატთა" გულშემატკივრები „სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლით გულწრფელად გაახარეთ. „ლივერპულის" მაისურით გამოსვლისას რეგულარულად გაგქონდათ „ჩელსის" კარში, ამიერიდან კი გოლებს დასავლეთლონდონური კლუბის ღირსების დაცვისას გაიტანთ.

— „ჩელსის" წინააღმდეგ სათამაშოდ ყოველთვის მაქსიმალურად მობილიზებული და მოტივირებული გავდიოდი მოედანზე. ჩვენი ყოველი დაპირისპირება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახლდათ. „არისტოკრატთა" დამარცხება ნებისმიერი გუნდისთვის საპატიოა. დიდი სურვილი მქონდა „სტემფორდ ბრიჯზე" თამაშისა და როგორც იქნა, საწადელი ავისრულე. გუნდის ერთგულ ქომაგებს მსურს ვუთხრა, რომ ტრანსფერით ძალიან კმაყოფილი ვარ და მათ მხარდაჭერას არ დავივიწყებ. მათ მონდომებულ თამაშს ვპირდები.

— მაინც რამ გიბიძგათ „ჩელსის" შემოთავაზებულ წინადადებას დაჰყოლოდით და „არისტოკრატთა" წევრი გამხდარიყავით?

— ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს ვიგრძენი, ჩემი საფეხბურთო კარიერის წინსვლისთვის ატმოსფერო რომ უნდა შემეცვალა. ამიერიდან, პროგრესს ხელს არაფერი შეუშლის — მე ხომ ტოპ-კლუბში გადმოვედი, უფრო მაღალი დონის კლუბი კი, ნამდვილად არ მეგულება. „ჩელსის" დასახასიათებლად არაფერს ვიტყვი, მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ჩემი ახალი პარტნიორები ისეთი ფენომენალური ფეხბურთელები იქნებიან, როგორიც ჯონ

## ბარაქ ობამა ამერიკული ფეხბურთის ფანია



ამერიკის პრეზიდენტმა, ბარაქ ობამამ, თეთრ სახლში სტუმრები მიიწვია, რათა ერთად უყურონ ამერიკული ფეხბურთის ფინალურ შეხვედრას, Თგზუკ წცდ-ს. მოწვეულია 100-მდე ადამიანი. მათ შორის, ჯენიფერ ლოპესი და მისი ქმარი, ასევე ქვეყნის მთავარი პროკურორი, ვისკოსინის და პენსილვანიის შტატების კონგრესმენები და პოლიტიკური ელიტის სხვა წარმომადგენლები. ობამას სიტყვებით, იგი პირადად დაესწრებოდა მატჩს, ფინალში მისი მშობლიური ქალაქის, ჩიკაგოს, გუნდი, სრშსფპწ უფკთ-ი რომ გასულიყო. ფინალი, რომელის ტეხასის შტატის ქალაქ დალასის სტადიონზე გაიმართება, ერთმანეთს ვისკონსინის შტატის კუუტ ფნ ფსლუკთ-ი და პენსილვანიის შტატის ittsburgh Steelers-ი დაუპირისპირდრბიან.

## ტელეწამყვანმა შუა თითი უჩვენა

ჰიუსტონის ტელევიზიის დილის საინფორმაციო გადაცემის წამყვანმა, თავის კოლეგებს თუ მაყურებლებს, შუა თითი უჩვენა, მაგრამ ვერ გაითვალისწინა, რომ ტელესტუდიაში ახალი ფართორაკურსიანი კამერები დადგეს და მისი ეს უცენზურო ჟესტი მაყურებელმა პირდაპირ ეთერში იხილა, რამაც ნაწილი ალბათ გაახალისა, ნაწილი კი გააბრაზა. წამყვანმა აღნიშნული ჟესტი ეთერში გასვლისას, მისასალმებელი სიტყვების შემდეგ, აჩვენა. ვის ეკუთვნოდა ის, უცნობი რჩება. ასეთივე შემთხვევას შარშან, C-ზეც ჰქონდა ადგილი. მაშინ, შუა თითი სინოპტიკოსმა თავის კოლეგას, ახალი ამბების წამყვანს, უჩვენა და როდესაც მიხვდა, რომ ისევ პირდაპირ ეთერშია, თავი მოიკატუნა, თითქოს ნიკაპს იფხანდა

**ათბ-ნიუსი**

## იმედგაცრუება თქვენის ცხოვრებაში

**ტესტი**



1. თუ გიგრძვნიათ ოდესმე, რომ ცხოვრებაში რაღაც გაკლიათ?
2. თუ გაქვთ აუსრულებელი სურვილები?
3. თუ გაგჩენიათ გრძნობა, რომ ცხოვრების ორომტრიალის მიღმა დარჩით? 1
4. თუ გაქვთ ნიჭი და ტალანტი, რომელიც ჯერ არ გამოგიყენებიათ?
5. იმედის თვალით უყურებთ მომავალს?
6. თუ აკეთებთ ამჟამად იმ საქმეს რაზეც ოცნებობდით?
7. თუ გაღიზიანებენ სხვა დამიანები?
8. ხშირად ხართ მოწყენილი?
9. თუ გიგრძვნიათ ოდესმე ისეთი იმედგაცრუება, რომ ყვირილი მოგინდათ?
10. თუ გაგჩენიათ ადამიანისთვის გარტყმის სურვილი.
11. ზოზინებს უხეშად თუ ეპყრობით?
12. მომთმენი თუ ხართ?
13. გაკმაყოფილებთ საკუთარი სექსუალური ცხოვრება?
14. თუ ისურვებდით, რომ მეტი მოვალეობა გქონდეთ?
15. ამაყობთ თქვენი მიღწევებით?

**პასუხები**

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-3, 5, 6, 12, 13 შეკითხვებისა):*

**0-4 ქულა:** იმედგაცრუება თქვენთვის უცხო ხილია, სიცოცხლისაგან სიამოვნებას იღებთ

**5-8 ქულა:** იმედგაცრუება თქვენთვის უცხო ხილი არაა, თუმცა არც ძალიან ხშირ მოვლენას წარმოადგენს. ალბათ სჯობდა, თქვენი ცხოვრების კონტროლი გაგეძლიერებინათ. გაიხსენეთ, რა ამბიციები გქონდათ

**9-15 ქულა:** თქვენი ცხოვრება იმედგაცრუებით არის სავსე. ნუ ზიხართ გულხელდაკრეფილი, ნუ ელით, თითქოს რაიმე თავად მოხდება, თუ თავად გახდებით თქვენი ცხოვრების ბატონ პატრონი, არაფერს წააგებთ, უარეს შემთხვევაში საკუთარ თავს მაინც დააბრალებთ მარცხს და წარუმატებლობას.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწ

**5 თებერვალი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — არ გადაიღალოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია არ გადაიღალოთ. **ტყუპები** — აჩქარება არ გარგებთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, თავს მიხედეთ. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საღამოს შეხვედრაზე მიდიხართ. **ღრიანკალი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **მშვილდოსანი** — იყავით თავდაჯერებული, თორემ სხვა გაჯობებთ. **თხის რქა** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მერწყული** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **თევზები** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ.

**6 თებერვალი — წარმატებული დღეა.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გამოგიჩნდებათ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **ღრიანკალი** — გზიდან ფულს მიიღებთ და ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **მერწყული** — გადაიხალისეთ გარდერობი, მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ თავს. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. იტალიური ყველი; 2. ძმარმჟავას მარილი; 3. ფრანგი შანსონიე ქალი; 4. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 5. პატარა აივნიანი ხის სახლი ინდოეთში; 10. მეტისმეტად სასიამოვნო, განცხრომითი მდგომარეობა; 11. ძალიან ხალისიანი, ემოციური, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ჭაბურღილიდან წყლის, ნავთობის ამოსაქაჩი პნევმატური მოწყობილობა; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. აეროპორტი ბელგრადში; 20. ყავის მოსადუღებელი ტარიანი სპილენძის ჭურჭელი.

**თარაზულად:** 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. ქიმიური ელემენტი, რომელიც ჯერ მზეზე, ხოლო შემდეგ დედამიზაწე აღმოაჩინეს; 8. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 9. წყლის რაოდენობა, რასაც იძლევა წყარო დროის ერთეულში; 13. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. უდაბნო აფრიკაში; 18. ქართველი მხეტვარი; 19. კუთხე საქართველოში; 21. მაღალყელიანი ტყავის ფეხსაცმელი; 22. გია დანელიას კინოკომედია; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია".

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

## იუმორი



რესტორანში ოფიციანტი მაგიდებს აერთებს. მეორე მივიდა და ეკითხება:
— რა, ბანკეტია?
— არა, ვიღაც იდიოტმა ჟირაფის კისერი შეუკვეთა...

***

— რემონტი ნამდვილი საშინელებაა.
— ნამდვილი საშინელება მეზობლებთან რემონტია...

***

— ნუ დარდობთ, ბაბუა, ას წლამდე იცოცხლებთ.
— რას ამბობთ, ასი წელი გუშინ შემისრულდა.
— მეც მაგას არ ვამბობ...

***

— გუშინ თავზე ზარდახშა დამეცა.
— შიგ რა იდო?
— არაფერი.
— ზარდახშაში?

***

— შვილო, გუშინ შენს ოთახში პრეზერვატივი ვიპოვე.
— კარგი, პაპა.
— რატომ პაპა?
— იმიტომ, რომ გუშინ ვერც მე ვიპოვე...